ლელო

№133
(12 203)

8 ივნისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი საქმე

ტელემაგია ქართული ფეხბურთისთვის 3

იმედია, დრაფტზე კიდევ დავდგები

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან 11

ინტერვიუ კახა კალაძესთან

მწვრთნელის საქმეში ვერ ჩავერევი...

რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი, ეს გარდაუვალია...

ლიტვასა და საფრანგეთთან გასვლით მატჩებში მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით. და ეს მარცხებიც ჩავაბარეთ ისტორიას. რა იქნება მერე? ალბათ, ოდესმე ჩვენც მოვიგებთ. მაგრამ როგორ მივიდეთ ამ მოგებამდე? ამაშია საქმე. საინტერესოა, როგორ აფასებს განვლილ მატჩებს ნაკრების კაპიტანი, რას ფიქრობს მომავალზე, და საერთოდ, ნაკრების მოტივაციასა თუ მიზნებზე. გუშინ, სწორედ ამაზე სასაუბროდ დავუკავშირდით კახა კალაძეს...

- კახა, საუბარი ლიტვასთან მატჩის შეფასებით დავიწყოთ...

- მართალი გითხრათ, ამ მატჩის გახსენება და მასზე საუბარიც კი არ მინდა. კაუნასში თამაშის შემდეგ გულდამწვარი ვიყავი... მარტო მე კი არა, მთელი გუნდი...

- კაუნასში ჩვენმა ნაკრებმა, რბილად რომ ვთქვათ, ცუდად ითამაშა. მაინც რა იყო ამის მიზეზი?

- მთელი მატჩის განმავლობაში ვუტევდით, მაგრამ... მასპინძლებმა კი კონტრშეტევაზე "დაგვიჭირეს" და სამწუხაროდ, ეს გოლი საკმარისი აღმოჩნდა მათი გამარჯვებისთვის. ჩვენც უნდა გაგვეტანა და თანაც არაერთხელ, მაგრამ ეს დღე ჩვენი დღე არ იყო. გარდა ამისა, დემეტრაძის წაქცევისთვის ასპროცენტიან პენალტს ვიმსახურებდით, მაგრამ არბიტრმა თვალი დახუჭა. მერე კი სულ ტყულიად გააფრთხილეს დემე, ვითომდაც სიმულაციისთვის...

2

ასათიანი ბრუნდება

ცხრათვიანი უფეხბურთო კოშმარი დასრულდა, მზადება ზენიტისთვის...

საქართველოს ნაკრების ლიდერი მალხაზ ასათიანი "ზენიტთან" მატჩისთვის ემზადება, - ასეთ ცნობას ავრცელებს უკლებლივ ყველა რუსული წყარო, რომელიც სპორტზე წერს. თითქმის ცხრათვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ასათიანი მწვანე მინდორს 11 ივნისს, სანკტ-პეტერბურგში დაუბრუნდება. რუსული წყაროები იქვე აზუსტებენ, რომ ქართველი ფეხბურთელი ამ მატჩისთვის ინდივიდუალურად ემზადება. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მალხაზს არ უთამაშია კიშინიოვში, "ზიმბრუს" 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მატჩზე და არც 6 ივნისს, "სპორტაკადემკლუბთან" საკონტროლო სპარინგში გამოჩენილა, რომელიც 5:1 დასრულდა.

ვარსკვლავთცვენა მიუნხენში

საქართველოსთან მატჩის შემდეგ რიბერიმ მიუნხენისკენ მოჰკურცხლა და ტონისთან ერთად ბაიერნელი უკვე ოფიციალურად გახდა

დარჩა! ბუფონი და იუვე გრძელდება

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

www.kazbegi.com

გაზსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კალაძე რიბერის წინააღმდეგ

მწვრთნელის საქმეში ვერ ჩავერევი...

პირველი გვერდიდან

- ეს გასაგებია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ლიტვაში ნაკრები ძალიან ცუდად თამაშობდა. როგორ ფიქრობ, რა იყო ამისი მიზეზი?

- ალბათ ის, რომ ზოგიერთმა ფეხბურთელმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა...

- მაინც ვინ იყო ასეთი? იქნებ, დააკონკრეტო?

- ის, ვისაც თამაში არ ნაუვიდა. ვინც თამაში ნახა და ვისაც ფეხბურთი ელემენტარულ დონეზე მაინც ესმის, ჩემი შეხსენება არ დასჭირდება... თამაში ყველას უნდოდა, მაგრამ... რა ვიცი, რა გითხრათ... ლიტველებმა სწორი ტაქტიკა აირჩიეს და მოიგეს კიდეც.

- საფრანგეთთან მატჩს როგორ შეაფასებდი?

- პირველ ტაიმში მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ვზრუნავდით, მეორე ნახევარში შედარებით გავშინაურდით. აქ ისიც გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ თუ არა, ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ვეთამაშებოდით, თანაც ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა და რა გასაკვირია, რომ წავაგეთ... ლიტვას დავუბრუნდები. მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, მათზე უკეთესი გუნდიც გვყავს, მაგრამ ეს შედეგში არ აისახა. ასეთ დროს კი, როცა ოთხ დღეში მომდევნო მატჩია, ფსიქოლოგიური მობილიზება ძალიან ძნელია. მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ ეს შევძელით. კაუნასის მატჩის შემდეგ, კიდევ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდა და რომ არა ეს ფსიქოლოგიური მობილიზება, 5-6 ბურთით წავაგებდით...

- მწვრთნელის პრობლემა არ არის, ფეხბურთელების პრობლემაა, თქვი თამაშის შემდეგ. რა იგულისხმება ამ სიტყვებში?

- ამ შესარჩევ ციკლში არ ყოფილა თამაში, მინიმუმ ოთხი-ხუთი ფეხბურთელი რომ არ გამოგვკლებოდა, გინდ ტრავმების, გინდაც დისკვალიფიკაციის გამო. გარდა ამისა, ნაკრებში თაობათა ცვლა დაიწყო. ეს პროცესი გარდაუვალია, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელები ამ დონეზე თამაშს, ჯერჯერობით, მიუჩვეველნი არიან. მათ გამოცდილება აკლიათ, კიდევ ბევრი აქვთ დასახვეწი... ოსერშიც აშკარად ჩანდა, რომ ერთ ნერვიულობდნენ ახალბედები. ბუნებრივია, ეს მათ თამაშზეც აისახებოდა. და სანამ ისინი გამოცდილებას მიიღებენ, დროა საჭირო.

- ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ამ ორი მატჩისთვის ნაკრებში მეტი ფეხბურთელი ყოფილიყო გამოძახებული. ასეთ შემთხვევაში, არჩევანიც მეტი იქნებოდა. ცენტრფორვარდის დეფიციტი აშკარად ეტყობოდა გუნდს...

- ჩემი აზრით, ყველა გამორჩეული ფეხბურთელი იყო გამოძახებული. დარჩა კიდევ ვინმე ისეთი, ვინც არ მიიწვიეს?

- მაგალითად, კანდელაკი, რომლის გამოყენება დაცვაშიც შეიძლება და საყრდენადაც. ვასილ გიგიაძე, დინამოელი სანდრო იაშვილი...

- არ ვიცი, როგორ თამაშობენ ეს ფეხბურთელები... და საერთოდაც, ეს მწვრთნელების კომპეტენციაა და მე ვერ ჩავერევი ამ საქმეში. წარმოუდგენელია, რომელიმე ფეხბურთელი ნაკრებისთვის აუცილებელ დონეს აკმაყოფილებდეს და მწვრთნელებმა ის არ გამოიძახონ... უბრალოდ, ამას ახსნას ვერ ვუძებნი.

- ახლა რა იქნება ნაკრების მოტივაცია?

- რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძოლეთ და რომ არა მუდმივი უიღბლობა, ბევრად უკეთესი შედეგიც გვექნებოდა, ბოლო-ბოლო, ლიტვაზე წინ მაინც ვიქნებოდით. როცა ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გყავს, ძალიან ძნელია... უფრო მეტიც, ამ ეტაპზე წარმოუდგენელიც კია ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლოს ჩვენი დონისა და პრობლემების მქონე გუნდმა. რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ... და რაც შეეხება კითხვას, ამ შესარჩევი ციკლის დარჩენილი მატჩები მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილება უნდა შეიძინონ, ან გაიმდიდრონ, მეტოქის შიში უნდა დაძლიონ, გუნდთან შეთამაშდნენ და მერე ბევრად უკეთესი ნაკრები გვეყოლება. ბუნებრივია, დარჩენილ შეხვედრებშიც გამარჯვებებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. რაც ჩამოვთალე, ცოტა ნამდვილად არ არის. ასე რომ, მოტივაცია მაინც საკმაოდაა.

დავით ცაბაძე

ფეხბურთში ყველაზე ცუდი... დაგეგმილი დამარცხებაა; ანუ, როცა ყველამ იცის, რომ კონკრეტულ მატჩში წარმატების შანსი არ გაქვს. საშინელება კი, ალბათ, ის არის, რომ ამ "ყველაში" გულშემატკივრებთან ერთად... ფეხბურთელები და მწვრთნელებიც იგულისხმებიან. აი, ახლაც ჯერ ჩვენი ახალგაზრდების წაგებას ვიყავით შეგუებულნი, მერე კიდევ ეროვნული ნაკრებისას. ამ შემთხვევაში არც არავის გაემტყუნება - ორივე მეტოქე ისეთი გვყავდა, საქართველოსთან კი არა, სხვა ნებისმიერ გუნდთანაც უეჭველ სამ ქულაზე რომ ითამაშებდა. ჰო, ეგრეა - ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები უკვე ორი ათეული წელინადია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია; საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებზე კი ახალის თქმა უადგილოდაც გვეჩვენება. თანაც მნიშვნელობა არ აქვს, დიდებულ ტაქტიკოს **რაიმონ დომენეკს** ეყოლება თუ არა გუნდში **ანრი, ვიეირა** და **სანიოლი**. მოკლედ, ერთი შეხედვით, ორივე შემთხვევაში ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა: ქართველმა ახალგაზრდებმა ესპანელ თანატოლებთან წააგეს, ეროვნულმა ნაკრებმა კი - ფრანგებთან. თანაც, დაუნახავი უნდა იყო კაცი, "პროგრესი" რომ ვერ დაინახო - ორივეჯერ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით! ამიტომაც არის, რომ მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, ტელევიზიით თუ პრესის ფურცლებზე, მოკლედ, ყველა მხრიდან, მხოლოდ და მხოლოდ ერთ შეფასებას ვისმენთ: საქართველოს ახალგაზრდულმა და ეროვნულმა ნაკრებმაც თავიანთი მატჩები ღირსეულად წააგეს!

ვფიქრობთ, რომ, ალბათ, დროა უკვე "ღირსეულად წაგების" ნაცვლად... მოგებაზე თამაში ვისწავლოთ. საერთოდაც, ნებისმიერი მარცხი უარყოფით რეაქციას იწვევს და მნიშვნელობა არა აქვს, უსუსურ ლიტვასთან წააგებ თუ ვარსკვლავურ საფრანგეთთან. მნიშვნელობა სხვა რამეს აქვს - ძალიან საინტერესო იქნებოდა საფრანგეთი-საქართველოს მატჩი ნებისმიერ სხვა დროს რომ ჩატარებულიყო. ახლა კი ისეთი სიტუაცია იყო, რომ **მალუდა, ანელკა** და **აბიდალი** თამაშის გამწვავებაზე მეტად დამსახურებულ შვებულებასა თუ სატრანსფერო გეგმებზე ფიქრობდნენ. ისიც "საჩვენო" გამოდგა, რომ დომენეკმა უკრაინასთან გამარჯვებული შემადგენლობა არ შეცვალა. ანუ, საქართველოსთან ძირითადში ვინც იყო, დასამტკიცებელი არავის არაფერი ჰქონდა. აი, სხვა შემთხვევაში კი სრული ფიასკო არ აგვცდებოდა - უკვე ჩამოყალიბებულ 19 წლის **ნასრის** მარჯვიდან-მარცხნიდან-წინიდან თანატოლებს (**დიაბი, დიარა, ბენზემა**) ამოუყენებდა და, ალბათ, ვერც **კალაძის** თავგანწირვა და გამოცდილება გვიშველიდა და ვერც ლომაიას საიმედოობა. ისე, შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენი ნაკრებისგან... მაინცდამაინც საფრანგეთთან მოგებას ვითხოვდეთ. ჩვენ კი არა, ბოლო წლები ამას მსოფლიოში ერთეულები თუ ახერხებენ; მაგრამ, "ღირსეულ წაგებას" ელემენტარული რამ სჯობია - ამას კი... ღირსეულად თამაში ჰქვია. ანუ, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მინიმალური ანგარიშთი წააგებ თუ ორი ან სამბურთიანი სხვაობით, მთავარია, რომ გუნდს თავის სახე ჰქონდეს; 90 წუთი რომ გამორიცხულია, უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ ორი ტაიმის განმავლობაში რაღაც ეპიზოდები ხომ შეიძლება ითამაშოს, რასაც

ნაკრების თემაზე

უმიზნო და უმოტივაციო

თანამედროვე ფეხბურთი ჰქვია? დიახ, გვერრივნა უფრო დიდი სხვაობით წაგვეგო, მაგრამ მეტოქეს ეგრძნო, რომ... გუნდს ეთამაშებოდა. დღევანდელ საფრანგეთზე არანაკლები სიძლიერის მეტოქეებთან არჯერთხელ გვითამაშია, მაგრამ ასეთი უსუსური ნაკრები არასდროს გვყოლია. ეს მართლაც კოშმარივით იყო - მეტოქის საჯარიმოში რომ ვერ შეხვალ და კარის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ (ისიც, თუ არ ვცდებით, 72-ე წუთზე) დაარტყამ, როგორ უნდა დაუჯერო იმ გუნდის მწვრთნელს, პროგრესის გზას ვადგავართო, ჯიუტად რომ გაიძახის. ეგ კი არა, არ გაგვიკვირდება, რომ თქვას - ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარო; აი, როგორც ლიტვასთან თამაშის მერე თქვა...

ძალიან, ძალიან მძიმე განცდაა იმედგაცრუება და ამას სწორედ **კლაუს ტოპმიოლერზე** ვამბობთ. სამწუხაროდ, საკლუბო ფეხბურთში ერთობ წარმატებული და აღიარებული მწვრთნელი აშკარად არ აღმოჩნდა მზად სანაკრებო მუშაობისათვის. ტოპის დამცველები, ალბათ, შეგვახსენებენ, რომ სხვა გარემოსთან და სხვა მენტალიტეტთან შესაგუებლად დრო არის საჭირო; რომ შესარჩევი ციკლის დაწყებიდან ნაკრებს ოპტიმალური შემადგენლობით არ უთამაშია და ასე შემდეგ. გვახსენონ და იყვნენ: საქართველოს ნაკრებს წინსვლის არაფერი ეტყობა! ვინც გვყავდა ფეხბურთელები, ისევ დარჩნენ - **არველაძის, კალაძის, ასათიანისა** და **კობიაშვილის** იქით რომ ვერავის ვხედავთ? ჰო, იქნებ, ვინმემ დაგვისახელოს ის ფეხბურთელები, ქართველი მწვრთნელებისგან რომ "დაინაგრებოდნენ" და ტოპმიოლერმა რომ აღმოაჩინნ? ეგ კი არა, გერმანელი მწვრთნელი უნიკალურ "რეკორდზეც" მიდის: ჩვენი ნაკრების ისტორიაში ამდენი სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელი არასდროს გვყოლია! ისიც არასდროს მომხდარა, რომ თადარიგში მხოლოდ ოთხი (?!) ფეხბურთელი (მეორე მეკარის ჩათვლით) ყოფილიყო. კარგით, დავუშვათ და ვიღაცებმა დისციპლინა დაარღვიეს (ეგეც საკითხავია) და მწვრთნელმაც მათი გამოძახება არ გადაწყვიტა; ის ხომ მაინც უნდა გაეთვალისწინებინათ ნაკრების მრავალრიცხოვან სამწვრთნელო შტაბს (სათადარიგოთა სკამზე ფეხბურთელებს რომ ჭარბობდნენ), ლიტვასთან მატჩის წინ ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელს თითო "ყვითელი" რომ ჰქონდა? ჰოდა, ამიტომაც იყო, საფრანგეთთან სტუმრად მატჩზე ჩვენმა ცენტრალურმა ნახევარდაცვამ, მართლაც, "უნიკალური" სახე რომ მიიღო (**ღვინინაძე-კანკავაელიავა**). გვესმის, რომ დღეს ფეხბურთში უნივერსალიზმი ძვირად ფასობს, მაგრამ **სალუქვაძის** მარცხენა მცველობა თუ **მარცვალაძის** მარცხენა ნახევარმცველობა მაინც ვერაფრით აგვიხსნია...

...რვა მატჩში ორი გამარჯვება (ორივე - ფარერის კუნძულების ნაკრებთან) ექვსი დამარცხება და შვიდგუნდიან ქვეჯგუფში მეექვსე ადგილი. აი, ასეთი გახლავთ საქართველოს ნაკრების ნამეტნავად ძვირადღირებული უცხოელი მწვრთნელის მონაგარი. დანარჩენ შეხვედრებს, ალბათ, ერთი მიზანი ექნება - როგორმე ლიტვას გადავასწროთ და, ღმერთმა იცის, იქნებ, მოვახერხოთ და... მეხუთე ადგილზე გავიდეთ. და თუ ასე მოხდა, მაშინ, ალბათ, ამას "წინსვლად" ჩათვლიან და ისევ დაიწყება ყიჟინა: ნახეთ, უცხოელი მწვრთნელის დანიშვნამ როგორ გაამართლაო! ჰო, მაგრამ, განა უცხოელი მწვრთნელები არ მუშაობენ რუსეთის, საბერძნეთის, პოლონეთის, სერბეთის, მაკედონიის, ალბანეთისა თუ სომხეთის ნაკრებებში? ახლა შეადარეთ ჩვენი და მათი ქულათა მონაგარი: რომ აღარაფერი ვთქვათ, მართლაც, ყბადაღებულ თემაზე - რამდენ დროს უნდა ატარებდეს ნაკრების უცხოელი მწვრთნელი იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობს. რა, ტოპმიოლერზე ნაკლებად ამბიციურები არიან **ჰიდინკი, რეჰაგელი, ბეენჰაკერი, კლემენტე, კატანეცი** და **ბარიჩი**? მაგრამ ეს ხალხი დროის უდიდეს ნაწილს სწორედ ფეხბურთელების შერჩევა-დაკვირვებაში ატარებს და როცა სამშობლოში ბრუნდებიან, იქიდან ულტიმატუმის ენით არავის ელაპარაკებიან...

...საქართველოს ნაკრებს ადრე ინგლისთანაც წაუგია, იტალიასთანაც, გერმანიასთანაც; ჩვენი მარცხის ძირითადი მიზეზი ჯერ საერთაშორისო ასპარეზზე გამოუცდელობა იყო, მერე ამას ქართული ფეხბურთის ტრადიციული სენიც (საგოლე მომენტების რეალიზება) ემატებოდა ან კიდევ სათამაშო დისციპლინის დარღვევა კონკრეტულ ეპიზოდში. მოკლედ, ბევრჯერ წაგვიგია, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებთ შეხვედრას, მეტოქეს ასე სასტიკად... ტექნიკაში რომ დავუჩაგრივართ. ჰო, ფრანგებმა საზაფხულო არდადაგების წინ გემრიელად იხალისეს, თავის გემოზე გაერთნენ და სულ ვარჯიშ-ვარჯიშ მოგვიგეს. იმაზეც გვეცინება, მატჩის წინ დომენეკი რომ წუხდა - ძირითადი მეკარე ტრავმირებულიაო. რა მნიშვნელობა ჰქონდა - გინდ **კუპე** ყოფილიყო, გინდ - **ლანდრო** და გინდაც... არავინ მდგარიყო!..

საფრანგეთი-საქართველოს შეხვედრის ერთადერთი დადებითი მომენტი (კალაძე-ლომაია-იაშვილთან საპრეტენზიო არაფერი გვაქვს)... ტელერეპორტაჟში მონაწილე შოთა არველაძის კომენტარები იყო. მართალი იყო დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის უპირველესი ფორვარდი, როცა თქვა, რომ ორი თავდამსხმელით თამაში უნდა ვისწავლოთო; იმაშიც დავეთანხმეთ არველაძეს, ჩვენებზე რომ თქვა - არასწორად თამაშობენ და ტყუილად ამიტომ დარბიანო. ტყუილად სირბილი კი შეგვიძლია უმიზნოდაც მოვნათლოთ; აი, საქართველოს დღევანდელი ნაკრები რომ არის - უმიზნო და უმოტივაციო...

გია ტუხაშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სიახლე პერსპექტივით

ტელემაგია ქართული ფეხბურთისთვის

სილქ როუდმა ტელესააგენტო ჩამოაყალიბა

კომპანია "სილქ როუდი" დიდ საქმეს შეეჭიდა. ჩამოყალიბდა პირველი ქართული ტელესააგენტო "პროდაქშენ კომპანი", რომელიც საქართველოს ჩემპიონატის განვითარება-პოპულარიზაციას შეეცდება. ეს არის ქართულ ტელესივრცემდე ჩვენი ჩემპიონატის მიტანა-გაპიარების პირველი ორგანიზებული პრეზენტაციის და აქედან გამომდინარე, უდავოდ სასურველი საქმეც. მართალია, დღეს საქართველოს ჩემპიონატი სულაც არაა პოპულარული, მაგრამ აქ ერთ უცნობ ფაქტს მოვიშველიებ: 1994 წელს, კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციამ ადგილობრივ სახელმწიფო ტელევიზიას ჩემპიონატის ერთ-ერთი ტურის ცენტრალური მატჩის ჩვენების საფასური მოსთხოვა. ეს პირველი შემთხვევა იყო. მანამდე, ტელევიზიებს თავად თხოვდნენ მათთვის უინტერესო სანახაობის გაშვებას. დაპირისპირება სიმბოლური შეთანხმებით დასრულდა: ტელეკომპანიამ 1000 დოლარი გადაიხადა, რაც ორი მხარის ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისი გახდა და ხელი შეუწყო ფეხბურთის განვითარებას. კვიპროსის უმაღლესი ლიგის გუნდები დღეს მცირე თანხას მაინც იღებენ მატჩების ტრანსლაციის გაყიდვით. ტელეკომპანიები კი, თავის მხრივ, ამ პირველობის დონის გაზრდის ერთ-ერთი ხელშემწყობი აღმოჩნდა. კვიპროსის პირველობა კი მართლაც "გაიზარდა". ეს ევროთასებსა და სანაკრებო დონეზე კუნძულელთა გამოსვლებიდანაც ჩანს...

დავუბრუნდეთ საქართველოს. "პროდაქშენ კომპანი" უახლოეს პერიოდში პროდუქციას სატელევიზიო სივრცეში შეიტანს. დანარჩენზე კი, სჯობს კომენტარებიდან გავიგოთ...

პაატა ბურჯალიანი,
პროფლიგის პრეს-ატაშე

- ეს პროექტი პროფლიგისა და "ლოკომოტივის" პრეზიდენტებმა, დიმიტრი რამიშვილმა და ლექსო თოფურიამ მოიფიქრეს. ეროვნული ჩემპიონატი ტელევიზიებისთვის საინტერესო პროდუქტად უნდა მომზადდეს. მაღალი დონის ტელეპროდუქტის დასამზადებლად თასის ფინალზე დასაქმებული სამი ინგლისელი პროდიუსერი და ოთხმოცკაციანი ჯგუფი იმუშავებს. მთავარი ისაა, რაც თასის ფინალმა გვიჩვენა: ქართული ფეხბურთის კარგად "შეფუთვა" და მაყურებლამდე მიტანა, თურმე, შესაძლებელი ყოფილა. გააჩნია, როგორ იმუშავებ. ახლა, მიმდინარეობს მოლაპარაკება ტელეკომპანიებთან, რათა ახალი სეზონიდან უფრო მაღალ დონეზე გაშუქდეს ქართული ფეხბურთი, რაც მაყურებლის მასიურ დაინტერესებას გამოიწვევს. თავად ტელევიზიებსაც აწყობთ ხარისხიანი პროდუქციის გაშვება. ამას კი "სილქ როუდი" უზრუნველყოფს. "პროდაქშენ კომპანი" ჩვენთან პრეცენდენტს ქმნის და ეს ძალიან კარგი წამოწყებაა.

ლექსო თოფურია,
ლოკომოტივის პრეზიდენტი

- ჩვენ დავაარსეთ პირველი ქართული ტელესააგენტო, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციის უფლების შესყიდვასა და ტელევიზიით გაშუქებას შეეცდება. ვფიქრობ, ამის დრო საქართველოში უკვე დადგა. ეს ჯგუფი გადაიღებს 200 მატჩს, ტურის 35 ცენტრალურ შეხვედრას პირდაპირი ეთერით აჩვენებს, ასევე, თასის გათამაშების ათ ყველაზე საინტერესო დაპირისპირებასაც წარმოგიდგენთ. დანარჩენებიდან კი ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს შევარჩევთ და სპორტული მიმოხილვის სახით კვირაში ერთხელ გავუშვებთ. საკითხი საბოლოოდ უნდა შევათანხმოთ ფედერაციასთან, კლუბებთან, პროფესიულ ლიგასთან. თუკი ამ ოთხი სუბიექტის შეთანხმება მოხდება, პროექტი უკვე 4 აგვისტოდან ამოქმედდება. ამ დღეს ეროვნული ჩემპიონატი იწყება.

- კლუბებს თანხას გადაუხდით?

- ეს არის კომერციული პროექტი და ბუნებრივია, ამაზეც ვისაუბრებთ. შესაძლოა, თავდაპირველად ეს იყოს მცირე თანხა, თუმცა, მთავარია, ევროპაში აპრობირებული საფეხბურთო ინდუსტრიის ამუშავება და დაქოქვა. ამ თემაზე აუცილებლად ვისაუბრებთ.

- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთით უცხოეთში დაინტერესდებიან? როგორც ვიცი, თასის ფინალი რუსულ არხზე იმიტომ არ გავიდა, რომ მათ უფასოდ სურდათ ტელერეპორტაჟის მიღება...

- ჩვენ ჯერ ქართული ტელეეთერი უნდა ავითვისოთ. ტელევიზიების გარეშე, ქართული ფეხბურთის კომერციალიზაცია შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, ეს საერთო სურათს რადიკალურად შეცვლის.

- რადგან ამ საქმეს ხელი მოკიდეთ, პერსპექტივასაც უნდა ხედავდეთ. არადა, რა არის დასამალი, რომ დღევანდელი ვითარება ძალიან მძიმეა...

- ორ-სამ წელიწადში მოგებას არც ველით. ამის შემდეგ კი, იმედი მაქვს, ჩვენი წამოწყების პირველ შედეგებს დავინახავთ.

მერაბ მამულაშვილი

კლუბები

დინამო: ჰაიდუკი და კარლ ცაისი გადაწყვეტილია

ნერგაძე და ლობჟანიძე უჭრინთან?

სხვა გუნდების დარად, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებიც შვებულებაში არიან. გუნდის მთავარი მწვრთნელი **დუშან უჭრინი** კი ევროპაშია და "დინამოს" გასაძლიერებლად ფეხბურთელებს ეძებს. ამასობაში, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის მომზადების გეგმა დასახა. კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძის** თქმით, უჭრინი თბილისში ხუთიოდ დღეში დაბრუნდება. "დინამო" მშობლიურ ბაზაზე 3 ივნისს შეიკრიბება, ორ დღეს დიღომში ივარჯიშებს, მერე კი ხუთი დღით ბაკურიანს მიაშურებს, სადაც მწვრთნელები უმთავრეს ყურადღებას ფიზიკურ კონდიციებს დაუთმობენ. 26 ივნისს "დინამო" მოსამზადებელ შეკრებაზე გერმანიას გაემგზავრება და იქ 10 ივლისამდე დაჰყოფს. გერმანულ შეკრებაზე უჭრინის კრებული საკონტროლო მატჩებს ძლიერ სპარინგებთან გამართავს. უკვე მიღწეულია შეთანხმება და გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ 4 ივლისს "დინამო" სპლიტის (ხორვატია) "ჰაიდუკს" შეხვედება, 9 ივლისს კი "კარლ ცაისს" დაუპირისპირდება. ამხანაგური მატჩების გამართვასთან დაკავშირებით, "დინამო" მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის პირველი და მეორე ბუნდესლიგის კლუბებთანაც. როგორც ირკვევა, ეს კლუბებია "ბოხუმი", "ფიურტი", "აუე", "ესენი" და სხვა.

საინტერესოა, თუ რა ბედი ელით იმ ფეხბურთელებს, რომლებიც კონტრაქტით "დინამოს" ეკუთვნიან, მაგრამ გასულ სეზონში სხვადასხვა კლუბში იყვნენ განათხოვრებულნი. ვიცე-ჩემპიონთა ხელმძღვანელობა ამ თემაზე კონკრეტულად ჯერ არ საუბრობს. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, "ბათუმში" განათხოვრებულ ნახევარმცველ **გიორგი ნერგაძესა** და მცველ **უჩა ლობჟანიძეს** დუშან უჭრინის გუნდში მოუწევთ ასპარეზობა.

ცნობილია ისიც, რომ კლუბის მესვეურები გუნდის გასაძლიერებლად უცხოელ ფეხბურთელებსაც დაიმატებენ. როგორც გავიგეთ, ეს უცხოელები "დინამოს" გერმანულ შეკრებაზე შეუერთდებიან. მათ სწორედ საკონტროლო მატჩებში დააკვირდებიან და ლეგიონერთა რიცხვის გაზრდის საკითხიც შესაბამისად გადაწყდება.

დავით ცაბაძე

ოლიმპი: მეჯი ფული და ახალი სახეები

რუსთავის "ოლიმპი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ბადრი ქარქაშაძის** თქმით, საქართველოს "ოლიმპის" ინგლისელი დამფინანსებელი **ჯოზეფ კენი** ესტუმრა. ის, თურმე, დაფინანსების გაზრდას აპირებს. სიახლეა ისიც, რომ "ოლიმპში", ფაქტობრივად, გადაწყვეტილია **ჯაბა დვალის, დავით გიგაურის, ლევან სილაგაძისა** და **სერგი ორბელაძის** დამატება. ლიბერიელები გუნდს შეკრებაზე შეუერთდებიან, ისევე, როგორც **გია გურულის** მიერ შერჩეული ოთხი აფრიკელი მოთამაშე.

ლოკომოტივი: მიზანი მხოლოდ ხუთეულია

ბოლო ორი წელიწადია, თბილისის "ლოკომოტივი" ჩემპიონობაზე არც ფიქრობს. მისი ამბიცია მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დარჩენით შემოიფარგლებოდა. რა იქნება ახალი სეზონიდან? იყო ლაპარაკი ორიოდე კარგი ფეხბურთელის დამატებაზე, კლუბის ხელმძღვანელობა გაძლიერებას გეგმავდა. "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **ლექსო თოფურიამ** ვითარებაში გაგვარკვია:

"ახალ სეზონში დიდ მიზნებს არ ვისახავთ, მხოლოდ ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ. მიზეზი ისაა, რომ საგურამოში, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, თანამედროვე ბაზის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და თანხის დიდ ნაწილს სწორედ ამ საქმეში ვხარჯავთ. წესითა და რიგით, შემდეგ მთელი დაფინანსება გუნდის გაძლიერებას მოხმარდება. აი, მერე კი, "ლოკომოტივი" ძველ ამბიციებს დაიბრუნებს".

თოფურიას თქმით, "ლოკომოტივთან" კონტრაქტი დაუმთავრდათ და გუნდი დატოვეს გამოცდილმა ფეხბურთელებმა: თავდამსხმელმა **ლადო გოჩაშვილმა,** ნახევარმცველებმა -**შოთა ჩომახიძემ** და **მიხეილ სოსელიამ**.

მერაბ მამულაშვილი

მესხეთი: დიდი გეგმები, დიდი ამბიციები...

...მაგრამ ჯერ უფულოდ. ახალციხელები ევოჩეს უმიზნებენ

დაახლოებით ერთი თვის წინათ, როცა "მესხეთმა" უმაღლესში გადასვლა გაინაღდა, ახალციხეში დიდი ზეიმი მოეწყო. კლუბის პრეზიდენტი **გია მესხელიც** *იმედიანად იყო და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ "მესხეთი" აუტსაიდერთა შორის არ უნდა ყოფილიყო. წარმატება და შედეგი კონტინგენტზეა დამოკიდებული, კარგ კრებულს ჩვენს პირობაზეც ნორმალური ფინანსები სჭირდება. ამ მხრივ, ე.წ. ქართული "ნიუკასლის" (ქართულად - ახალციხე) საქმეც კარგად უნდა წასულიყო, მაგრამ... შესაძლოა სურათი შეიცვალოს.*

"კლუბი 80%-ით გამგეობის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. დანარჩენი 20% კი ჩვენი იყო. "მესხეთის" მომავალს მართლაც კარგი პირი უჩანდა. თუმცა, ახლახან, დაფინანსების მხრივ პრობლემა შეგვექმნა. გამგეობა საშემოსავლო გადასახადიდან შესული თანხით გვაფინანსებდა. კანონი შეიცვალა და ახლა ეს საშემოსავლო გამგეობის ბიუჯეტში აღარ რჩება, ცენტრალურში ირიცხება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბები, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ, ამ სუბსიდიებს ველარ მიიღებენ. ეს კი მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება ქართული ფეხბურთისთვის. ქვეყნის ხელისუფალთ უყვართ ფეხბურთი და, იმედია, ბიუჯეტზე მყოფ კლუბებს არ გაწირავს. სხვაგვარად, მარტო "მესხეთს" კი არა, სხვა კლუბებიც ცუდ ვითარებაში აღმოჩნდებიან," - თქვა "ლელოსთან" საუბარში "მესხეთის" პრეზიდენტმა გია მესხელმა.

მასთან საუბარში ახალციხელთა გეგმების შესახებაც შევიტყვეთ: "ახალი სეზონისთვის სამზადისი უკვე დავიწყეთ. ჩვენი სტადიონის მოედანს ვასწორებთ. თბილისიდან უკვე ჩამოყვანილი გვყავდნენ იმ ფირმის წარმომადგენლები, რომლებიც ახალ მოედანს დაგვიგებენ. მანამდე კი ჩვენსას შევაკეთებთ და იმედია, ფედერაცია და პროფლიგა საშინაო მატჩების ახალციხეში ჩატარების უფლებას მოგვცემენ. პირველ წრეში ახალციხეში ვითამაშებთ, მეორეში კი ბორჯომში გავმართავთ საშინაო შეხვედრებს, პარალელურად, ჩვენი არენის რეკონსტრუქციასაც დავიწყებთ. 2008 წელს, ახალ სეზონს, უკვე განახლებულ სტადიონზე შევხვდებით. აი, ასეთია ჩვენი გეგმა. მაგრამ ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. თუ ეს იქნება, ამ პროექტს განვახორციელებთ კიდეც," - გვითხრა მესხელმა.

ახალციხელთა პრეზიდენტი გუნდის გაძლიერებაზეც ზრუნავს. მისი თქმით, "სიონიდან" კამერუნელ ნახევარმცველ **გასტონ ევოჩეს** *დამატებაზე ბოლნისელებთან უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს. ახალციხელებს "ბორჯომიდანაც" უნდათ ფეხბურთელების დამატება. საინტერესოა, რა მოიმოქმედებს "მესხეთი", თუ ფინანსები არ გამოინახა - უმაღლეს ლიგაში თავის ადგილს სხვას ხომ არ დაუთმობს?*

"ჯერ კიდევ არ ვკარგავ იმედს, რომ ვითარება შეიცვლება და უკეთესობისკენ წავა. ეს საკითხი 15-20 ივნისის შუალედში უნდა გადაწყდეს. კიდევ ერთხელ ვამბობ: თუ ყველაფერი კარგად იქნა, ჩვენი პროექტის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგება. თუ არა და... უმაღლეს ლიგაში ადგილს სხვას ხომ არ დავუთმობთ? როგორ გითხრათ... თუ სხვა საშველი არ იქნება, უკიდურეს შემთხვევაში, ამასაც არ გამოვრიცხავ. ჩვენი მიზანია, უმაღლესშიც ამბიციური გუნდი გვყავდეს. არ გვინდა, აუტსაიდერისა და მაჩანჩალა გუნდის როლში ვიყოთ," - გვითხრა საუბრის ბოლოს "მესხეთის" პრეზიდენტმა.

დავით ცაბაძე

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. შეჯამება

ამერი

ადგილი ჩემპიონატში: 3

მონაწილეები

	მატჩი	ძირითადში	გოლი	ყვითელი	წითელი
ქვაჩახია (მეკ.)	26	26	-13	3	-
დავითნიძე	24	24	-	5	-
ს. დავითაშვილი	24	24	9	1	-
დოლიძე	24	22	7	6	-
ბოლქვაძე	22	22	3	5	-
ტატანაშვილი	22	7	11	-	-
ჩიკვილაძე	21	19	1	6	-
ხვადაგიანი	20	19	1	1	-
გ. ჯელაძე	20	11	1	4	-
დიდავა	19	19	1	4	-
დეკანოსიძე	19	15	2	2	-
დობროვოლსკი	18	18	1	2	1
გ. ელბაქიძე	18	16	-	3	1
წინამძღვრიშვილი	17	15	10	4	-
მჭედლიშვილი	15	8	1	3	-
ჩიმაკაძე	10	2	3	-	-
სევასტოპულო	9	3	1	-	-
კაკაშვილი**	7	5	1	-	-
მესხი**	7	4	-	3	-
გაბისკირია	6	3	-	1	-
გვაძაბია	3	2	-	-	-
სილაგავა	3	1	-	-	-
კედელაშვილი*	2	2	-	-	-
ნიკოლაიშვილი	2	-	-	-	-
ბერიანიძე	2	-	-	-	-
ნადირაშვილი (მკ.)	1	-	-1	-	-
ვაჩეიშვილი**	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

თბილისის "ამერს" ორივე ფრონტზე სურდა მაქსიმუმის მიღწევა, მაგრამ მხოლო ერთ ტიტულს დასჯერდა: 26 მაისს ზედიზედ მეორედ მოიგო საქართველოს თასი. საერთო ჯამში კი, გუნდი წინა სეზონზე უკეთესად გამოვიდა. თუ მეჩვიდმეტე ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე იყო, წლეულს მესამე ადგილი დაიკავა. მოკლედ, "ამერი" იზრდება. გიორგი ჩიხრაძის კრებულმა სეზონი სტაბილურად ჩაატარა და ვფიქრობთ, სატრანსფერო ბაზარზეც რომ ექტიურა, უფრო მეტს მიაღწევდა, ვინძლო, ჩემპიონიც გამხდარიყო. "ამერი" ის შემთხვევაა, როცა გუნდის სიძლიერეს კლუბის მიზანმიმართული პოლიტიკა განაპირობებს. ჩიხრაძის განკარგულებაში ახალგაზრდა ფეხბურთელებიც არიან და გამოცდილებიც. შეიძლება ითქვას, "ამერის" საშუალო ასაკი ოპტიმალურია. დამდეგი სეზონისთვის კი "ამერმა" უკვე აიყვანა ორი ახალი ფეხბურთელი...



გიორგი ჩიხრაძე
მთავარი მწვრთნელი

საუკეთესო მატჩი
ერთი თამაშის გამორჩევა ძნელია, თუმც პირველ წრეში რუსთავის "ოლიმპს" 2:2 რომ ვეთამაშეთ, ხასიათის სიმტკიცე გამოვავლინეთ. 0:2-ს ვაგებდით და მატჩი შემოვატრიალეთ, მეტიც, მოგებაც შეგვეძლო. ჩვენ მომავალ ჩემპიონს ვეთამაშებოდით. სეზონში კი თასის ფინალი იყო ჩვენთვის გამორჩეული მატჩი. თამაშში გარდატეხა შევიტანეთ და გავიმარჯვეთ.

ყველაზე ცუდი მატჩი
ასეთები, ალბათ, მეორე წრეში იყო. მაგალითად, შინ "ბათუმთან" 0:0 ვითამაშეთ, ბორჯომში კი 0:1 წავაგეთ. ამ მატჩებში შედეგიც ცუდი გვქონდა და თამაშის ხარისხიც.

პლუსი
ჩვენი ერთ-ერთი, მნიშვნელოვანი დადებითი თვისება ის იყო, რომ გუნდი ყოველთვის გუნდად რჩებოდა. ნებისმიერ სიტუაციაში "ამერი" ბოლომდე იბრძოდა და რამდენიმე შეხვედრაც შემოატრიალა. მატჩის მსვლელობისას ვახერხებდით თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას.

ზურაბ ქვაჩახიამ ყველა მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო

მინუსი
ხანდახან, ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით, როგორც უშუალო კონკურენტებთან, ისევე სხვა მეტოქეებთან. ზოგადად, ეს ჩვენს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს.

მომავალი სეზონი
კვლავაც უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, თასზეც და ჩემპიონატშიც.

საკადრო პოლიტიკა
ორი ფეხბურთელი უკვე დავიმატეთ: **კობა შალამბერიძე** "ბათუმიდან" და **არჩილ ალავიძე** "სიონიდან". ვაწარმოებთ მოლაპარაკებას **რევაზ გოცირიძესთან**, რომელიც წინა სეზონში "ოლიმპში" თამაშობდა. მოლაპარაკება მიმდინარეობს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან. "ამერიდან" კი ჯერ არავინ წასულა, თუ ვინმეს გავუშვებთ, მხოლოდ განათხოვრებით.

ჩემპიონატის რჩეულნი
მიმაჩნია, რომ მკვეთრად გამორჩეული არავინ ყოფილა. პირველ წრეში კარგად ითამაშა **დავით დილმელაშვილმა**, მეორეში **სანდრო იაშვილმა**. გამოვარჩევდი აგრეთვე **გრიგოლ დოლიძეს, რატი წინამძღვრიშვილს, დავით ბოლქვაძეს...** უნდა აღვნიშნო "ამერის" მეკარე **ზურაბ ქვაჩახიას** მეტად სტაბილური თამაშიც.

ამერი და ქომაგი
დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გულშემატკივრებთან მუშაობას. ჩვენი სტადიონი პატარაა, თუმცა "ამერის" საშინაო მატჩებზე ტრიბუნა ყოველთვის სავსე იყო. გასვლით მატჩებზეც მუდამ დაგვყვებოდა ჩვენი ფან-კლუბი.

ჩემპიონატის ფორმატი
ჩემპიონატის ფორმატი პრობლემატური შეიქნა, რადგან თუ ცხრილის თავში დაძაბულობა იყო, მეორე წრეში ქვევით რამდენიმე გუნდი უმოტივაციოდ დარჩა. გამოკვეთილი აუტსაიდერები დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ სხვა გუნდებს. თუ გუნდებს მყარი ფინანსური ზურგი ექნებათ, უმაღლეს ლიგაში მათი რაოდენობის შემცირების მომხრე არ ვიქნები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეკვეცა სასურველიც იქნება და აუცილებელიც.

გამორჩეული კოლეგები
შედეგის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ: **გიორგი კიკნაძე, თემურ მახარაძე, რევაზ ძოძუაშვილი, დუშან უპრინი...**


გიორგი ჩიხრაძე

მსაჯობა
იყო შეცდომებიც, თუმცა, საერთო ჯამში, მსაჯობისადმი პრეტენზიები არ მაქვს. წაგებული თამაშის შემდეგაც არ გამოვთქვამ მათ მიმართ პრეტენზიებს.

გარიგებული მატჩები
ძნელია, კონკრეტულად რაიმე ვამტკიცო, მაგრამ რამდენიმე მატჩში, შეიძლება, ეჭვი შევიტანოთ.

დავით თავართქილაძე

I ტური				
31.07.06	შ	ჩიხურა	2:0	გოლები: დავითაშვილი, ტატანაშვილი
II ტური				
06.08.06	ს	ბათუმი	1:0	გოლი: დოლიძე
III ტური				
20.08.06	შ	დინამო	2:0	გოლები: წინამძღვრიშვილი, ხვადაგიანი
IV ტური				
27.08.06	ს	დილა	4:1	გოლები: ტატანაშვილი, ჩიკვილაძე, დოლიძე, ჩიმაკაძე
V ტური				
09.09.06	შ	ბორჯომი	2:0	გოლები: დიდავა, დავითაშვილი
VI ტური				
17.09.06	შ	ტორპედო	1:0	გოლი: წინამძღვრიშვილი
VII ტური				
23.09.06	ს	სიონი	1:1	გოლი: სევასტოპულო
VIII ტური				
14.10.06	შ	კახეთი	3:0	გოლები: ბოლქვაძე, დოლიძე, ტატანაშვილი
IX ტური				
21.10.06	ს	ზესტაფონი	0:0	
X ტური				
29.10.06	შ	ლოკომოტივი	3:0	გოლები: დოლიძე, ტატანაშვილი, მჭედლიშვილი
XI ტური				
05.11.06	შ	მერანი	4:0	გოლები: დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი, დოლიძე, ტატანაშვილი
XII ტური				
18.11.06	შ	ოლიმპი	2:2	გოლები: დოლიძე, ტატანაშვილი
XIII ტური				
21.11.06	ს	ვიტ ჯორჯია	3:4	გოლები: წინამძღვრიშვილი, ტატანაშვილი, დოლიძე
XIV ტური				
23.02.07	ს	ჩიხურა	2:0	გოლები: წინამძღვრიშვილი, ბოლქვაძე
XV ტური				
02.03.07	შ	ბათუმი	0:0	
XVI ტური				
10.03.07	ს	დინამო	1:2	გოლი: დავითაშვილი
XVII ტური				
17.03.07	შ	დილა	2:1	გოლები: დავითაშვილი, ჩიმაკაძე
XVIII ტური				
31.03.07	ს	ბორჯომი	0:1	
XIX ტური				
07.04.07	ს	ტორპედო	1:0	გოლი: წინამძღვრიშვილი
XX ტური				
13.04.07	შ	სიონი	1:0	გოლი: ბოლქვაძე
XXI ტური				
21.04.07	ს	კახეთი	7:1	გოლები: დავითაშვილი (3), დეკანოსიძე, წინამძღვრიშვილი, დობროვოლსკი
XXII ტური				
27.04.07	შ	ზესტაფონი	1:1	გოლი: ტატანაშვილი
XXIII ტური				
05.05.07	ს	ლოკომოტივი	1:0	გოლი: ტატანაშვილი
XXIV ტური				
12.05.07	ს	მერანი	6:0	გოლები: წინამძღვრიშვილი (3), დავითაშვილი, ტატანაშვილი, კაკაშვილი
XXV ტური				
16.05.07	ს	ოლიმპი	0:0	
XXVI ტური				
20.05.07	შ	ვიტ ჯორჯია	3:0	გოლები: დეკანოსიძე, ტატანაშვილი, ჩიმაკაძე

26 მატჩი, 17 მოგება, 6 ფრე, 3 წაგება, ბურთები 53-14, 57 ქულა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ლიგა გაგრა

ფრანგებმა ფანცხავას კონტრაქტი შესთავაზეს

გაგრა ჯერ ასხვისებს...

"გაგრამ" უმაღლეს ლიგაში ადგილი ვერ მოიპოვა. ეს სიმპათიური გუნდი გაცილებით გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ "ჩიხურასთან" გადათამაშებაში დამარცხდა. თუმცა რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი მაინც გამოჩნდა და როგორც შევიტყვეთ, "გაგრას" მათი გასხვისება სურს. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძის** თქმით, ამ ნიჭიერი მოთამაშეებით ბევრი კლუბი დაინტერესდა: *"ჩვენ თავადაც ვართ დაინტერესებულნი, რომ ეს მზარდი ბიჭები პირველ ლიგაში არ დავტოვოთ. სხვაგვარად, მათი ზრდა შეჩერდება და საცოდაობა იქნება".*

ჩიხრაძემ ჯერ ვერაფერი გვითხრა იმაზე, აპირებს თუ არა "გაგრა" უმაღლესში თამაშს, სხვა გუნდების უარის შემთხვევაში: *"ჯერ თავად უნდა გავერკვეთ, გვაქვს თუ არა უმაღლესი ლიგისთვის საკმარისი რესურსები, შეგვიძლია თუ არა, ღირსეულად გამოსვლა. თუმცა ჯერ არც ერთ გუნდს არ შემოუთავაზებია გაერთიანება. პირიქით, რამდენიმე მოთამაშეს ახალციხის "მესხეთი" გვთხოვს".*

ჩიხრაძემ მხოლოდ ერთი , შესაძლო ტრანსფერის საკითხი გაგვიმხილა: **გია გურულის** ყოფილი კლუბი "ჰავრი" კლუბის პრეზიდენტ **ბესო ჩიხრაძესთან** მოლაპარაკებას ანარმოებს. ფრანგები 18 წლის ფორვარდ **ვახტანგ ფანცხავათი** დაინტერესდნენ. ეს ბიჭი აფხაზეთიდან ლტოლვილი ოჯახიდანაა. თამაში წყალტუბოში, **ტრისტან მანაგაძესთან** დაიწყო და "გაგრაში" გადასვლის შემდეგ, 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელ **ჰაინც ტოპმიოლერის** ყურადღება მიიქცია. თებერვალში, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე, ფანცხავა საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელეს. ამის შემდეგ, მას "ჰავრმა" კონტრაქტი შესთავაზა.

გუშინ, საფრანგეთში ბესო ჩიხრაძეს დავუკავშირდით. აი, რა გვითხრა მან: *"ახლა, "ჰავრის" პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტთან ერთად ვარ. დამთავალიერებინეს კლუბის ბაზა და ფანცხავასთან კონტრაქტის გაფორმება შემოგვთავაზეს. მე კი ვთვლი, რომ ეს ძალიან რთული საკითხია და ამ ბიჭმა თავი რომ გამოავლინოს, შესაბამისი გარემოც უნდა ჰქონდეს. საამისოდ, მას გვერდით კიდევ ერთი ქართველი სჭირდება. ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება".*

საინტერესოა, ვინ იქნება "მეორე ქართველი"?

მერაბ მამულაშვილი

მგლები

ახალი ხალხი და სტადიონი

ზუგდიდის "მგლები" უმაღლესი ლიგისთვის, რომ იტყვიან, მგლის მადით ემზადება. სამეგრელოს საფეხბურთო დედაქალაქი დღეს ზუგდიდია. უმაღლესში 11-წლიანი განმორების შემდეგ დაბრუნებულ გუნდს მეტად მზრუნველი პატრონი გამოუჩნდა. "მგლების" პრესატაშე **გელა ნაჭყეპიამ** საინტერესო ამბები გაგვიმხილა: თურმე, რუსთავის "ოლიმპიდან" მარცხენა ნახევარმცველ **გელა ხუბუას**, ბოლნისის "სიონიდან" კი მარჯვენა მცველ **ზურაბ ექონიას** იმატებენ. ნაჭყეპიასვე თქმით, მოლაპარაკება დაწყებულია უკრაინულ გუნდებთან, რომელთაგან ზუგდიდელები რამდენიმე მოთამაშის დამატებას ცდილობენ. რა გამოვა აქედან, მალე ვნახავთ. ამასთან, მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობაც. სეზონის დაწყებამდე 5 000-ანი ტრიბუნა მაყურებლის მისაღებად მზად უნდა იყოს. მშენებლობის მეორე ეტაპი ამის შემდეგ დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

გიორგი ლომაია ფლორან მალუდას ასწრებს

ლეგიონერი

ლომაიას უშვებენ, აშვეთიას სთავაზობენ...

როგორც ჩანს, საქართველოს ეროვნული ნაკრების გოლკიპერი მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისში" კარიერას აღარ გააგრძელებს. გუშინ, კლუბის ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში იენელთა მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ ნოიბარტმა** სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, მათ შორის, მეკარეთა თემასაც შეეხო. ჯერ ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, თუმცა უკვე ყველა ადასტურებს, რომ "ვერდერის" მეორე გუნდიდან "კარლ ცაისში" დანიელი "გოლიათი" (194 სმ) **კასპერ იენსენი** გადადის. 24 წლის გოლკიპერის გადაყვანა თიურინგიელებს ზამთარშიც სურდათ, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა და **გიორგი ლომაია** გადაიბირეს. ლომაიამ მეორე წრე კარგად ჩაატარა და მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა, როგორც ჩანს, "კარლ ცაისის" სამომავლო გეგმებში აღარ ფიგურირებს. აი, რას ამბობს ნოიბარტი:

"კასპერ იენსენის გადმოსვლა არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ის იქნება პირველი მეკარე, თუმც ამ ნომერს სწორედ ის მიიღებს. კარში ადგილის მოსაპოვებლად, იენსენი და კრისტიან პერსონი იბრძოლებენ. ასევე შანსი აქვს დანიელ კრაუსს".

როგორც ხედავთ, ნოიბარტი ლომაიას საერთოდ არ ახსენებს, რაც კიდევ უფრო აღვივებს ეჭვს, რომ ქართველი კიპერი "კარლ ცაისში" აღარ ითამაშებს. ესეც არ იყოს, უკვე გავრცელდა ხმები, თითქოს გიორგი თურქულ კლუბში აპირებს გადასვლას. რაც შეეხება მეორე ქართველ ლეგიონერ **მიხეილ აშვეთიას**, მას "კარლ ცაისში" დარჩენას სთავაზობენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

მიუხედავად იმისა, რომ 7 აპრილის შემდეგ ოფიციალურ მატჩში გოლი არ გაუტანია, ვასილ გიგიაძე უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირობისთვის ბრძოლას განაგრძობს. ის იმედოვნებს, რომ თავის აქტივს მომდევნო შეხვედრაში გაზრდის და თანაგუნდელთა დახმარებით, ბომბარდირობასაც მიაღწევს. უკრაინის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი, ხარკოველ გლადკისთან ერთად, ვასო 11 გოლით პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. უკრაინულ "სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ...

- "ტავრიასა" და "დნეპრთან" რატომ არ ითამაშეთ?

- არაფერი განსაკუთრებული, სეზონის დარჩენილ შეხვედრებს "კრივბასისთვის" გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს და მწვრთნელებმაც თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მისცეს. ეს კარგიცაა, მე და ძირითადის სხვა წევრებმა ცოტა ამოვისუნთქეთ.

- ამასობაში, უკვე ორი თვეა, გოლი არ გაგიტანიათ...

- ყველა მატჩში ბოლომდე ვიბრძვი, მაგრამ ხან არ მიმართლებს, ხან ოსტატობა არ მყოფნის... ეგ არაფერი, ცუდ ფორმაში ნამდვილად არ ვარ და იმედია, სანადელს დარჩენილ შეხვედრებში მაინც მივაღწევ.

- ყველაზე მეტად რომელი გუნდის კარში გაგიჭირდათ გატანა?

- "არსენალთან". სამაგიეროდ, ის გოლი ძალიან ლამაზი გამომივიდა. საჯარიმოს გარედან ბურთი კარისკენ "პარაშუტით" ჩავუშვი.

ინტერვიუ ვასილ გიგიაძესთან

ხან არ მიმართლებს, ხან ოსტატობა არ მყოფნის...

ბომბარდირობისთვის მებრძოლი გიგიაძე იგნორირებას განიცდის, მაგრამ იმედს არ კარგავს

- უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა დიდ მიღწევად მიგაჩნიათ?

- რა თქმა უნდა, და კიდევ ვიმეორებ, ამ ტიტულის მოსაგებად ყველაფერს ვიღონებ.

- ალბათ, ამ საქმეში პარტნიორების იმედი გაქვთ...

- დამეხმარებიან, აბა რას იზამენ (იცინის)? ჩემი ბომბარდირობა ხომ გუნდისთვისაც საამაყო იქნება. ყველაზე დიდი დახმარება, ბუნებრივია, ის იქნება, პენალტს თუ შემასრულებინებენ. მით უფრო, რომ ეს საქმე ურიგოდ ნამდვილად არ გამომდის.

- ბომბარდირობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

- ხარკოველ გლადკის, კარპატელ ბატისტასა და დნეპრელ ნაზარენკოს. ვფიქრობ, შანსები დაახლოებით თანაბარია. ყველას წარმატებას ვუსურვებ. საუკეთესო ღირსეულ ბრძოლაში უნდა გამოვლინდეს.

- თქვენი აზრით, უკრაინაში მოასპარეზე სხვა ქართველებს გოლის გატანა რატომ უჭირთ?

- პირველ რიგში, იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა ან მცველია, ან ნახევარმცველი. კარგი საგოლე ალღო აქვს ჯაბა კანკავას, მის ანგარიშზე უკვე ოთხი გოლია, დავით კვირკველიასაც არ გააქვს იშვიათად. აი, ირაკლი მოდებაძე კი, ხშირი ტრავმები რომ არ სტანჯავდეს, დარწმუნებული ვარ, ბომბარდირობისთვის იბრძოლებდა.

- საკვირველია, კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებში რომ არ გიწვევთ. ამის მიზეზი კონკურენციაა თუ სხვა რამ?

- ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. რადგან არ მიძახებს, ესე იგი, ასე მიიჩნევს საჭიროდ. ცხადია, იგნორირებას ძალიან განვიცდი, მაგრამ ვერაფერს შევცვლი. ისლა დამრჩენია, შრომა განვაგრძო, ეროვნულ გუნდში მოხვედრის იმედი არ დავკარგო და ბიჭების თამაშს ტელევიზორით ვუყურო.

მოამზადა

ლევან ჯანეზაშვილმა

მუჯირი თასისთვის

ირანის ჩემპიონატი მაისის ბოლოს დამთავრდა, თუმც საფეხბურთო სეზონი ჯერ არ დასრულებულა: **ჯაბა მუჯირს** თასის ფინალი ელის. ისპაჰანის "სეპაჰანი", რომელშიც მუჯირი თამაშობს, წლევანდელ სპარსულ ლიგაში მეხუთე ადგილზე გავიდა. ჯაბა მუდმივად თამაშობდა ძირითადში, ხოლო თეირანის "ესტეჰლალის" მარჯვენაფლანგელი **აქვსენტი გილაური**, ფაქტობრივად, ამოვარდნილი იყო თერმიტეულიდან. თასის ფინალში "სეპაჰანის" მეტოქე "საბა ბათერი" იქნება, რომელმაც 16-გუნდიან ჩემპიონატში მე-13 ადგილი დაიკავა. ფინალის პირველი მატჩი 10 ივნისს გაიმართება, საპასუხო 16 ივნისს.

"სეპაჰანმა" და მისმა ქართველმა მცველმა ირანის თასი შარშან მოიგეს, რითიც აზიის ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვეს. ისპაჰანელებმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი გადალახეს და მეოთხედფინალში გავიდნენ. პრესტიჟული აზიური საკლუბო ტურნირი სექტემბრიდან გაგრძელდება. მეოთხედფინალში "სეპაჰანის" მეტოქეს კი 19 ივნისის წილისყრა გაარკვევს.

დავით თავართქილაძე

ანჟი და ისევ მარცხი

რუსეთის პირველ დივიზიონში XV ტურის მატჩები გაიმართა. **ომარ თეთრაძის** "ანჟი" ბოლო დროს ცუდად თამაშობს. ამჯერადაც, ჩრდილოკავკასიურ დერბიში "ტერეკმა" მას 2:0 აჯობა. ქართული ტრიოდან არ უთამაშია **ზურაბ არზიანს, გორა ხოჯავა** და **კახა მჟავანაძე** სასტარტოში იყვნენ. ხოჯავა თეთრაძემ 65-ე წუთზე შეცვალა, მჟავანაძემ კი ყვითელი ბარათი მიიღო. ბრიანსკის "დინამო" სტუმრად "ნოსტას" დაუზავდა - 1:1. **პაატა ჯინჭარაძემ** დინამოელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა. ბრიანსკელები 23 ქულით მეშვიდე ადგილზე არიან, მეცხრე საფეხურზე ჩაინაცვლა "ანჟიმ", რომელსაც 22 ქულა აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN ევროპისის სიფრცელი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბიზნესზეზე სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN IP-TV ტელევიზიის დაფარვა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი ფოსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ადგილიდან გაუცვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, ველოდებიო, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ფაბიო კვალიარელა ლიტვურ დუბლს ზეიმობს

იტალია

რად გვინდა ჭოჭი, როცა გვყავს კვალიარელა

დონადონი ახალი ფორმაციით კმაყოფილია, კვალიარელას უკვე იუვენტუსი უმიზნებს

...ეს იყო საუკეთესო თამაში იტალიის ნაკრების შესრულებით, იქედან მოყოლებული, რაც გუნდს სათავეში **რობერტო დონადონი** ჩაუდგა - ასეთია აპენინური მედიის აზრი. თუმცა იგივე მედიამ, ორიოდ დღით ადრე, მკაცრად გააკრიტიკა "სკუადრა აძურა" ფარერული უსახურობისთვის, რაც გუნდს ლამის სკანდალურ ფრედ დაუჯდა. მართალია, იგივე დონადონიც ლიტვაში მოგების შემდეგ სხვანაირად აჭიკჭიკდა, მაგრამ ჯერჯერობით, მას ვერ ექნება მშვიდი ცხოვრება, გამომდინარე იქიდან, რაც იტალიის ნაკრებში ხდება. ხდება კი ის, რომ იცვლება თაობა, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. დონადონიმ ახალი გუნდის ჩამოყალიბება დაიწყო. მან იცის, რომ იმ კრებულმა, უფრო სწორად, მისმა ერთმა ნაწილმა, მუნდიალის მოგების შემდეგ მოტივაცია დაკარგა, ან კრიტიკულმა ასაკმა უწია. დონადონიმ იგრძნო ახალი სისხლის აუცილებლობა და თამამად წავიდა განახლებაზე. მან ისიც იცის, რომ ეს რთული გზაა, მაგრამ ეს გზა აუცილებლად გასავლელია...

აი, მაგალითად, **ფაბიო კვალიარელა**. "დონმა" ოთხშაბათს ის პირველად დააყენა ძირითად შემადგენლობაში. "სამპდორიის" ფორვარდმა, რომელსაც, ეტყობა, გენუაში დიდხანს გაჩერება აღარ უწერია, მწვრთნელის ნდობა დუბლით გაამართლა. კვალიარელას გამოჩენამ დონადონის ისიც კი ათქმევინა, რაში გვჭირდება **ფრანჩესკო ტოტი**, როცა აგერ, რა ფორვარდი გვყოლიაო:

"მე მგონი, ჩვენ უნდა მოვრჩეთ დისკუსიებს იმის თაობაზე, თუ ვინ და რატომ აკლია გუნდს. ვისაც არ უნდა ნაკრებში თამაში, ნუ ითამაშებს, იტალიას ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს. ვიცი, რომ ძნელია ახალ სახეებთან შეგუება, შეიძლება თამაშიც ჯერ ვერ იყოს ისეთი სტაბილური, როგორიც გვინდა, მაგრამ მოთმინება გმართებთ, თქვენც და ჩვენც, მცირე მოთმინება და მეტი ბალანსი შეფასებებში. მე ვფიქრობ, ამ გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რას ნიშნავს, იყო მართლაც გუნდი, ამ ცნების პირდაპირი გაგებით. მართალია, ლიტვაში ბოლოს სიმწვავე დავკარგეთ, მაგრამ ამ დროისთვის საქმე გაკეთებული გვქონდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს სეზონის ბოლოა და მაინც, ჩვენ ვნახეთ ფეხბურთელები, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ კლუბებში და მერე ეს წარმატებები ნაკრებშიც გადმოიტანეს. იტალია ყოველთვის იყო ტალანტების ქვეყანა. და ჩვენ ეს ტალანტები თამამად უნდა დავაწინაუროთ".

კვალიარელა იუვესთვის?

რა თქმა უნდა, ამ ტალანტებში ერთ-ერთი კვალიარელაა. მისი ბრწყინვალე თამაშისა და შედეგის შემხედვარე დონადონი, აღარ გადაყვება იმაზე ფიქრს, დაბრუნდება თუ არა **ფრანჩესკო ტოტი** სასექტემბროდ. ეს კი ის დროა, როცა გადამწყვეტი მატჩები იქნება ჩასატარებელი საფრანგეთთან და შოტლანდიასთან. მას უკვე ჰყავს ფეხბურთელი, რომელსაც ენდობა, სწრაფი და საზრიანი, მუდმივად ბურთზე დაგეშილი კვალიარელა. მაგრამ 23 წლის ახალგაზრდისთვის მაინც რთული იქნება კონკურენცია **ლუკა ტონისთან, ალბერტო ჯილარდინოსთან** (ორივე ტრავმირებული იყო), თუმც **ალესანდრო დელ პიერო** და **ფილიპო ინძაგი** უკვე კარიერის დასასრულს მიუახლოვდნენ. ამ ორის ნაკრებში გამოძახება დონადონის მაინც იძულების წესით უწევს ხოლმე...

შარშანდელ სეზონში კვალიარელა "ასკოლის" ღირსებას იცავდა. 33 მატჩში მან მხოლოდ 3 გოლის გატანა შეძლო. მიუხედავად ფორვარდისთვის ფრიად შემაძრწუნებელი შედეგისა, **ვალტერ ნოველინომ** მას გენუაში უკრა თავი. და აქ გაიხსნა. გაცილებით პრესტიჟულ "სამპდორიაში" მან 35 მატჩი ჩაატარა და 13-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. ცხადია, ვერც ამაზე ვიტყვით, რომ გადასარევი შედეგია, მაგრამ დონადონი ხედავს, რომ ფეხბურთელი პროგრესირებს, ასეთ დროს კი ხელის შეშველებაა საჭირო...

მოკლედ, საქმეს ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ კვალიარელას "სამპში" დიდხანს არ გააჩერებენ. ამასწინათ, "ინტერზე" დაიწერა, ახალი ტალანტის გადაბირება სურსო, მაგრამ "ნერაძურიმ" არჩევანი კალიარელ **დავიდ სუასოზე** შეაჩერა. გუშინ კი "იუვენტუსზეც" აგორდა ხმები. კვალიარელა სანახევროდ "უდინეზეს" საკუთრებაცაა. ტურინელები აპირებენ, ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებები მთლიანად თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ. თუ რამდენის გადახდა მოუწევთ საამისოდ, ჯერ ცნობილი არ არის. მაგრამ ის კი უკვე ვიცით, რომ ჯილარდინოში "მილანის" მიერ მოთხოვნილი 17 მილიონი გირვანქა ტურინში ძალიან ეძვირათ. აქედან გამომდინარე, ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ კვალიარელა სადღაც 5-6 მილიონით ნაკლები ეღირება.

"იუვეს" ახალმა თავკაცმა **კლაუდიო რანიერიმ** გარკვევით თქვა, რომ ახალ სეზონში ოთხი ფორვარდი დასჭირდება. გასარკვევია **დავიდ ტრეზეგეს** საკითხი. ფრანგი კონტრაქტის გაფორმებას აჯანჯლებს. "ქალბატონი" კი დიდხანს ვერ მოიცდის. უნდა ვიფიქროთ, რომ კვალიარელას შესაძენ ფულს რანიერი ტრეზეგეს გაყიდვით იშოვნის. ამას გარდა, "იუვეს" ჰყავს დელ პიერო, **რაფაელე პალადინო** და **მარსელო სალაიეტა**. ამ უკანასკნელის ტურინული კარიერა ყოველი სეზონის ბოლოს კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მაგრამ ფაქტია, რომ სალაიეტა, ჯერ-ჯერობით, ფეხს არ იცვლის. როგორ იქნება ამჯერად, ძნელი სათქმელია.

კვალიარელა კი, მსჯელობს რა საკუთარ მომავალზე, აცხადებს, რომ მისთვის ერთადერთი პრიორიტეტი გარანტირებული სათამაშო დროა: *"სანაკრებო მატჩების შემდეგ არდადეგებზე მივდივარ. ერთი სული მაქვს, როდის დავისვენებ. ახლა ტრანსფერების დროც მოდის. ჩემი კონტრაქტი თანამფლობელობის პრინციპითაა შედგენილი და ვფიქრობ, შესაძლებელია, ეს პრინციპი ძალაში დარჩეს. ჩემთვის მთავარია, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს".*

იუვე კამოს ემუქრება

ეტყობა, **მაურო კამორანეზი** "იუვენტუსში" დარჩენას აღარ აპირებს. ფეხბურთელსა და კლუბის უფროსობას შორის კონტრაქტის თაობაზე პერმანენტული უთანხმოებაა, ჯერ კიდევ **მარჩელო ლიპის** ბოლო ტურინული სეზონიდან მოყოლებული. თუ ადრე ურთიერთობის დარეგულირება როგორღაც ხერხდებოდა, ახლა ამის შანსი საკმაოდ მცირეა. კამორანეზის "იუვესთან" ხელშეკრულება 2009 წელს უმთავრდება. ბოლო პერიოდში ის მუდმივად იმეორებს, რომ გაურკვევლობაშია და არ იცის, დარჩება თუ არა "ქალბატონის" განკარგულებაში. ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა აზრისაა კამორანეზიზე **კლაუდიო რანიერი**. ფეხბურთელის აგენტი **სერჯო ფორტუნატო** კი სისტემატურად ხვდება "იუვეს" ბოსებს, მაგრამ ამ შეხვედრებიდან სასიკეთო ჯერ არაფერი ჩანს. აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტით "რომაა" დაინტერესებული. თუმცა ამ პროფესიის ხალხისგან ეს ერთგვარი ხრიკიც შეიძლება იყოს. მოვუსმინოთ სინიორ ფორტუნატოს:

"საქმე კარგად ვერ მიდის, კლუბის ხელმძღვანელობასთან ტოტალური უთანხმოება გვაქვს. პირველ რიგში, ეს ეხება კამორანეზის კონტრაქტის ფინანსურ მხარეს, იმას, თუ რას გვთავაზობს კლუბი და რას ვითხოვთ ჩვენ. ვფიქრობ, "რომა" მისთვის იდეალური ალტერნატივა იქნებოდა. სხვათა შორის, შარშან ამ ტრანსფერის განხორციელებას თითქოს არაფერი აკლდა, მაგრამ გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა. ის, რომ კამორანეზიმ გუნდს არ უღალატა და გაჭირვების დროს სერია B-ში წაჰყვა, არავის ახსოვს. საპასუხოდ, ის კლუბისგან მუქარას ილებს".

აგენტი იმედს გამოთქვამს, რომ "იუვენტუსის" მესვეურნი საღ აზრს მოუხმობენ და "კამო" მიიღებს იმას, რასაც ერთგულებისთვის იმსახურებს.

რეალი

ჰაინცე და ადრიანო მადრიდში?

კალდერონი რობენის ყიდვას აპირებს, ლონდონელები სამეფო კლუბს ფიფაში უჩივიან

"რეალმა" მარცხენა მცველის ტრანსფერზე ინტენსიური მუშაობა გააჩაღა. მადრიდელთა უპირველესი სამიზნე "მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ლეგიონერი **გაბრიელ ჰაინცეა**. სამეფო კლუბი **რობერტო კარლოსის** შემცვლელს ეძებს. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა გალაქტიკომ "ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან სტამბოლურ გრანდში ითამაშებს. "მენიუმ" ჰაინცე 2004 წლის ზაფხულში "პარი სენ ჟერმენიდან" შეიძინა. "ეშმაკებს" ეს სიამოვნება 6.9 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. გაბრიელს "ბარსელონა" და "იუვენტუსიც" აკვირდებიან. მას მანჩესტერულ კონტრაქტში ორი წელი აქვს დარჩენილი. ახალი სატრანსფერო კანონმდებლობით კი ამ ორი წელის გამოსყიდვა შეუძლია.

ესპანური სააგენტოების მტკიცებით, "რეალის" სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი ადრიანოს** აგენტ **ჟილმარ რინალდის** შეხვდა. რინალდიმ მადრიდელ ჩინოვნიკს აუწყა, რომ მისი კლიენტი ორ კვირაში გადაწყვეტს, დარჩება თუ არა "ინტერში". და თუ არ დარჩება, მადრიდელებთან გამართავს მოლაპარაკებას. უცნაური ისაა, რომ იმავე სააგენტოების მტკიცებით, მიატოვიჩი ადრიანოს **რუუდ ვან ნისტელროის** დუბლიორად განიხილავს. საეჭვოა, ბრაზილიელი ვარსკვლავი დუბლიორის ამპლუამ დაკმაყოფილოს. მადრიდელთა ახალგაზრდა თავდამსხმელი **რობერტო სოლდადოს** "რეალში" დაბრუნება არ სურს. ის მიმდინარე სეზონს იჯარით "ოსასუნაში" ატარებს და საკმაო წარმატებითაც.

"რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** თქვა, რომ მისი ემისრები **არიენ რობენს** დაუკავშირდნენ: *"მოლაპარაკებები საწყის სტადიაშია. რობენის ტრანსფერი ჩემი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. მე ამ პირობის შესრულებას ვაპირებ."* კალდერონის კომენტარს დაუყოვნებლივ მოჰყვა გამოხმაურება ლონდონიდან. "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** განაცხადა, რომ "რეალს" ფიფაში უჩივლებს. კენიონის აზრით, საქმე გვაქვს სატრანსფერო კანონმდებლობის უხეშ და თავხედურ დარღვევასთან. მადრიდელები ფეხბურთელს კლუბის გვერდით ავლით დაუკავშირდნენ. ამიტომ ისინი უმკაცრესად უნდა დაისაჯონ: *"მისტერ კალდერონი თვითონვე აღიარებს, რომ დანაშაულს ჩადის. "რეალი" "ჩელსის" არ დაკავშირებია. მადრიდელთა სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს ჩვენს უფლებამოსილ პირთან შეხვედრა არცკი უცდია, რათა არიენის საკითხი განეხილა. აუცილებლად მივწერთ ფიფას, რათა ის ამ საკითხით დაინტერესდეს და გამოიძიოს."* 23 წლის ჰოლანდიელი გარეშარბი "ჩელსიში" 2004 წელს "ეინდჰოვენიდან" 12 მილიონ გირვანქად გადავიდა. პირველ ორ სეზონში მან ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გასული სეზონის უმეტესი ნაწილი კი ტრავმის გამო გაუცდა.

იუვენტუსი

დარჩა!

ბუფონის ახალი კონტრაქტი

ჯანლუიჯი ბუფონმა წერტილი დაუსვა სპეკულაციებს "იუვენტუსიდან" მოსალოდნელი აბარგების შესახებ. გუშინ მან "ქალბატონთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. მეკარე ტურინში 2012 წლამდე დარჩება (ძველი ხელშეკრულება 2011 წელს იწურებოდა). სერია A-ში აღზევების მიუხედავად, ჯიჯი "იუვედან" აბარგებაზე ფიქრობდა, მაგრამ დირექტორებთან მოლაპარაკებებს უკვალოდ არ ჩაუვლია. კონტრაქტის ხელმოწერისთანავე ბუფონმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა ჩემს კარიერაში. ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო."*

"პარმის" ყოფილი კარის დარაჯი ორივე მილანურ გრანდს სურდა. ბუფონი იმუქრებოდა, თუ კლუბი უმაღლესი მიზნებისათვის ვერ იბრძოლებს, წავალო. დირექტორებთან შეხვედრა ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი. ჯიჯი ამბობს: *"პროექტი, რომელიც გამაცნეს, ძალიან ამბიციური და რეალისტურია. დარწმუნებული ვარ, ყველა დასახული ამოცანის შესრულება შეგვიძლია."* გარიგების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ, თუმცა ვარაუდობენ, რომ მეკარეს გაზრდილ ხელფასს გადაუხდიან. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჯიჯი "პარმიდან" 2000 წელს 33 მილიონ გირვანქად გადაიყვანეს.

ბრაზილია კოპა ამერიკისათვის გაემზადა

კარლოს დუნგამ კოპა ამერიკისათვის 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. ტურნირი 26 ივნისიდან 15 ივლისამდე ვენესუელაში ჩაივლის. შეთანხმებისამებრ, დუნგამ არც **კაკა** გამოიძახა და არც **რონალდინიო**. გასული პარასკევს და ოთხშაბათს პენტაკამპეონებმა ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს: ინგლისთან (1:1) და თურქეთთან (0:0). მწვრთნელმა შემადგენლობა ამ თამაშების შემდეგ შეარჩია. გუნდში მხოლოდ ექვსი ფეხბურთელია ისეთი, რომელმაც შარშანდელ მუნდიალზე ითამაშა. ჯგუფურ ტურნირში ბრაზილიელთა მეტოქეები არიან მექსიკა, ჩილე და ეკვადორი.

მეკარეები – დონი (რომა), ელტონი (პორტუ);

მცველები – ალექს სილვა (სან პაულუ), ალექსი (ეინდჰოვენი), ჟუანი (ლევერკუზენი), ნალდო (ვერდერი), დანიელ ალვეში (სევილია), ჟილბერტო (ჰერტა), კლებერი (სანტოსი), მაიკონი (ინტერი);

ნახევარმცველები – დიეგო (ვერდერი), ელანო (შახტარი), ფერნანდო (ბორდო), ჟილბერტო სილვა (არსენალი), მინეირო (ჰერტა), ჟოსუე (სან პაულუ), ზე რობერტო (სანტოსი);

თავდამსხმელები – აფონსო (ჰერენვენი), ფრედი (ლიონი), რობინიო (რეალი), ეაგნერი (ცსკა), ანდერსონი (პორტუ).

პალერმო კოლანტუონოს ჩააბარეს

მილოდინისამებრ, "პალერმოს" მთავარ მწვრთნელად "ატალანტის" ყოფილი დამრიგებელი **სტეფანო კოლანტუონო** დაინიშნა. მან ამ პოსტზე **ფრანჩესკო გვიდოლინი** შეცვალა. 44 წლის კოლანტუონომ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სიცილიელებმა სეზონი მეექვსე ადგილზე დაასრულეს და უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. პალერმოელთა პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ეს შედეგი არადამაკმაყოფილებლად მოეჩვენა.

კარლ ჰოპფენერი, ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი და ული ჰაინესი

ბაიერნი

ვარსკვლავური პრეზენტაცია

რიბერის შვიდი, ტონის კი ცხრა ნომერი ერგო

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **მიხაელ ბალაკის** შემდეგ "ბაიერნს" ასეთი რანგისა და დონის ფეხბურთელები არ შეუძენია - გუშინ რეკორდმაისტერმა ორი სუპერვარსკვლავი წარადგინა: იტალიელი გოლეადორი **ლუკა ტონი** და ფრანგი გარემარბი **ფრანკ რიბერი**. 29 წლის აყლაყუდა ფორვარდი და 24 წლის დრიბლიორი ჟურნალისტებს ბავარიული გრანდის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმა** და მმართველმა დირექტორმა **კარლ ჰოპფენერმა** წარუდგინეს.

რიბერიმ, რომელმაც წარდგენამდე სამედიცინო შემოწმება გაიარა, "ბაიერნთან" ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ რეკორდმაისტერმა მარსელის "ოლიმპიკს" მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაუხადა. ჰაინესი ამას არ ადასტურებს, თუმცა ამბობს, დამიჯერეთ, ძალიან დიდი თანხა გავიღეთო. ტონის ფასი კი, როგორც იცით, 11 მილიონი ევროა. ლუკას კონტრაქტსაც 2011 წლამდე აქვს ვადა. რიბერიმ შვიდნომრიანი მაისურა მიიღო. როგორც იცით, აქამდე ეს ნომერი **მეჰმეთ შოლს** ჰქონდა, რომელმაც კარიერა დაასრულა. ტონი კი 9 ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. აქვე შეგახსენებთ, რომ გადაწყვეტილია **ზე რობერტოს** დაბრუნებაც, რომელიც მიუნხენურ კლუბს "სანტოსიდან" მიაშურებს.

მანამდე ბავარიელებმა შაალკელი **ჰამით ალთინთოფი** (უფასოდ), მიონხენგლადბახელი **მარსელ იანსენი** (10 მილიონი), აახენელი **იან შლაუდრაფი** (1.2 მილიონი) და ესტუდიანტესელი **ხოსე ერნესტო სოსა** (10 მილიონი) დაიბევეს. ანუ, გამოდის, რომ "ბაიერნმა" უკვე 57 მილიონი დახაჯრა.

რუმენიგე კანის ლანძღვას არ ეშვება

ოლივერ კანი ნერვებმოშლილია იმის გამო, რომ "ბაიერნმა" სეზონი ჩააგდო. ტიტანს აქტიურ სპორტულ კარიერაში მხოლოდ ერთი წელიღა დარჩა და მისთვის მიუღებელია ის, რომ ბოლო სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად უეფას თასზე უნდა იასპარეზოს. რეკორდმაისტერი გერმანიის თასს მერვედფინალში გამოეთიშა (ალემანიასთან), ჩემპიონთა ლიგას მეოთხედფინალში, ბუნდესლიგაში კი სულაც მე-4 ადგილი დაიკავა - კანისთვის ეს მეტისმეტია.

სეზონის დასრულებიდან უკვე სამი კვირა გავიდა. გუშინდელ ნომერში "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** კომენტარი შემოგთავაზეთ, სადაც მან ოლივერ კანი გააკრიტიკა. კალე ამით არ დაკმაყოფილდა და ოლიზე "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუშიც ისაუბრა. ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინათ რუმენიგე კანს შეხვდა და აუხსნა, თუ რის გამოა მისით უკმაყოფილო. ხსენებულ ინტერვიუში კალე ამ საუბრის დეტალებს ამხელს. *"ოლივერს ვუთხარი, რომ ჩემთვის, ისევე, როგორც ული ჰაინესისთვის, მიუღებელია ის, რომ ის ყოველ დილას ცუდ ხასიათზეა. ამით მთელ გუნდს უფუჭებს განწყობას. ასევე, ჩვენთვის მიუღებელი იყო ის, რომ მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" მატჩის წინ ოლი საფრანგეთში დასასვენებლად გაფრინდა. მიუხედავად იმისა, რომ ოტმარ ჰიტცფელდმა იმ შეხვედრაში რენზინგი ათამაშა, კაპიტანი მაინც გუნდთან ერთად უნდა ყოფილიყო. ასეთი რამ დაუშვებელია. აუცილებელი არაა, რომ ოლივერმა ეს შეიგნოს, მაგრამ აუცილებელია, რომ ჩვენი საყვედური მიიღოს და გაითვალისწინოს!"* - აცხადებს რუმენიგე.

ამასთან, კალე ამბობს, რომ კანის საქციელმა ეჭვქვეშ დააყენა ოლის გამოსათხოვარი მატჩის ჩატარება, რასაც რუმენიგე და ჰაინესი მას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეპირდნენ: *"მგონი, გასაგებად ვამბობ: კანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გამოსათხოვარი მატჩი შედგეს. ეს ოლიმ თვითონ უნდა დაიმსახუროს."*

რუმენიგეს ასეთი განცხადებები ყველასათვის მოულოდნელია. გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა კალემ კანის საქციელის კომენტირება ასე გვიან და თანაც ასე საჯაროდ. ფაქტი ის გახლავთ, რომ კანს სეზონი არ ჩაუდგია. ბავარიული გიგანტის მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** რუმენიგეს ამ განცხადებების შესახებ ასეთ კომენტარს აკეთებს: *"როცა შეფი ასეთ რამეს ამბობს, ამბობს და მორჩა!"* თვითონ ოტმარი კი იმედოვნებს, რომ ოლი მომავალ სეზონში ძველებურად შემართული და მონდომებული იქნება.

გოტფრიდ ლენცი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლოზეს ბაიერნში ახლავე უნდა

მიუნხენელებმა ვერდერს 10 მილიონი შესთავაზეს

სლოვაკეთთან მიღწეული გამარჯვების შემდეგ, "ვერდერისა" და გერმანის ნაკრების თავდამსხმელმა **მიროსლავ კლოზემ** განაცხადა, ადრე თუ გვიან, კარიერას "ბაიერნში" გავაგრძელებო და იქვე დაამატა, არაფერი მაქვს იმის სანინააღმდეგო, რომ რეკორდმაისტერში ახლავე გადავიდეო. ამრიგად, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ბრემენელი გოლეადორი მიუნხენში გადასვლის სურვილს საჯაროდ გამოხატავს. დასამალი არც არაფერია - "ბაიერნი" კლოზეს ხომ დიდი ხნის წინათ მოურიგდა.

"ფაქტი ის არის, რომ 2008 წლიდან აუცილებლად "ბაიერნში" ვითამაშებ, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ტრანსფერი ახლავე განხორციელდეს. სიმართლე გითხრათ, მირჩევნია, რომ ყველაფერი მალე გაირკვეს. თუკი "ვერდერში" კიდევ ერთი წლით დავრჩები, პიროობს ვდებ, რომ ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ," - განუცხადა მირომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერი **ული ჰაინესი** ამბობს, რომ "ვერდერის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ 10 დღის წინათ დაიწყო. *"დიახ, ბრემენელებმა ჩვენგან შეთავაზება უკვე მიიღეს,"* - ადასტურებს ჰაინესი. როგორც ირკვევა, ბავარიელებმა "ვერდერს" 10 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაც ბრემენელებს ძალიან ეცოტავათ. ისინი მიროს სანაცვლოდ 15 მილიონს ითხოვენ. უკანასკნელი ინფორმაციით, "მუსიკოსთა" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** მიუნხენელებს კლოზეს **ლუკას პოდოლსკიში** გაცვლა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

მანჩესტერ იუნაიტედი

ჩემპიონი სელექციაშიც

ამ ერთი კვირის წინათ, "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ **ნანისა** და **ანდერსონის**, მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელების შეძენის შესახებ განაცხადა. მაგრამ მაშინ, როცა მანჩესტერის "წითელმა" ნახევარმა ეს სასიხარულო ცნობა აღიქვა, პრემიერლიგის დანარჩენი 19 კლუბი შოკმა მოიცვა. როგორც ჩანს, სელექციის მხრივ ინგლისის ჩემპიონები ყველას აშკარად სჯობნიან.

შესაძლოა, მცველ **გარეთ ბეილის** გადაბირებით "ტოტენჰემმა" "მენიუს" აჯობა, 30 მილიონ გირვანქად შეფასებული პერსპექტიული ფეხბურთელების აყვანით, "წითელი ეშმაკუნები" ფრიად კმაყოფილნი არიან და ხელებსაც იფშვნეტენ. ჯერაც არაა ცნობილი, სერ **ალექს ფერგიუსონს** სურდა კი საერთოდ ბეილის ყიდვა, ფეხბურთელისა, რომლის ტრანსფერიც 5 მილიონ გირვანქად (თუ კონტრაქტის პირობებს გავითვალისწინებთ, შეიძლება, 10 მილიონადაც) შეფასდა. მაგრამ თუ ტაბლოიდებს დავუჯერებთ, ფერგის ამ ფეხბურთელის გადაბირებაში ხელი მოეცარა. ფაქტი კი ისაა, რომ ორმაგი შენაძენი, ისევე, როგორც აგვისტოში **კარლოს ტევესისა** და **ხავიერ მასკერანოს** "ვესტ ჰემში" გადასვლა, "სახელმწიფო საიდუმლოების" რანგში იყო აყვანილი.

"მომავლის მოთამაშედ" მიჩნეული 19 წლის ანდერსონის მიწვევა მსოფლიოს სხვა უძლიერეს კლუბებსაც სურდათ. მისი ტალანტი, პირველად, იუნიორთა მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონატის დროს გამოჩნდა. ღღეს კი მას "ახალ რონალდინიოს" უწოდებენ. როცა ანდერსონი მიზანში "ბარსელონამ" ამოიღო, ხოლო "არსენალი"-"პორტუს" საჩემპიონთალიგო დუელის შემდეგ **არსენ ვენგერისგან** ქათინაურები დაიმსახურა, მისმა აქციებმა უცებ იმატა. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ბოლოს ყველაფერი "ოლდ ტრეფორდზე" გადაწყდებოდა. საქმე ის კი არაა, რომ ფერგიუსონს კარგი ფეხბურთელის აღმოჩენის უნარი არ აქვს. სრულიადაც არა, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან **მაიკლ ქერიკში** 18 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, ამ გაზაფხულს კი 17 მილიონი **ოუენ ჰარგრივსში**, ნახევარდაცვის ცენტრს თითქოს აღარ უნდა დასჭირვებოდა გაძლიერება. ამასთან, "იუნაიტედმა" უკვე მოასწრო ისეთი კლუბის რეპუტაციის მოხვეჭა, რომელიც არ ერიდება დიდძალი თანხის დაბანდებას საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეებში. თავის დროზე, **უეინ რუნის** ტრანსფერი "ეშმაკებს" 30 მილიონი გირვანქა დაუჯდათ, იმდენივე, რამდენიც **რიო ფერდინანდში**. აი, **კრისტიანო რონალდო** კი, ამათთან შედარებით, სასაცილო თანხა - 12 მილიონი გირვანქა დაჯდა.

ნანიც ამ ერთგვარი ჯაჭვის გაგრძელებაა. 20 წლის გარემარბი, თამაშის მანერით, სწორედ კრისტიანო რონალდოს ასლია. და სხვათა შორის, მანაც ლისაბონის "სპორტინგში" "აიდგა" ფეხი, მაგრამ უფროსი მეგობრისგან განსხვავებით, გაცილებით ადრე მოხვდა პრემიერლიგური კლუბების ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებით აქტიურობდა "ტოტენჰემი" და თითქოს, ამ ზაფხულს, ნანი "უაით ჰართ ლეინზე" უნდა წარედგინათ. ამბობენ, რომ "მამლები" მასში 12 მილიონ გირვანქას იძლეოდნენ, იმ დროს, როცა მასზე სატრანსფერო უფლების შესყიდვა 17.5 მილიონი ღირდა. თავად ფეხბურთელს კი, თუ "დეილი მირორს" დავუჯერებთ, "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა სურდა: "პორტუგალიას მხოლოდ იმიტომ დავტოვებ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" დარ გუნდში გადავიდე" - ვითომ ასე ამბობდა ფეხბურთელი, მაგრამ ცნობილია, რომ ტაბლოიდებს მაინცდამაინც არ უნდა ენდო...

ნისლი გაფანტა ცნობამ იმის შესახებ, რომ "იუნაიტედის" მეორე მწვრთნელი **კარლუშ კეირუში** და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი** ლისაბონში ხელშეკრულების გასაფორმებლად გაემგზავრნენ. მაგრამ ჯერ ანდერსონის შეძენის შესახებ განაცხადეს, შემდეგ კი ნანის ამბავიც გაახმაურეს. თითქოს ემისართა დუეტი პორტუგალიაში დასახული მიზნით ჩავიდა, პერსპექტიული გარემარბი კი ექსპრომტად შეიძინა. ორ თვითნაბად ტალანტს შორის პრიორიტეტად რომელი ითვლებოდა, ამაზე ისტორია დუმს, მაგრამ სელექციის დაწყება ადგილისა და პიროვნების გაცნობის გარეშე, ფერგიუსონს წესად არ აქვს. ცნობილი იყო, რომ "მანჩესტერი" სამი ახალბედით შეივსებოდა. 1 ივლისს, "ოლდ ტრეფორდზე" ჰარგრივსის ჩასვლით, ეს კვოტა უკვე ინურება. თუმცა "იუნაიტედის" საზაფხულო სატრანსფერო კამპანია, ალბათ, რომელიმე მცველისა და თავდამსხმელის შეძენით დასრულდება. ფორვარდების სიაში ლიდერობენ **ფერნანდო ტორესი**, **დიმიტარ ბერბატოვი, კლაას იან ჰუნტელაარი** და **ხავიერ სავიოლა**. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ 2007 წლის სასელექციო ხარჯმა 50 მილიონ გირვანქას მიაღწია, გამოდის, რომ ფერგიმ არაჩვეულებრივი ნინდახედულობის უნარი უნდა გამოავლინოს. გასაგებია, რომ მსოფლიო დონის ფორვარდის აყვანა ადვილი არაა, ამიტომ, სანამ ვინმეს შეიძენ, ერთ-ერთ სათადარიგო მცველს უნდა დაემშვიდობო...

...და აი, ისიც: არგენტინელი **გაბრიელ ჰაინცეთი** უკვე ბევრი ევროპული გრანდია დაინტერესებული, მათ შორის, "რეალი" და "ბარსელონა" (ჰაინცემ უვე მოასწრო, გუნდებს შორის დავის საბაბი გამხდარიყო). ჰაინცეს გაყიდვით 5 მილიონი გირვანქის მილება შეიძლება. ამასთან, "მენიუს" უკვე ჰყავს კარგად შეთამაშებული და საიმედო დაცვა, სადაც **უეს ბრაუნსა** და **მიკაელ სილვესტრს** აწყობთ **რიო ფერდინანდისა** და **ნემანია ვიდიჩის** დუბლიორთა როლი. "სანდერლენდში" არენდით გადასული ახალგაზრდა, ჩრდილოირლანდიელი **ჯონი ევანსი** კი, საუცხოო სეზონის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ლამობს. შეიძლება, "ოლდ ტრეფორდზე" გამოჩნდეს "სარაგოსაში" დროებით გადასული ესპანელი **ხერარდ პიკეც** (ეს ის პიკეა, რომელმაც თბილისში, საქართველო-ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა შესარჩევ მატჩში ითამაშა - ავტ).

სერ ალექს ფერგიუსონი

რამდენიმე ნახევარმცველსაც მოუწევს გუნდიდან წასვლა. უმთავრესი კანდიდატები არიან **დარენ ფლეტჩერი** და **კირან რიჩარდსონი**. რა თქმა უნდა, ეს არ ეხებათ **რაიან გიგზსა** და **პოლ სქოულზს**. ნანი და ანდერსონი, რა თქმა უნდა, იმ მხცოვანთა პოზიციებზე მიიწვიეს, რომელთა ჩამონერა ჯერ კიდევ ადრეა. ნაკრებიდან მათი წასვლის მიზეზად, შეიძლება, დასახელდეს საკლუბო დონეზე (კერძოდ, ჩემპიონთა ლიგაში) წარმატების წყურვილი. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის გამოკითხვაში მათი მაღალი ადგილი სტაბილურ ოსტატობაზე მიუთითებს. ასაკის მიუხედავად, ორივემ უდიდესი წვლილი შეიტანა ბოლო საპრემიერლიგო ტიტულის მოპოვებაში. შემადგენლობის გაძლიერებისთვის, "მანჩესტერ იუნაიტედს" შეუძლია, უდიდესი თანხა (და აქ ზღვარიც არ ჩანს) დახარჯოს ახალგაზრდა ვარსკვლავებში, მაგრამ გამოცდილებას, რომელიც გიგზისა და სქოულზის მაგვარ ფეხბურთელებს გააჩნიათ, მართლაც რომ ფასი არ აქვს.

მოამზადა
დავით ჩუბინიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები

ინგლისს ბექჰემი შეეწირა

ოუენის სარეკორდო გოლი, ერევანში შეწყვეტილი წარმატებული სერია და არაგონესის კომენტარი: მივდივარ...



სომხეთი-პოლონეთი. სტუმრებს ერთადერთი გოლი ჰამლეტ მხითარიანმა გაუტანა

A ჯგუფი

ფინეთი-ბელგია 2:0

ფინეთი: იაასკელაინენი, კალიო, ნიმანი, პასანენი, ტიპინენი, ა. ერიომენკო (89. ფორსელი), რ. ერიომენკო, ჰეიკინენი, კოლკა (86. ნურმელა), ვაირინენი, იოჰანსონი.

ბელგია: სტიინენი, კლემანი, დე მანი, სიმონსი, ვერმაელენი (46. მაერტენსი), დეფურრი, ფელაინი, ვან დამი, ვან დერ ჰეიდენი, დე მული (55. ჰარუნი), ე. მპენზა (86. სტერჩელე).

გოლები: 1:0 იოჰანსონი (27), 2:0 ა. ერიომენკო (71)

გაძევება: ფელაინი (52. ბელგია)

მაყურებელი: 34 818

ყაზახეთი-აზერბაიჯანი 1:1

ყაზახეთი: ლორია, ირისმეტოვი, კუზმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, ჩიჩულინი, კარპოვიჩი, ბიაკოვი, ოსტაპენკო (79. ტლეშევი), ჟუმასკალიევი (90. უტაბაიევი).

აზერბაიჯანი: ჰასანზადე, ს. აბასოვი, ე. გულიევი, რ. გულიევი, ჰაშიმოვი, ჩერტოგანოვი, სულთანოვი (74. ყურბანოვი), რ. აბასოვი, ქერიმოვი (58. იმამალიევი), ნადიროვი (84. მამედოვი), სუბაშიჩი.

გოლები: 0:1 ნადიროვი (30), 1:1 ბალტიევი (53)

გაძევება: ჟალმაგამბეტოვი (45. ყაზახეთი)

სომხეთი-პოლონეთი 1:0

სომხეთი: კასპაროვი, არზუმანიანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, მინასიანი (78. პაჩაიანი), ტადევოსიანი, არაქელიანი, მხითარიანი (70. ქარამიანი), მკრტჩიანი, შახგელდიანი (46. აკოფიანი), ვოსკანიანი.

პოლონეთი: ბორუცი, ბაკი (65. სობოლევსკი), ბრონოვიცკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, მიხ. ჟეკლაკოვი, კრჟნოვეკი, ლობოძინსკი (60. ბლაშჩიკოვსკი), სმოლიარეკი (60. ჟურავსკი), საგანოვსკი.

გოლი: 1:0 მხითარიანი (66)

მაყურებელი: 10 000

ერევანში დღის უმთავრესი სენსაცია გამოცხვა. საკმაოდ რთული იყო იმის წარმოდგენა, რომ სომხეთის გუნდი ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერს დაამარცხებდა, მაგრამ სასწაული მოხდა. პოლონელებმა ერევანში ცივი შხაპი მიიღეს, არადა შეეძლოთ, რომ ზედიზედ მეშვიდე თამაში მოეგოთ და პოზიციები კიდევ უფრო გაემყარებინათ. ახლა კი, **ლეო ბეენჰაკერის** გუნდი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. მართალია, პოლონელები კვლავინდებურად პირველ ადგილზე არიან და მდევრებს, პორტუგალიას, სერბეთსა და ფინეთს (14-14 ქულა) 5 ქულით უსწრებენ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლონეთს ამ სამეულზე ორით მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და თანაც, ბეენჰაკერის სამწყსოს სერბეთსა და პორტუგალიაში უწევს ჩასვლა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **იან პორტერფილდის** მიერ გაწვრთნილმა სომხებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მატჩის უპირობო ფავორიტად შერაცხულ მეტოქეს არ ეპუებოდნენ და ტოლს არაფერში უდებდნენ. **ბორუცის** კარში გატანილი ერთადერთი გოლი კი **ჰამლეტ მხითარიანის** ანგარიშზეა, რომელმაც თანაგუნდელებს მეორე ტაიმის შუაწელს შესანიშნავად შესრულებული საჯარიმო დარტყმით მოაგებინა. ამრიგად, სომხეთმა ზედიზედ მეორე თამაში მოიგო (შაბათს ყაზახეთიდან წაიღეს 3 ქულა, იმარჯვეს რა 2:1) და მე-5 ადგილამდე აღზევდნენ.

შეხვედრა ორივე გუნდმა ერთობ ინერტულად დაიწყო, მაგრამ სიტუაცია პირველივე ტაიმის შუაში შეიცვალა და საგოლე მომენტებიც ორივე კართან მრავლად შეიქმნა. ჯერ იყო და **რობერტ არზუმანიანის** თავური დარტყმა (კუთხურის შემდეგ) ბორუცის კარს მცირე მანძილით ასცდა, მერე კი **მარეკ საგანოვსკიმ** უკვე სომეხთა მეკარე აანერვიულა, მაგრამ **გევორგ კასპაროვმა** მასპინძლები გაშვებული გოლისგან იხსნა. 30-ე წუთზე კასპაროვს კიდევ ერთხელ მოუხდა ოსტატობის გამოვლენა: **იაცეკ კრჟინოვეკის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ბურთი ძლივსძლიობით მოიგერია. ცოტა ხანში სომხეთის ნაკრების მეკარე შეცდა: **ლობოძინსკის** დარტყმის შემდეგ ბურთი პირდაპირ საგანოვსკის დაუგდო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცარიელი კარი ვერ დალაშქრა.

მეორე ტაიმში სომხები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, პოლონელები სახიფათო მომენტებს თითქმის ვეღარ ქმნიდნენ. 66-ე წუთზე ბეენჰაკერის გუნდი პასიურობის გამო დაისაჯა. **იაცეკ ბაკმა არამ აკოფიანის** წინაალმდეგ ორთაბძოლისას თამაშის წესები დაარღვია, ჯარიმა კი მხითარიანმა ჩინებულად შეასრულა და ბორუცი 20 მეტრიდან დაამწუხრა. ბეენჰაკერს ვერც შეცვლებმა უშველა - ვერც **მაციი ჟურავსკიმ** და ვერც **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ** სომხეთის კართან ხიფათი ვერ შექმნეს. მეტიც, მასპინძლები უფრო ახლოს იყვნენ მეორე გოლის გატანასთან, ვიდრე სტუმრები ანგარიშის გათანაბრებასთან - ბოლო წუთზე **ქარამიანს** ბორუცის დამწუხრება მართებდა, მაგრამ ვერ ივარგა. აი, ასე გამოცხვა დიდი სენსაცია, რამაც სომხეთის ნაკრები მე-5 ადგილზე გადაიყვანა.

ფინეთმა ბელგიის დამარცხებით ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის სეროზული განაცხადი გააკეთა, ბელგიელთათვის კი ფაქტობრივად ყველაფერი დასრულებულია. არადა, ფინელები შაბათს სერბეთთან დამარცხდნენ, რის გამოც თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს. ამჯერად კი **ჯონათან იოჰანსონისა** და **ალექსი ერემენკო** უმცროსის გოლებით ბელგიელები დაამარცხეს და მდგომარეობა გაიუმჯობესეს. აღსანიშნავია, რომ ბელგია 52-ე წუთის შემდეგ კაცნაკლული იყო - **მარუან ფელაინი** მოედნიდან გააძევეს.

პირველ წუთებში ანგარიშის გახსნა სტუმრებს შეეძლოთ, როცა **ემილ მპენზა იაასკელაინენს** კარს თავური დარტყმით დაემუქრა. ამის შემდეგ კი ბელგიელთა უმთავრესი ამოცანა გოლის არგაშვებაზე ზრუნვა გახლდათ. **მარკუს ჰეიკინენმა სტიინენის** კარის დალაშქვრა შორეული დარტყმით სცადა, **იონას კოლკასა** და ერემენკოს დარტყმები კი დიდი მანძილით ასცდა სტუმართა კარს. 27-ე წუთზე კი გოლიც გავიდა: კოლკას ჩინებულ ჩაწოდებას იოჰანსონი გამოეხმაურა და ბურთი სტიინენის კარში ჩააჭედა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 7 წუთის შემდეგ, ფელიანს მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედანი დაატოვებინეს, რის გამოც ბელგიელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. 71-ე წუთზე კი ფინელებმა მეორე გოლი გაიტანეს. ასისტენტობა ამჯერად პირველი გოლის ავტორმა იოჰანსონმა იკისრა, რომელმაც ერემენკოს ჩინებული პასი მისცა, ამ უკანასკნელმა 10 მეტრიდან იხეირა. 22 აგვისტოს ფინეთი ყაზახეთს შეხვდება, ბელგიას კი სერბეთთან ექნება საქმე.

მესამე შეხვედრაში ყაზახეთმა თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად აზერბაიჯანთან ფრეს მიაღწია. მასპინძლები თავიდან აგებდნენ და ამას ისიც დაემატა, რომ 45-ე წუთზე მსაჯმა ყაზახ **ჟალმაგამბეტოვს** მოედანი დაატოვებინა. მიუხედავად ამისა, ყაზახებმა ანგარიში მაინც გაათანაბრეს და აზერებს მათი გადასწრების საშუალება არ მისცეს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	9	6	1	2	15-7	19
2. პორტუგალია	7	4	2	1	15-5	14
3. სერბეთი	7	4	2	1	10-4	14
4. ფინეთი	8	4	2	2	9-5	14
5. სომხეთი	7	2	1	4	3-7	7
6. ბელგია	8	2	1	5	5-10	7
7. ყაზახეთი	8	1	3	4	5-11	6
8. აზერბაიჯანი	8	1	2	5	4-17	5

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. სომხეთი-პორტუგალია, ფინეთი-ყაზახეთი, ბელგია-სერბეთი

C ჯგუფი

ბოსნია-მალტა 1:0

ბოსნია: გუსო, მუშიჩი (90. მუჰარემოვიჩი), პანძა, რადელჩიჩი, დამიანოვიჩი, ჰრგოვიჩი, მალეტჩიჩი (80. ბარტოლოვიჩი), მიშმოვიჩი, რახიმიჩი, ძეკო (56. ჟეგა), მუსლიმოვიჩი.

მალტა: მუსკატი, აძოპარდი, ბრიფა, დიმეში, საიდი, აგიუსი, ჰეისი (82. ბარბარა), სამუტი, ბოგდანოვიჩი (65. შემბრი), მიხ. მიფსუდი, ვუდსი (70. მალია).

გოლი: 1:0 მუსლიმოვიჩი (6)

მაყურებელი: 15 000

ნორვეგია-უნგრეთი 4:0

ნორვეგია: ოდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, გრინდჰეიმი (46. ჰაესტედი), პედერსენი (82. ჰელსტადი), რიისე, სტორბაეკი, კარუ, ივერსენი (46. ბრაატენი).

უნგრეთი: ვეგი, ბალოგი, იუჰაში, ჟელესი, ვანჩაკი, ბუჟაკი (83. ვადოჩი), ტოტი, ტოცერი, გერა, ჰაინალი, პრიშკინი (71. ტიშა).

გოლები: 1:0 ივერსენი (22), 2:0 ბრაატენი (57), 3:0 კარუ (60), 4:0 კარუ (78)

მაყურებელი: 19 198

საბერძნეთი-მოლდოვა 2:1

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, გუმასი, კირგიაკოსი, პაცაცოგლუ (83. იანაკოპულოსი), სეიტარიდისი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (71. სამარასი), ხარისტეასი, გეკასი (63. ლიბეროპულოსი).

მოლდოვა: კალანჩეა, კატინსუსი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ბორდიანი, კომლენკი (82. ტიგირლასი), გატკანი, იოსანი, ნამასკო, ალექსეევი (64. ფრუნზა), ბუგაევი (57. ზმეუ).

გოლები: 1:0 ხარისტეასი (30), 1:1 ფრუნზა (80), 2:1 ლიბეროპულოსი (90)

მაყურებელი: 12 500

საბერძნეთმა მოლდოვასთან დრამატული მატჩი მოიგო. ვერავინ იფიქრებდა, რომ ევროპის ჩემპიონებს ასე გაუჭირდებოდათ. **ნიკოს ლიბეროპულოსმა** გამარჯვების გოლი მსაჯისაგან დამატებულ მესამე წუთზე გაიტანა. ბერძნებმა ცხრილში უახლოეს მდევართან ხუთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს.

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. მათ ანგარიშის გახსნა მე-9 წუთზე შეეძლოთ. ბუნდესლიგის საუკეთესო ბორბარდირმა **თეოფანის გეკასმა** სახიფათოდ შეუტია. მოლდოველმა მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს. იქვე **ანგელოს ხარისტეასის** თავური ოდნავ ასცდა მიზანს. "ფეიენოორდის" თავდამსხმელმა 30-ე წუთზე გაიტანა: საბერძნეთმა შედეგიანი იერიში მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყო. **იურკას სეიტარიდისი** მეტოქის საჯარიმო მიუახლოვდა და კარის სიახლოვეს ჩაანოდა. ხარისტეასმა ყველას დაასწრო და უზუსტესი თავურით თავისიანები წინ გაიყვანა.

ბერძნებმა უპირატესობის გამტკიცება ვერ მოახერხეს. მათ რეალური მომენტები არც ჰქონიათ, მაგრამ მე-80 წუთზე **ვიორელ ფრუნზას** გოლი კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი გახლდათ. მოლდოველმა თავდამსხმელმა მასპინძელი მცველების უყურადღებობით ისარგებლა, მარცხენა ფრთიდან ბერძნების საჯარიმოში შეიჭრა და **ანტონის ნიკოპოლიდისი** დაამწუხრა. მაყურებელს ენა მუცელში ჩაუვარდა. მინდორზე სენსაციის სურნელი დატრიალდა. **ოტო რეჰაგელის** შეგირდებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და უკანმოუხედავად შეუტიეს, მაგრამ რეალური მომენტები არ შეუქმნიათ. თამაშის დასრულებამდე წამები იყო დარჩენილი, მოედნის ცენტრში მყოფმა სეიტარიდისმა მეტოქის საჯარიმოსაკენ გრძელი გადაცემა გააკეთა. ბერძნების სასიხარულოდ, ბურთი ლიბეროპულოსს მიუვიდა, რომელმაც ის კარში გადაგზავნა.

"ძალიან დაღლილები ვიყავით. თანაგუნდელთა უმრავლესობას მინდორზე გადაადგილებაც კი უჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ გავიმარჯვეთ, სამი ქულა მოვიპოვეთ და მომდევნო თამაშებზე იმედიანად გავალთ," - თქვა ნამატჩევს ლიბეროპულოსმა.

ოტო რეჰაგელი: *"როცა ასეთი დონის მეტოქეს ეთამაშები, მას დასაკარგი არაფერი აქვს, ჩვენ კი ქულების დაკარგვას არ გვაპატიებენ. დღევანდელი მატჩიდან ჭკუის სწავლა შეიძლება... მდევრებისათვის მოახლების საშუალება არ უნდა მიგვეცა. ამოცანა შევასრულეთ. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელთა ვინაობას, ამ კითხვაზე სამი მატჩის შემდეგ გიპასუხებთ..."*

ოსლოში **ჯონ კარუმ** ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. ნორვეგიელებმა უნგრეთი 4:0 გაანადგურეს და ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. 21-ე წუთზე ვეტერანმა თავდამსხმელმა **სტეფან ივერსენმა მარტინ ანდერსენის** კუთხურით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. შესვენების შემდეგ, 57-ე წუთზე **დანიელ ბრაატენმა** მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ ამ გოლში კარუს დამსახურება უფრო მეტი იყო. მან უნგრელთა მეკარე **ზოლტან ვეგი** მოატყუა, შემდეგ ბურთი უკან ბრაატენს გაუგორა, დანიელმა კი 20 მეტრიდან ცარიელ კარში დასცხო. ორ წუთში კარუმ გოლი აღარავის დაანება: მან ანდერსენის ჩინებული პასი მიიღო და ახლო მანძილიდან გაიტანა. 78-ე წუთზე თამაშს ისევ "ფულჰემის" თავდამსხმელმა დაუსვა წერტილი. ბოლო პასი ლივერპულელი **იონ არნე რიისეს** აქტივში ჩაიწერა. *"როგორც იქნა, ვაჩვენეთ, რომ მოგება შეგვიძლია და ზედმინევნით ზუსტად ვიცით, რასაც ვაკეთებთ,* - ეს ნორვეგიელთა თავკაცის **აგე ჰარეიდეს** სიტყვებია - *ახლა უფრო უკეთესი შანსი გვაქვს, ვიდრე თუნდაც ოთხი დღის წინათ. რა თქმა უნდა, ძალიან დაგვეხმარა ბოსნია, რომელმაც შაბათს თურქეთს მოუგო, მაგრამ ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება."* ჰარეიდეს შეგირდებმა შაბათს და ოთხშაბათს რვა უპასუხო გოლი გაიტანეს. შეგახსენებთ, გასულ უქმეებზე ნორვეგიამ მალტასაც 4:0 ასიამოვნა...

ნორვეგიისა არ იყოს, ორივე თამაში მოიგო ბოსნიამ. ოთხშაბათს ბოსნიელებმა მალტა მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს. ერთადერთი გოლი **ზლატან მუსლიმოვიჩმა** მე-6 წუთზე გაიტანა. თამაშის წინ ბოსნიელთა თავკაცი **ფუად მუზუროვიჩი** შეუძლოდ შეიქნა და საავადმყოფოში გააქანეს. მას გული გაუხდა ცუდად. მთელი გუნდის სახელით, მუსლიმოვიჩმა გამარჯვება მწვრთნელს მიუძღვნა. მან აღიარა, რომ ფეხბურთელებმა სუსტად ითამაშეს, მაგრამ უფერული ასპარეზობის მიზეზად მუზუროვიჩის მდგომარეობა დაასახელა, მისი ჯანმრთელობის გამო ძალიან ვნერვიულობდითო. ექიმების განცხადებით, მუზუროვიჩის მდგომარეობა სტაბილურია. ის საავადმყოფოში კიდევ ორ დღეს გაატარებს და შინ წავა.

ბოლო სამ მატჩში მოპოვებულმა ცხრა ქულამ (ნორვეგიასთან 2:1, თურქეთთან 3:2 და მალტასთან 1:0) ბოსნიელთა აქტივი 13-მდე აიყვანა. ისინი ნორვეგიასა და თურქეთს დაეწიენ და მათთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ. საბერძნეთი უკონკურენტოდაა, მას 18 ქულა აქვს. თურქების უპირატესობა კი ის გახლავთ, რომ ჩვენს მეზობლებს ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. ბოსნიელთა მეორე მწვრთნელმა **ივო ისტუკმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დღევანდელ ფეხბურთში აუტსაიდერები აღარ არიან. კმაყოფილები ვართ, რომ ბოლოდროინდელი შედეგებით სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გავიუმჯობესეთ. ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს."*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	7	6	0	1	12-5	18
2. ნორვეგია	7	4	1	2	17-6	13
3. თურქეთი	6	4	1	1	16-6	13
4. ბოსნია	7	4	1	2	14-14	13
5. უნგრეთი	7	2	0	5	7-14	6
6. მალტა	7	1	1	5	5-15	4
7. მოლდოვა	7	0	2	5	4-15	2

მომდევნო ტური. 8 სექტემბერი. მალტა-თურქეთი, მოლდოვა-ნორვეგია, უნგრეთი-ბოსნია



საბერძნეთი-მოლდოვა. მასპინძლებმა გამარჯვების გოლი ბოლო წამებზე გაიტანეს

ესტონეთი-ინგლისი. ბრიტანელთა გამარჯვებას ბექჰემის ჯანმრთელობა შეეწირა

D ჯგუფი

გერმანია-სლოვაკეთი 2:1

გერმანია: ლემანი, იანსენი, ლამი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ფრინგსი, ფრიტცი, ჰიტცლშპერგერი, შნაიდერი (90. როლფესი), კლოზე (74. ტროხოვსკი), კურანი (65. გომესი).

სლოვაკეთი: ჩონტოფალსკი, დურიცა, კლიმპლი, შკრტელი, სვენტო, ჰამსიკი, კრაიჩიკი, საპარა (65. ჰოლოშკო), შტრბა (83. ორავეცი), შეშტაკი (65. ჟოფჩაკი), ვიტეკი.

გოლები: 1:0 დურიცა (10-საკ. კარში), 1:1 მეცელდერი (20-საკ. კარში), 2:1 ჰიტცლშპერგერი (43)

მაყურებელი: 51 500

გერმანიის ნაკრებს თამამად შეუძლია, ევროპის ჩემპიონატისთვის ბარგის ჩალაგება დღეიდანვე დაიწყოს. სლოვაკეთთან მიღწეული გამარჯვებისა და მოპოვებული სამი ქულის შემდეგ, ბუნდესგუნდი D ჯგუფში ისე ლიდერობს, რომ მისი დამწვი აღარავინაა. თავად განსაჯეთ, ალემანები მესამე ადგილზე მყოფ ირლანდიას უკვე 6 ქულით უსწრებენ და ისეთი შემართებით მიიწევენ წინ, რომ წარმოუდგენელია, პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც რომ ვერ გავიდნენ.

მიროსლავ კლოზე კვლავ უგოლოდ დარჩა, მაგრამ სან მარინოსთან მატჩისგან განსხვავებით, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და ისიც აღსანიშნავია, რომ ალემანებმა პირველი გოლი სწორედ მიროს ძალისხმევით გაიტანეს. უეფამ **დურიცას** ჩაუთვალა ავტოგოლი და სავსებით სამართლიანადაც, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი შეეხო ბურთს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები გოლს სოლიდარობის მიზნით კლოზეს უთვლიან. "ბილდი" წერს, მირომ მთელი 90 წუთის განმავლობაში ისე იმუშავა და იბრძოლა, რომ ეს საჩუქარი დაიმსახურაო. დიახ, გერმანელი ჟურნალისტებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბუნდესბომბარდირი კრიზისიდან გამოიყვანონ. **ტორსტენ ფრინგსთან** ცივი ომისა და "ბაიერნთან" მოლაპარაკებების ფონზე, რის გამოც მირო კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული, კლოზემ მართლაც ჩინებულად ითამაშა.

სხვათა შორის, ფრინგსისა და კლოზეს დაპირისპირების შესახებ გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა**, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გუნდთან ერთად იყო, ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ფრინგსმა თავისი გამოსვლებით ძალიან გამაკვირვა. არ მომეწონა ის, რომ მან კლოზეს საჯაროდ შეუტია. მიმაჩნია, რომ ტორსტენი ცუდად მოიქცა."*

კლოზე კი კარგი იყო, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა დაემართა **კრისტოფ მეტცელერს**, რომელმაც ძალიან კურიოზული ავტოგოლი გაიტანა. მადრიდის "რეალისკენ" გეზაღებულ კრისტოფს ბურთი უნებლიედ არ მოხვედრია, ლამის გამიზნულად დაურტყა **ლემანს**. **იოახიმ ლიოვის** შეგირდების სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამისა, არ ანერვიულებულან. სამაგალითო გახლდათ ის პასი, რომელიც **ფილიპ ლამმა** 43-ე წუთზე **თომას ჰიტცლშპერგერს** გაუკეთა და რომელსაც სლოვაკთა კარში გატანილი მეორე, გამარჯვების გოლი მოჰყვა. ლამი მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა და იბრწყინა კიდეც, მარცხნივ კი ისევ **მარსელ იანსენი** გახლდათ გამწესებული, რომელმაც ასევე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი სიტყვით, ეს არ იყო გერმანელთა გალა-კონცერტი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ლიოვის სამწყსომ მორიგი სამი ქულა მოიპოვა. მატჩზე გავლენა იმანაც იქონია, რომ ფეხბურთელებს აშკარად ეტყობოდათ, უკან დამღლელი სეზონი რომ მოიტოვეს.

ამრიგად, ლიოვის მიერ გაწვრთნილი გერმანიის ნაკრების ბალანსი ასეთია: 11 თამაში, 9 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი (0:1 დანიასთან ტესტმატჩში). ამაზე უკეთესო სტარტი ბუნდესგუნდის ისტორიაში მხოლოდ **იუპ დერვალს** (1978-1984) ჰქონდა...

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	7	6	1	0	29-4	19
2. ჩეხეთი	7	4	2	1	15-4	14
3. ირლანდია	7	4	1	2	12-8	13
4. სლოვაკეთი	7	3	0	4	16-13	9
5. უელსი	6	2	1	3	8-9	7
6. კვიპროსი	6	1	1	4	9-16	4
7. სან მარინო	6	0	0	6	1-36	0

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. სან მარინო-კვიპროსი

E ჯგუფი

ანდორა-ისრაელი 0:2

ანდორა: ალვარესი, ჩ. გარსია (61. სონეხე), ი. ლიმა, ა. ლიმა, აიალა, ბერნაუსი, ესკურა, ხ. გარსია, ხუსტო, ვიეირა, ტოსკანო (77. ხ. სანჩესი).

ისრაელი: ავატე, ბენადო, ბენ დაიანი, იეჩიელი, ჟივი, ალბერმანი (71. ბადირი), ბენაიოუნი, ტალი, კოლაუტი (86. გოლანი), იტცჰაკი, თამუზი (77. ზანგბერგი).

გოლები: 0:1 თამუზი (37), 0:2 კოლაუტი (53)

81-ე წუთზე ხული სანჩესმა (ანდორა) ვერ გამოიყენა პენალტი

მაყურებელი: 680

ხორვატია-რუსეთი 0:0

ხორვატია: პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმიჩი, შიმუნიჩი, და სილვა ედუარდო, ნ.კოვაჩი, კრანჩარი (66. პეტრიჩი), მოდრიჩი, სრნა (8. ლეკო), ოლიჩი (83. ბაბიჩი).

რუსეთი: მალაფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბუდიანსკი (46. ტორბინსკი), ბისტროვი (61. საენკო), სემშოვი, ჟირკოვი, არშავინი, კერჟაკოვი (73. სიჩოვი).

მაყურებელი: 38 000

ესტონეთი-ინგლისი 0:3

ესტონეთი: პოომი, იაგერი, კრუგლოვი, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი, ვასილიევი, კონსა (46. ნეემელო), ტერეხოვი (64. კინკი), ვოსკობოინიკოვი.

ინგლისი: რობინსონი, ბრიჯი, ბრაუნი, კინგი, ტერი, ბექჰემი (68. დაიერი), ჯ. კოული (75. დაუნინგი), ჯერარდი, ლემპარდი, კრაუჩი, ოუენი (88. ჯენასი).

გოლები: 0:1 ჯ. კოული (37), 0:2 კრაუჩი (54), 0:3 ოუენი (62)

მაყურებელი: 11 000

მაიკლ ოუენი საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ ტალინში ისტორიული გოლი მაინც გაიტანა. მან, როგორც იქნა, დაამხო ნაკრების ოფიციალურ მატჩებში გატანილი გოლების რეკორდი. ოთხშაბათამდე ეს მიღწევა **გარი ლინეკერს** ეკუთვნოდა. ნიუკასლელი თავდამსხმელი მხოლოდ თანარეკორდსმენი იყო, მაგრამ ოთხშაბათის შემდეგ ის პირველია: მაიკლის სანაკრებო აქტივში, მხოლოდ ოფიციალურ თამაშებში, უკვე 23 გოლი ირიცხება. სულ კი ეროვნულ გუნდში ჩატარებულ 83 თამაშში 38 ბურთი მოეპოვება.

მეტი თვალსაჩინოებისათვის საუკეთესო ბომბარდირთა სიასაც შემოგთავაზებთ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ამ სიაში მხოლოდ იმ ფეხბურთელთა გვარებია, რომელთაც ოფიციალურ თამაშებში ყველაზე მეტი გოლი გაუტანიათ. ოუენს შემდეგ მოდიან გარი ლინეკერი (22 გოლი), **ალან შირერი** (20), **ბრაინ რობსონი** (15), **ბობი ჩარლტონი** (13), **კევინ კიგანი** (13) და **ჯეფ ჰერსტი** (12).

ახლა კი ესტონეთთან თამაშს დავუბრუნდეთ. ინგლისელებს უპირატესობის რეალიზაციისათვის 37 წუთი დასჭირდათ. იქამდე **დევიდ ბექჰემმა** და **პიტერ კრაუჩმა** მასპინძელთა კარს ოდნავ ააცილეს. თავის გამოჩენა შეეძლო ოუენსაც, მაგრამ **მარტ პოომის** შეცდომით ვერ ისარგებლა – საჯარიმოს ჩაწოდებისას "უოტფორდის" მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა, ოუენმა კი რეაგირება დააყოვნა.

მაგრამ პოომი უძლური აღმოჩნდა სულ რამდენიმე წუთის შემდეგ გათამაშებული კომბინაციისას. **უეინ ბრიჯმა** მარცხენა ფლანგიდან, კუთხურის ალამის სიახლოვეს, აუტი მოაწოდა. ამას მოწოდება ძნელად თუ ეთქმის, ეს უფრო ჩაწოდებას ჰგავდა, რადგან ბრიჯმა ბურთი საჯარიმოში პიტერ კრაუჩს დაასვა თავზე, კრაუჩმა ის პენალტის ნიშნულისაკენ გადაისროლა, იქ კი **ჯო კოულმა** ბურთი მკერდით გაიჩერა, შემოტრიალდა და პოომს შორ კუთხეში შეუგდო.

ინგლისმა მეორე ტაიმი არეულად დაიწყო, მაგრამ ბექჰემმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. მის ორ დიდებულ პასს ორი გოლი მოჰყვა. ჯერ კრაუჩმა იყოჩაღა. პიტერმა მე-19 სანაკრებო თამაშში მე-12 გოლი მიითვალა, რაც მის შესაშურ შედეგიანობაზე მეტყველებს. შემდეგ კი ოუენმა გაიტანა ის გოლი, რომელზეც ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ. სხვათა შორის, ეს იყო მაიკლის პირველი ბურთი საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე 2005 წლის დეკემბრის შემდეგ. თამაშის მიწურულს პიტერმა სრულიად უაზრო გაფრთხილება დაიმსახურა. ის სექტემბერში ისრაელთან საშინაო შეხვედრას გამოტოვებს. ესტონეთთან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად კი ბექჰემი დაასახელეს.

ბექჩი ბრაზილიასთანაც და ესტონეთთანაც გამორჩეული იყო. კითხვაზე, აქვს თუ არა მას გარანტირებული ნაკრებში თამაში, **სტივ მაკლარენმა** მიუგო: *"აგვისტომდე ორი თვეა. ეს საკმაოდ დიდი დროა. ვნახოთ, რა ვითარება იქნება, როცა მორიგ შემადგენლობას დავასახელებთ."* ისე კი, მაკლარენმა ბექჰემის თამაშს შეუდარებელი უწოდა.

დევიდი უფრო იმედიანად იყო განწყობილი: *"დარწმუნებული ვარ, ნაკრებს კიდევ გამოვადგები. "გალაქსი" სანაკრებო კარიერის გაგრძელებაში დამეხმარება, მაგრამ დასკვნების გაკეთებას, ჯობია, დავიცადოთ. ყველაფერი თვალის დახამხამებაში შეიძლება შეიცვალოს. ფეხბურთის თამაში სიამოვნებას მანიჭებს. ნაკრებში დაბრუნებისას საერთოდ არ მინერვიულია. ძალიან ვისიამოვნე. კმაყოფილი ვარ, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ."*

აქვე გეტყვით, რომ ბექზი მადრიდში დაშავებული გაემგზავრა. მან კოჭი დაიზიანა. ექიმებმა ყველაფერი უნდა იღონონ ვარსკვლავის ფეხზე დასაყენებლად. ხუმრობა ხომ არ არის: "რეალს" "სარაგოსასთან" საჩემპიონო მატჩი აქვს. სარაგოსელებმა საკუთარ "ლა რომარედას" სტადიონზე წელს ჩატარებული 18 მატჩიდან მხოლოდ ორი წააგეს. სამეფო კლუბს ბექჰემის დახმარება ჰაერივით სჭირდება. დევიდი ტალინური შეხვედრის 68-ე წუთზე შეცვალეს. ესპანეთში დაბრუნებისთანავე სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარეს. მის ტრავმას მომდევნო 24 საათის განმავლობაშიც დააკვირდებიან და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მიიღებენ...

ხორვატიამ და რუსეთმა მეორე მატჩიც უგოლოდ დასასრულეს. მასპინძლებმა წაუგებელი საშინაო სერია 32 ოფიციალურ თამაშამდე აიყვანეს. ხორვატებს შინ ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი არასოდეს წაუგიათ. გამონაკლისი არც ოთხშაბათის შეხვედრა აღმოჩნდა. **სლავენ ბილიჩის** შეგირდებმა ერთი ქულა მოიპოვეს და ცხრილში პირველი ადგილი შეინარჩუნეს. მართალია, მათ ისრაელი ნამოეწია, მაგრამ ებრაელებს ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული. რუსეთი 15 ქულით მესამე ადგილზე დარჩა, ხოლო ინგლისს 14 ქულით კვლავ შეუფერებელი მეოთხე საფეხური უკავია. რუსეთის თავკაცის **გუუს ჰიდინკის** აზრით, ცხრილი მეტ-ნაკლებად მაშინ დალაგდება, როცა მისი შეგირდები ინგლისთან ორ შესარჩევ თამაშს მოილევენ: *"დღევანდელი შედეგით კმაყოფილები ვარ. არ მახსენდება ბევრი ნაკრები, რომელიც ზაგრებში ჩამოსულა და აქედან სასურველი შედეგით გაბრუნებულა. დღევანდელი თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, შეგვიძლია, ინგლისთან მატჩებს იმედით დაველოდოთ."*

ხორვატებს მთელი მატჩის განმავლობაში თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ სტუმრები თავს ჭკვიანურად იცავდნენ. მეორე ტაიმის ორწუთიან მონაკვეთში რუსეთის ორჯერ გადაურჩა გოლს: ჯერ **ედუარდო და სილვამ** ცარიელ კარს ააცილა, შემდეგ კი **იოსიპ შიმუნიჩმა** ხარიხა შეაზანზარა. თამაშის მიწურულს **ვიაჩესლავ მალაფეევმა პეტრიჩის** ურთულესი დარტყმაც მოიგერია. სლავენ ბილიჩი: *"ყველაფერი კარგად გავაკეთეთ და მხოლოდ გოლი ვერ გავიტანეთ. მეტოქე ზე უკეთ ვითამაშეთ და სამწუხაროა, რომ მხოლოდ ერთ ქულას დავჯერდით. ძალიან საინტერესო დასკვნითი ტურები გველოდება..."*

ჯგუფის მესამე მატჩში ისრაელმა ანდორას ორი უპასუხო გოლი გაუტანა. **დრორ კაშტანი** მოკრძალებული ანგარიშით მიუხედავად, მაინც კმაყოფილი გახლდათ, რადგან მის გუნდს ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში მოუხდა თამაში. ძლიერი წვიმების შემდეგ მინდორი დატბორილი იყო და ბურთი ძლივს დაგორავდა. კაშტანი გაკვირვებული გაიძახოდა, მიკვირს, უეფამ როგორ დაუშვა ამ საფარზე თამაშის გამართვაო.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ხორვატია	7	5	2	0	16-4	17
2. ისრაელი	8	5	2	1	17-7	17
3. რუსეთი	7	4	3	0	11-1	15
4. ინგლისი	7	4	2	1	12-2	14
5. მაკედონია	7	2	1	4	6-7	7
6. ესტონეთი	7	0	0	7	0-14	0
7. ანდორა	7	0	0	7	1-28	0

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. ესტონეთი-ანდორა

გერმანია-სლოვაკეთი. ავტოგოლი სტუმართა კარში

ლიხტენშტაინი-ესპანეთი. დავიდ ვილიამ მეტოქეს ორი გოლი უძღვნა

F ჯგუფი

ლიხტენშტაინი-ესპანეთი 0:2

ლიხტენშტაინი: იელე, ჰასლერი, რიტცბერგერი, მარტინ შტოკლასა (29. ტელსერი), მიხაელ შტოკლასა, ბუჩელი, ბურგმაიერი, პოლვერინო, ტ. ბეკი (82. რ. ბეკი), მ. ფრიკი, რორერი (59. დ. ფრიკი).

ესპანეთი: რეინა, კაპდევილა (52. ანტონიო ლოპესი), ხავი ნავარო, მარჩენა, სერხიო რამოსი, ჩაბი ალონსო, ფაბრეგასი (67. ლუის გარსია), ინიესტა, ხოაკინი, დავიდ სილვა (77. სოლდადო), ვილია.

გოლები: 0:1 ვილია (8), 0:2 ვილია (14)

90-ე წუთზე ვილიამ ვერ გაიტანა პენალტი

მაყურებელი: 5 739

შვედეთი-ისლანდია 5:0

შვედეთი: ისაქსონი, ჰანსონი, მელბერგი, ნილსონი (57. ფონ შლებრუგე), ალექსანდერსონი, ლინდეროტი (62. დ. ანდერსონი), ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბაკი (73. იბრაჰიმოვიჩი), როსენბერგი.

ისლანდია: არასონი, ო. ბიარნასონი, ო. ბიარნასონი, გ-ტ. გუნარსონი, ინგიმარსონი, სტეინსონი (90. კ. სიგურდსონი), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (53. იონსონი), ვიდარსონი, საევარსონი (65. გუდმუნდსონი), ჰ. სიგურდსონი.

გოლები: 1:0 ოლბაკი (11), 2:0 ა. სვენსონი (42), 3:0 მელბერგი (45), 4:0 როსენბერგი (50), 5:0 ოლბაკი (51)

მაყურებელი: 33 338

ლატვია-დანია 0:2

ლატვია: კოლინკო, ივანოვსი, კლავა, სტეპანოვსი, ზირნსი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (66. სოლონიცინსი), ოაიზანსი, რუბინსი (75. კაუნა), კარლსონსი (61. პაჰარსი), ვერპაკოვსკისი.

დანია: სიორენსენი, აგერი, იაკობსენი, ნ. იენსენი, ლაურსენი, დ. იენსენი, რომედალი (46. კალენბერგი), ბენდტნერი (60. ვურტცი), გრონკიაერი, იორგენსენი, ტომასონი.

გოლები: 0:1 რომედალი (15), 0:2 რომედალი (17)

მაყურებელი: 13 000

ESPANEთის მორიგი უსახური თამაში ლიხტენშტაინის დასამარცხებლად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. გუნდების კლასს შორის არსებული განსხვავება ყოველ წამს თვალშისაცემი გახლდათ. არავის გაუჭირდებოდა იმის შემჩნევა, რომ პირენეელები გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელები არიან... მაგრამ ეს უპირატესობა სტუმართა თამაშის ხარისხზე ვერ აისახა. როგორც ჩანს, პრობლემა მართლაც **ლუის არაგონესშია**. ფაქტობრივად, ერთადერთი ადამიანი, რომლის თამაშის ხილვაც მოგეწონებოდათ, **დავიდ ვილია** გახლდათ. "ვალენსიის" ფორვარდმა დუბლი შეასრულა. ის ჰეთ თრიკთანაც ახლოს იყო, მაგრამ არ გაუმართლა და პენალტი ვერ გაიტანა. გარდა ამისა, ვილიამ კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

არაგონესმა ლატვიასთან მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა. როგორც იცით, **ჩავიმ** "ბარსელონის" ინტერესებიდან გამომდინარე ბალტიელებთან მატჩში ყვითელი ბარათი განზრახ მიიღო და უეფა აიძულა მისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოეწერა. ერნანდესის ნაცვლად სენიორ ლუისმა **სესკ ფაბრეგასი** გამოიყვანა. ერთი შეხედვით, გუშინწინდელი შემადგენლობა ბევრად უფრო შემტევი და შემოქმედებითი გახლდათ. საყრდენი ნახევარმცველების პოზიციაზე **ჩაბი ალონსო** და ფაბრეგასი ვიხილეთ. ფლანგები **ხოაკინსა** და **სილვას** ჩაბარდათ. დავიდ ვილიას კი მოქმედებისთვის სრული თავისუფლება მიენიჭა. გადაღლილობისა და უმნიშვნელო ტრავმის გამო **კარლეს პუიოლი** სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა. სტუმრებმა თამაში საკმაოდ აქტიურად დაიწყეს და შედეგს მალევე მიაღწიეს. ფაბრეგასმა ოსტატური პასით ვილია ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ვალენსიელს გოლის გატანა არ გასჭირვებია. სწრაფმა გოლმა ლამაზი ფეხბურთის მომლოდინე გულშემატკივრებს ძალიან ცუდი სამსახური გაუწია. ესპანელებმა თავს მოდუნების უფლება მისცეს. არადა, თამაში სულ რაღაც შვიდი წუთის დაწყებული იყო. პირენეელთა მეორე იერიში მორიგი გოლით აღინიშნა. **სტოკლასამ** უხეში შეცდომა დაუშვა და ბურთი სესკს ჩააბარა. "არსენალის" ნახევარმცველმა შეტევაში ვილია ჩართო. მან სილვა მონახა. დავიდმა ძლიერად დაარტყა. ბურთი ისევ ვილიასთან მივიდა. მატჩის გმირმა მეორე გოლი ულამაზესი მაკრატელით შეაგდო. აი, ამის შემდეგ "სელექსიონმა" რიტმი საბოლოოდ დაადგდ და გაუგებარი ფეხბურთის თამაში დაიწყო. არაგონესის ბიჭები სიტუაციას არ ამწავებდნენ და ბურთს აქეთ-იქით უაზროდ აგორებდნენ. ამასობაში, პირველი ტაიმიც დასრულდა.

შესვენების შემდეგ სტუმრები ოდნავ უფრო გააქტიურდნენ. 49-ე წუთზე ფაბრეგასს შეეძლო გატანა, მე-60-ზე კი ჩაბი ალონსოს. ერთი მომენტი მასპინძლებმაც შექმნეს. **ბურგმაიერს** ოდნავ მეტად რომ გამართლებოდა, კარიერის ყველაზე საამაყო გოლს გაიტანდა. **კასილიასის** ნაცვლად კარში ჩამდგარ **პეპე რეინას** მეტი პრობლემა პრაქტიკულად არ შექმნია. არაგონესმა მოედანზე ნაკრების ახალწვეულები **ლუის გარსია** და **რობერტო სოლდადო** გამოიყვანა. ეროვნულ გუნდში ისინი სულ რაღაც მეორე შეხვედრას ატარებდნენ. "ესპანიოლისა" და "ოსასუნის" ფორვარდებს კარგი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ვერც მათ იყოჩაღეს. 86-ე წუთზე ვილიამ ერთი ერთზე გასვლით ვერ ისარგებლა. მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე კი მან პენალტიც გააფუჭა. ბურთი ძელს მოხვდა. ესპანელი ჟურნალისტები მწუხარებითა და სევდით აღნიშნავენ, რომ მათ ნაკრებს ორ გოლზე მეტის გატანა არ შეუძლია. თუნდაც ისეთ სუსტ მოწინააღმდეგესთან, როგორიც ლიხტანშტეინის ეროვნული გუნდია...

ნამატჩევს, პრესკონფერენციაზე არაგონესმა საზოგადოებას ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა: *"უნდა გაგიმხილოთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელებს ვესაუბრე და ჩემი გადაწყვეტილება გაკუმხილე. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წავალ. ჩემპიონებიც რომ გავხდეთ, მაინც გადავდგები. მივიჩნიე, რომ გადაწყვეტილება ნაადრევად უნდა გამეხმაურებინა. ფედერაციას საკმარისი დრო ექნება იმისთვის, რომ ნაკრების მომავალზე მშვიდად იფიქროს და ახალი მთავარი მწვრთნელის კანდიდატურა შეარჩიოს. მოკლედ, ამ საქმეს წყალი არ გაუვა..."*

როგორც მოსალოდნელი იყო, ისლანდიასთან მატჩში შვედებმა სამი ქულა მოიპოვეს. აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ მასპინძელთა ასეთი დიდი ანგარიშით გამარჯვება მაინც ძნელად პროგნოზირებადი გახლდათ. ასე იყო, თუ ისე, სკანდინავიელებმა ევრო 2008-სკენ მიმავალ გზაზე გიგანტური ნაბიჯით წაინიეს წინ. აღსანიშნავია, რომ ისინი მიმდინარე საკვალიფიკაციო ეტაპს უაღრესად დამაჯერებლად ატარებენ. მოგეხსენებათ, დანიის ეროვნულ გუნდთან წინა ტურის დაპირისპირება სკანდალური მიზეზის გამო შეწყდა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე პენალტის დანიშვნით განრისხებული დანიელი გულშემატკივარი მოედანზე გადახტა და მსაჯს სერიოზული ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. იმ მომენტისთვის ანგარიში საყაიმო იყო (3:3). შვედებს 11-მეტრიანის შესრულების საშუალება არ მიეცათ, რადგან, როგორც მოგახსენეთ, არბიტრმა თამაში შეწყვიტა. ბუნებრივია, უეფა ამ ფაქტს რეაგირების გარეშე არ დატოვებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დანიას ტექნიკურ მარცხს ჩაუთვლიან. ასე რომ, შვედები საკუთარ აქტივს დამატებით სამ ქულას შემატებენ.

ისლანდიელებმა შეხვედრა პირველივე ტაიმში პირწმინადად დათმეს. აღარავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ შესვენების შემდეგ სტუმრები სამბურთიანი ჩამორჩენის ამოქაჩვას შეძლებდნენ. მოვლენები აბსოლუტურად საპირისპირო სცენარით განვითარდა.

ყველაფერი მე-11 წუთზე დაიწყო. **მარკუს ოლბაკმა არასონის** შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლი **ანდრეს სვენსონის** ანგარიშზე ჩაიწერა. მან გამოზომილად დაარტყა და მეკარეს მინიმალური შანსიც არ დაუტოვა. ზუსტად ოთხ წუთში სკანდინავიელებმა უპირატესობა კიდვ უფრო გაზარდეს. მათ შესვენების შემდეგაც არ დაადგეს რიტმი და მეტოქეს განკითხვის დღე მოუწყვეს. თამაშის განახლებიდან სულ რაღაც ექვს წუთში ისლანდიამ კიდევ ორი გოლი მიიღო. რა უნდა ითქვას, შვედეთის ეროვნულმა გუნდმა კონტინენტის პირველობის საგზურის მოპოვების შანსი კიდევ უფრო გაიუმჯობესა. მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ ისინი ევრო 2008-ზე ვერ ვიხილოთ...

რომედალის დუბლის წყალობით დანიის ეროვნულმა გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. სტუმართა შემტევ ნახევარმცველს სულ რაღაც ორწუთიანი მონაკვეთი დასჭირდა იმისთვის, რომ ორჯერ გაეტანა და ამაზრზენად მოთამაშე ლატვია შანსის გარეშე დაეტოვებინა. მატჩის მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბალტიურ გუნდს ასე საშინლად დიდი ხანია, არ უთამაშია.

მორტენ ოლსენმა ძირითად შემადგენლობაში ოთხი ცვლილება შეიტანა. წინა ტურში დისკვალიფიცირებული **პოულსენის** ნაცვლად მრავალთვიანი პაუზის შემდეგ **ლაურსენმა** იასპარეზა. **იორგენსენი** ერთადერთი საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ. მთავარმა მწვრთნელმა ეს გადაწყვეტილება შემტევი პოტენციალის ამაღლების მიზნით მიიღო. ჩანაფიქრმა გაამართლა. ოლსენის ბიჭებმა პირველივე წუთიდან დიდი ძალებით შეუტიეს. სადებიუტო შვიდ წუთში მათ სამი საგოლე მომენტი შექმნეს. ანგარიში კი **ბენდტნერის** მიერ წამოწყებული. იერიშის შემდეგ გაიხსნა. მან კარგ პოზიციაზე მყოფი რომედალი შენიშნა და პასი არ დაუგვიანა. **კოლინკომ** აგრესიულ მოწინააღმდეგეს ვერაფერი დაუპირისპირა. რომედალმა ორიოდ წუთში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	6	5	0	1	14-4	15
2. ესპანეთი	7	5	0	2	13-6	15
3. ჩრ. ირლანდია	6	4	1	1	10-7	13
4. დანია	5	3	1	1	9-2	10
5. ისლანდია	7	1	1	5	5-15	4
6. ლიხტენშტაინი	7	1	1	5	4-18	4
7. ლატვია	6	1	0	5	4-7	3

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. ჩრ.ირლანდია-ლიხტენშტაინი

G ჯგუფი

ლუქსემბურგი-ალბანეთი 0:3

ლუქსემბურგი: ჟუბერი, ბიგარდი (46. ლომბარდელი), ჰოფმანი, შტრასერი, ბეტმერი, კინტციგერი, მუტრი, პეიალი (64. ლა მოტა ალვეში), პეტერსი, რემი, კოლეტი (79. საგრამოლა).

ალბანეთი: ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ჰაქსი, კანა, მუკა (77. ქსაფა), სკელა (60. დურო), ბოგდანი, ბუში (67. ბერიშა), კაპლანი.

გოლები: 0:1 სკელა (25), 0:2 კაპლანი (36), 0:3 კაპლანი (72)

მაყურებელი: 4 325

ბულგარეთი-ბელარუსი 2:1

ბულგარეთი: ივანკოვი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ლუსიო ვაგნერი, ს. პეტროვი, ტელკიისკი, იანკოვი (90. სირაკოვი), იოვოვი (68. ანგელოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი (84. მანჩევი).

ბელარუსი: ჟევნოვი, რადკოვი, შტანუკი, ტიგორევი, იურევიჩი, გლები, კალაშევი (44. კუტუზოვი), კორიტკო, კოვბა, სტრახანოვიჩი (74. გლები), ვასილიუკი (55. კორნილენკო).

გოლები: 0:1 ვასილიუკი (5-პენ), 1:1 მ. პეტროვი (10), 2:1 იანკოვი (40)

მაყურებელი: 10 227

რუმინეთი-სლოვენია 2:0

რუმინეთი: ლობონტი, კონტრა, გოიანი, რატი, ტამაში, კივუ, კოდრეა (78. პლესანი), პეტრე (75. ნიკოლიტა), ზიკუ (60. როსუ), მარიცა, მუტუ.

სლოვენია: ჰანდანოვიჩი, ილიჩი, იოკიჩი (84. ფილეკოვიჩი0, მავრიჩი, მორეცი, ჩეხი, კომაცი, ვრშიჩი, ულოგარი (77. სუკალო), ბირსა (54. ნოვაკოვიჩი), ლავრიჩი.

გოლები: 1:0 მუტუ (40), 2:0 2:0 კონტრა (70)

მაყურებელი: 22 000

ბულგარელებისთვის მორიგი საკვალიფიკაციო ორთაბრძოლა კატასტროფულად დაიწყო. სტუმრები ტელევიზიაში დაწინაურდნენ და შეტოქე ურთულეს სიტუაციაში ჩააგდეს. მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ გატყდნენ და დროული რეაგირებით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

უჩვეულოა, მაგრამ ეს გუნდები ბოლო ხუთი დღის განმავლობაში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. G ჯგუფის კალენდარი სწორედ ასე გახლდათ შედგენილი. 2 ივნისს მინსკში ბელორუსებმა ვერაფერი შეძლეს და თამაში პირწმინდად წააგეს (0:2). დიქტატორ **ლუკაშენკოს** თანამემამულეებს იმედი ჰქონდათ, რომ სოფიაში გაცილებით უკეთ იასპარეზებდნენ. შეხვედრის დებიუტი მოვლენათა სწორედ ამგვარად განვითარებას მოასწავებდა. მეხუთე წუთზე **ალექსანდრ გლების** ნაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. 11-მეტრიანი **ვასილიუკმა** ზუსტად შეასრულა. სტუმართა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მე-10 წუთზე **მარტინ პეტროვმა** შორეული უძლიერესი დარტყმით მარცხენა მაღალი კუთხე დალაშქრა. ბულგარელებმა გამარჯვების ბურთი შესვენებამდე მცირე ხნით ადრე შეაგდეს. მარტინ პეტროვმა, **სტილიან პეტროვმა** და **დიმიტარ ტელკიისკიმ** ფანტასტიკური, ულამაზესი კომბინაცია მოიაწყვეს. ეს ყველაფერი **იანკოვის** გოლით დასრულდა.

იური პუნტუსის ბიჭებს მეორე ნახევარში არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ იმისთვის, რომ თამაში გადაერჩინათ. **კორიტკომ** და **კორნილენკომ** ხელსაყრელი პოზიციებიდან ვერ გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანს ბულგარეთის ეროვნული გუნდის გოლკიპერმა, **დიმიტარ ივანკოვმა** აჯობა...

ლუქსემბურგი და ალბანეთი წინა წყვილის მსგავსად მცირე დროში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა საკუთარი სტადიონის უპირატესობითაც ვერ ისარგებლეს და ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ. იმ შეხვედრაში ალბანელთა გამარჯვებაში ერთ-ერთი ფუნდამენტური როლი **ედმონდ კაპლანიმ** შეასრულა. ის ახლაც შეუდარებელი გახლდათ. ალბანელმა 36-ე და 72-ე წუთზე გატანილი გოლებით საკუთარი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა. პირველი ბურთი კი **შკელას** ანგარიშზე ჩაინერა. უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრები აშკარა აღმავლობის გზაზე დგანან. ალბანეთის ნაკრები გამართულ ფეხბურთს თამაშობს. ცხადია, საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაზე არავინ საუბრობს. ისინი იმითაც ბედნიერები არიან, რომ შვიდი შეხვედრის შემდეგ მეოთხე ადგილზე იმყოფებიან და ბელორუსისა და სლოვენიის ნაკრებებს უსწრებენ...

ადრიან მუტუ ჩინებულ ფორმაშია. მისი კარგი თამაში კი რუმინეთის ეროვნული გუნდის კეთილდღეობის წინაპირობაა. ვლახებმა ერთ დროს ძლიერ სლოვენიის ნაკრებს ზედიზედ მეორე მატჩი მოუგეს. წინა შეხვედრის მსგავსად რუმინელები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. პირველი საგოლე მომენტი მათ მეხუთე წუთზე შექმნეს. მუტუმ რამდენიმე მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ მან **ფლორენტინ პეტრას** გადაცემაც ვერ გამოიყენა. არადა, რამდენიმე სანტიმეტრი რომ არ დაკლებოდა, აუცილებლად გაიტანდა. მასპინძლებს მომდევნო ეპიზოდებშიც არ უმართლებდათ. მათ ტაიმის მიწურულს, როგორც იქნა, გაიხარეს. მუტუს დარტყმას სლოვენიელთა გოლკიპერი ვეღარ გადაეღობა.

სიტუაცია მოერე ტაიმშიც არ შეცვლილა. რუმინელებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ. საგოლე მომენტები თავზესაყრელად იყო, მაგრამ მიზანს მხოლოდ **კოზმინ კონტრას** დარტყმამ მიაღწია. ამ გამარჯვების შემდეგ მასპინძლები პირველ ადგილზე დარჩნენ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰოლანდიის ნაკრებს ერთი თამაში თადარიგში აქვს.

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	7	5	2	0	14-4	17
2. ბულგარეთი	7	4	3	0	11-4	15
3. ჰოლანდია	6	4	2	0	8-2	14
4. ალბანეთი	7	2	3	2	8-6	9
5. ბელარუსი	7	2	1	4	10-15	7
6. სლოვენია	7	1	1	5	5-12	4
7. ლუქსემბურგი	7	0	0	7	1-14	0

მომდევნო ტური. 8 სექტემბერი. ბელარუსი-რუმინეთი, ჰოლანდია-ბულგარეთი, ლუქსემბურგი-სლოვენია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

მარცხი მეორე წრეში

18 წლის **სალომე ჩაჩხუნაშვილმა** რუმინეთის ქალაქ პიტეშტიში მერვედფინალში შეწყვიტა ასპარეზობა, გუშინ ჩვენი თანამემამულე მე-6 ნომრად განთესილ **ალექსანდრა კადანტუსთან** (603) დამარცხდა - 0:6, 1:6. სალომე კორტზე სიცხიანი გასულა ამიტომაც რუმინელი ფავორიტის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო. ჩაჩხუნაშვილი რუმინეთში კიდევ ორ 10-ათასიან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას ივნისში. მას კვლავ საკვალიფიკაციო ბადიდან მოუწევს ბრძოლა. შეგახსენებთ, რომ ჩაჩხუნაშვილს რვა თვე არ უთამაშია, ამის გათვალისწინებით, პირველივე ტურნირში საკვალიფიკაციო ბადიდან გასვლა და ძირითად ტურნირში ერთი ეტაპის გადალახვა მაინც წარმატებაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სალომე ჩაჩხუნაშვილი

ნიჩბოსნობა

მედლები მცხეთელებს და ერთ თბილისელს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერითა და პრაქტიკული დახმარებით, მეოთხედ ჩატარდა ნიჩბოსნობაში სპორტის ოსტატის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის **ა. გუგუშვილის** სახელობის ტურნირი საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. მცხეთაში საასპარეზოდ შეიკრიბნენ სპორტსმენები, მათ შორის ჭაბუკებიც თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, რაღა თქმა უნდა, მცხეთელებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ყველა დისტანციაზე, გარდა ერთისა, გამარჯვება წილად ხვდათ შეჯიბრების მასპინძლებს, როგორც მოზრდილებში, ისე ჭაბუკებში. "ის ერთი გამონაკლისი იყო თბილისელი **ო. ლოჩოშვილი** (K-2, 1000 მ) - დიდებში.

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს. დიდები: **ო. ოლეინიკი** (K-1, 200, 500 და 1000 მ; K-2, 200 და 500 მ); **ვ. პესტოვი** (C-1, 200, 500 და 1000 მ). ჭაბუკები: **შ. ხიზანიშვილი** (C-1, 500, C-2, 200 და 500 მ); **ვ. ნადირაძე** (C-1, 200, C-2, 200 მ); **პ. ინაშვილი** (K-1, 200 და 500 მ); **გ. ბერიძე** (K-200 მ).

ამირან ზუხბაია
სეოკ-ის აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე

თაჩილი

ზურაბ სტურუა. დაიბადა 08.06.-1959, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1991), საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი (1975, 78, 81, 85). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (1992-2002. 1998 წელს თავის დაფაზე მოიპოვა მცირე ვერცხლის მედალი: 10-დან 7,5 ქულა). ერთადერთი ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც გარი კასაროვის დამარცხება შეძლო.

ჰოლითბურთი



მარკოიშვილი და ტევმუ რანიკო (მარჯვნივ) ოლიმპიას ბოლო თამაშებს სკამიდან უყურებენ

2005-06 წლების სეზონში მანუჩარ მარკოიშვილს "ოლიპიაში" შიგა და შიგ მეტისმეტად ეფექტური მატჩები ჰქონდა და იმ ჩემპიონატის ბოლოს დავწერეთ - თუ ასე გააგრძელა, სტეფანია-ბოისას გზას გაივლის-მეთქი. ალბათ არ გჭირდებათ შეხსენება, რომ ვლადიმერ სტეფანია "ოლიმპიას" ლიდერად იქცა და 1998 წელს NBA-ს გუნდ "სიეტლში" მოხვდა. ვლადიმერ ბოისა კი 2003-04 წლებში "ოლიმპიას" კაპიტანი იყო, თამაშიც მასზე ეწყობოდა და 2005 წლიდან ევროპის ტოპ-კლუბ "მონტეპასკიში" გადავიდა.

თუ 2005-06 წლების სეზონში მანუჩარ მარკოიშვილის, როგორც ლიდერის კონტურები გამოიკვეთა, ამ ჩემპიონატში იგი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო. ჰოდა, ვოვების მსგავსად, სეზონის ბოლოს მანუჩარმაც მსოფლიოს ყურადღება მიიქცია - NBA-ს დრაფტის კანდიდატთა სიაში შეიყვანეს...

მაგრამ ამ სიკეთის ჟამს ტრავმა მიიღო და ვერც "ოლიმპიას" ეხმარება ფინალურ სერიაში, ვერც დრაფტზე მიდის.

...მოკლედ, მარკოიშვილთან სასაუბრო საკმარისად დაგროვდა და სჯობს ყველა საინტერესო საკითხზე საუბარი თავად მანუს მივანდოთ.

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

იმედია, დრაფტზე კიდევ დავდგები

- სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალში მეტოქე ჩემს შეჩერებას ცდილობდა. მე გვერდიდან დავუსხლტი, მაგრამ ფეხი ჩამიდგა და მუხლის ზედა კუნთი სერიოზულად დამიზიანა. სურათი რომ გადავიღე, აღმოჩნდა, რომ კუნთის მცირე ნაწილი გახეული იყო.

- აღდგენითი პროცესი როგორ მიმდინარეობს?

- თავიდან მოსალოდნელზე უკეთესად დაიწყო აღდგენა, მაგრამ შემდეგ ცოტა შენელდა. ახლა მდგომარეობა სტაბილურია.

- ექიმებს ხომ არ უთქვამთ, ტრავმა საბოლოოდ რამდენ ხანში მოშუშდება?

- ზუსტად ვერავინ იტყვის, თუმცა ერთი კვირა კიდევ თერაპევტთან უნდა ვიარო, ხოლო მომდევნო 20 დღე აღდგენისთვის დამჭირდება. კუნთს რეაბილიტაცია ნამდვილად აუცილებელია, რადგან ძალიან მოდუნებულია და ელასტიურობაც აღარ აქვს. რაც შეეხება ვარჯიშის დაწყებას, ვიდრე ტკივილი საბოლოოდ არ გამიყუჩდება, ფეხს ძალას არ დავატან.

- "ოლიმპიას" მატჩებზე განაცხადში მაინც წერიხარ...

- კი, ასეა, მაგრამ ფინალური სერიის თამაშებისას გუნდს სათადარიგოთა სკამიდან ვქმამაგობ. სლოვენიის ჩემპიონატის დებულების მიხედვით, ნებისმიერ კლუბს მატჩისას მინიმუმ 10 მოთამაშე უნდა ჰყავდეს. ჩვენთან კი მხოლოდ 7 კაცია ჯანმრთელი.

- შენი და ტევმუ რანიკოს დაშავების შემდეგ "ოლიმპიას" თამაშში რა შეიცვალა?

- შეიცვალა სათამაშო სქემები. მაგრამ რაც მთავარია, მწვრთნელი ცდილობს, გუნდური თამაშის ხარჯზე შედეგებმაც არ იცვალოს სახე. საბედნიეროდ, ამ მხრივ სიტუაცია ნორმალურადაა - ორი მატჩი მოვიგეთ და ფინალური სერია მეხუთე თამაშამდე მივიყვანეთ.

- სათადარიგოთა სკამიდან საჩემპიონო შანსები როგორ ჩანს?

- "ოლიმპიაში" ის შემადგენლობა რომ იყოს, რომელმაც სეზონი დაიწყო, შეიძლება მეხუთე მატჩამდე საქმე არც მისულიყო. ახლა კი პროგნოზის გაკეთება მიჭირს - "ჰელიოსის" მოედანზე დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

- ოლიმპიასთან" კონტრაქტი როდემდე გაქვს?

- ხელშეკრულების მიხედვით გუნდში კიდევ ერთი წელინადი უნდა დავრჩე.

- არდარჩენა-დარჩენა, ალბათ, ფულზე იქნება დამოკიდებული, თუ გუნდის ფინანსური მდგომარეობა გამოსწორდა...

- თუ სიტუაცია გამოსწორდა, კიდევ ერთი სეზონის "ოლიმპიაში" გატარება ჩემთვის სასარგებლო იქნება.

- ორი გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის შემოვინახე - დრაფტისა და საქართველოს ნაკრების ამბები...

- ახლა მთლიანად სლოვენიის ჩემპიონატსა და ტრავმის მკურნალობაზე ვარ გადართული. საქართველოს ნაკრებზეც ვფიქრობ, მაგრამ ჯერჯერობით, ცოტას. თუმცა ვიცი, რომ შეკრება 18 ივლისს იწყება და ძალიან მინდა, იმ დროისთვის მწყობრში ვიყო. იმედია, ყველა ერთდროულად ჩამოვა და აქედან გამომდინარე, ოფიციალურ მატჩებამდე ერთი სისტემითა და გეგმით მოვემზადებით. მიზნამდეც ერთად უნდა მივაღწიოთ. აი, დღეს ნაკრებზე ამის თქმა შემიძლია.

- დრაფტზე?

- ჩემმა მენეჯერმა დრაფტზე წარმადგინა. დაინტერესებას რამდენიმე გუნდი გამოხატავდა და ივნისში მათ დარბაზში უნდა მევარჯიშა, რათა ჩემს შესახებ ნათელი წარმოდგენა შექმნოდათ. თუ ვინმე აყვანას გადაწყვეტდა, დრაფტზეც დავდგებოდი...

- მაგრამ ამერიკაში ვერ მიდიხარ...

- იქ ვერ ვივარჯიშებ, ამიტომ ჩემი კანდიდატურა დრაფტიდანაც ავტომატურად მოიხსნება.

- გული არ გწყდება?

- მინდოდა ამერიკაში წასვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რის გამოც ნამდვილად არ ვიტირებ. ასე, ალბათ, ღმერთის განგებით მოხდა და იმედი მაქვს, დრაფტზე დადგომის შანსი კიდევ მომეცემა.

ვაჟა სიმონიშვილი

დრაფტზე დადგომა ერთი წლით გადაიდო

მეხუთე და გადამწყვეტი

მესამე სეზონია, სლოვენიის ჩემპიონატის გამოვლენას ხუთი მატჩი სჭირდება. ლიუბლიანაში გამართულ სერიის მეოთხე მატჩში მანუჩარ მარკოიშვილის "ოლიმპიამ" "ჰელიოსი" 78:71 დაამარცხა და ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

ასე და ამგვარად, სლოვენიის ჩემპიონის ვინაობა მეხუთე სუპერფინალში გაირკვევა, რომელიც 10 ივნისს "ჰელიოსის" მოედანზე გაიმართება. ვიდრე ლიუბლიანაში გამართულ შეხვედრაზე ვიტყოდეთ ორ სიტყვას, გაგახსენებთ, რომ შარშანაც ქვეყნის ჩემპიონობა ოლიმპიამ' მეტოქის მოედანზე გაიფორმა – "სლოვანს" აჯობა (3:2). იმასაც დავძენთ, რომ მაშინ ოლიმპიელებმა სამივე შეხვედრა 'სლოვანის" არნაზე მოიგეს. იმედი დავიტოვოთ, რომ ნლეულსაც იგივე განმეორდება, თუმცა ამოცანა ერთი ორად რთულია, რადგან ლიუბლიანელებს რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი აკლიათ – **მანუჩარ მარკოიშვილი, ტევმუ რანიკო** და ბოლო მატჩში ტრავმირებულთა სია **დომიენ ლორბეკით** შეივსო.

ამ შეხვედრაში "ოლიმპიამ" 7 კაცით ითამაშა, მათ შორის ერთმა, **დეიან ჰოლერმა** მოედანზე ოდენ 7 წუთი გაატარა. **სლავკო დუშაკმა** და **სანდი კებულარმა** 40-40 წუთი ითამაშეს. ამ უკანასკნელმა 20 ქულა ჩააგდო და მატჩის სნაიპერი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარკოიშვილი და რანიკო ტრავმების გამო გუნდთან ერთად არც კი ვარჯიშობენ, სათადარიგოთა სკამზე მაინც მუდმივად სხედან, რადგან ოფიციალური რეგლამენტით მატჩისას სკამზე 10 კაცი მაინც უნდა იჯდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

შემადგენლობა თითქმის გარკვეულია

თუმცა, დაველოდოთ მინსკის ტურნირს

ოქტომბრის მეორე ნახევარში, პლანეტის უძლიერესი მოკრივეები აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში მოიყრიან თავს და მსოფლიო ჩემპიონატზე ისასპარეზებენ. ამ შეჯიბრებაზე გათამაშდება პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები. მეოთხედფინალში გასული ყველა მოკრივე პეკინის საგზურს გაინაღდებს, ხელმოცარულები კი ამას საგაისო სალიცენზიო ტურნირებზე შეეცდებიან.

ჩვენმა მოკრივეებმა წლეულს უკან მოიტოვეს საქართველოს ჩემპიონატი და სამი საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებებმა, ფაქტობრივად, გამოავლინა ის შემადგენლობა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე იჩხუბებს. დღეს სწორედ შემადგენლობასა და გუნდის გეგმებზე ვისაუბრებთ.

ნიკოლოზ იზორია



ლევან ღვამიჩავა

მსოფლიო ჩემპიონატი

სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ევროპისა და მსოფლიო კრივის ფედერაციებს შორის არსებულმა განხეთქილებამ, მაინც და მაინც, პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატს დაასვა დაღი. თავდაპირველად, ამ შეჯიბრების ჩატარება დაგეგმილი იყო 15-30 სექტემბერს, მოსკოვში. თუმცა, რაკილა ევროპის ფედერაციის რუს პრეზიდენტ **ედუარდ ჰუსაინოვს** კონფლიქტი მოუხდა საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, ამ უკანასკნელებმა მძლავრი საცეცები აამოქმედეს და მოსკოვს მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს. მერე განიხილებოდა აზიის ვარიანტი. თუმცა, ბოლოს გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება იგივე რიცხვებში, ოღონდ ოქტომბერში, ამერიკულ ლას ვეგასში.

ამან ჩვენს გუნდს გვარიანად აურია დავთრები და იძულებითი ცვლილებების შეტანა მოგვიხდა მოსამზადებელი ეტაპის გრაფიკში. სექტემბრისა და რუსეთის ნაცვლად, ახლა საამერიკოდ და საოქტომბრედ მოგვიწევს გეგმების გადაწყობა. თუმცა, თავი იმით შეგვიძლიას ვინუგეშოთ, რომ სხვა ქვეყნებიც ჩვენს დღეში არიან.

ლას ვეგასამდე

ჩეხეთის ტურნირის შემდეგ, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ გუნდი თბილისურ პაპანაქებას გაარიდა. სამზადისი შავი ზღვისპირა სიგრილეში გრძელდება. 15 ივნისიდან, **ავთანდილ შოშიაშვილის** შეგირდები ბათუმიდან ქობულეთში გადაინაცვლებენ, სადაც ათდღიანი გამაჯანსაღებელი კურსით დაამთავრებენ ზღვისპირულ შეკრებას.

1 ივლისს, ნაკრები ბელარუსის დედაქალაქს ესტუმრება და ათდღიან შეკრებას გაივლის მასპინძლებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებსა და უკრაინელებთან. 10 ივნისიდან კი მინსკშივე, დიდ საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავს ძალებს.

ამის შემდეგ, იქნება კიდევ ერთი შეკრება საქართველოში და რუსეთის (კალინინგრადი) საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც "ქარვის ხელთათმანები" ჰქვია.

რუსეთიდან დაბრუნებული გუნდი ფიზმომზადების კურსს გაივლის ბორჯომში, რასაც მოჰყვება ერთობლივი შეკრება აზერბაიჯანელებთან საქართველოში ან ბაქოში. საქართველოს კრივის ფედერაციას სურს, მსოფლიო ჩემპიონატამდე კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე გაუშვას გუნდი, ოღონდ ჯერ არაა გადაწყვეტილი, რომელ შეჯიბრებაზე.

ლას ვეგასში

რაკილა ლას ვეგასსა და თბილისის დროებს შორის სხვაობა მთელი 11 საათია, რასაკვირველია, გუნდს სჭირდება რაღაც დრო ადაპტაციისთვის. ამიტომ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ამერიკაში 10 დღით ადრე ჩავალთ, სადაც უკანასკნელ შეკრებას გავივლით რუსებსა და უკრაინელებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდის დაფინანსებას მთლიანად საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი იღებს საკუთარ თავზე. ვფიქრობთ, ამდენი შეკრება-ტურნირების შემდეგ, ამერიკაში გუნდი მაქსიმალურად კარგ ფორმაში მყოფი უნდა ჩავიდეს. ნაკრების თავკაცობა ორ-სამ ლიცენზიას გეგმავს და საამისო პოტენციალი ნამდვილად არის. კარგი იქნება, თუკი ათენის საგზურების მთავარი კანდიდატები ლას ვეგასშივე მოამთავრებენ საქმეს, გაისად აღარ მოუხდებათ ამისთვის ჯახირი და ოლიმპიადამდე მშვიდად მოსამზადებლად უფრო მეტი დრო ექნებათ.

შემადგენლობა

როგორც ნაკრების ხელმძღვანელობა ამბობს, ლას ვეგასში წამსვლელი შემადგენლობა საბოლოოდ, მინსკის ტურნირის შემდეგ გაირკვევა. თუმცა, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ უკვე ახლავე თავისუფლად შეიძლება იმ მოკრივეების დასახელება, რომლებსაც მსოფლიო ჩემპიონატზე იახლებს ავთანდილ შოშიაშვილი.

მაშ ასე - ფაქტობრივად, საქართველოს ჩემპიონატიდანვე გამოჩნდა, რომ უალტერნატივოები არიან **ზვიად ხადური** (48 კგ), **მერაბ თურქაძე** (51), **ნიკოლოზ იზორია** (54), **კობა ფხაკაძე** (57), **ვასილ ყაზიშვილი** (60), **კახა ჟვანია** (69) და **ბექა ლობჟანიძე** (+91). თუკი ჯანმრთელად იქნებიან, ეს მოკრივეები ამერიკაში აუცილებლად იჩხუბებენ. გაურკვევლობა იყო სამ წონით კატეგორიაში, მაგრამ აქაც ყველაფერი მოგვარდა. **გიორგი ნაკანმა** (75) და **დავით წიკლაურმა** (81) უშუალო კონკურენტებს ბაქოს ტურნირზე მოუგეს და შემდეგაც კარგად გამოიყურებოდნენ. განსაკუთრებით, ნაკანს შევაქებდით, რომელიც წლევანდელ სეზონში ნაკრების აღმოჩენად შეგვიძლია ჩავთვალოთ - სადაც იჩხუბა, უმედლოდ არსაიდან დაბრუნებულა. მოკლედ, მასაც და წიკლაურსაც ფაქტობრივად, განაღდებული აქვთ ლას ვეგასის საგზურები. იგივეს ვიტყოდით **ლევან ღვამიჩავაზე** (64), რომლის უშუალო კონკურენტი **კონსტანტინე კუპატაძე** საქართველოს ჩემპიონატის სკანდალური ფინალის შემდეგ, ნაკრებში ჩხუბზე უარსაა და რაკილა სხვა ღირსეული კონკურენტი არ ჰყავს, ღვამიჩავას ავტომატურად დაჯავშნული აქვს გუნდში ადგილი.

გვრჩება 91 კილოგრამი წონითი კატეგორია. აქ საქართველოს ჩემპიონი გახდა **იაგო კილაძე**, რომელმაც ფინალში დიდი უპირატესობით აჯობა **დავით შათირიშვილს**. მერე, კილაძემ ნოკაუტი მიიღო უკრაინის ტურნირზე, რის გამოც ექვსთვიანი იძულებითი უქმობა უწევს. შესაბამისად, იგი ამერიკაში ვერ წავა. რაც შეეხება შათირიშვილს, მის პერსპექტივაზე ნაკრების ხელმძღვანელობა, ჯერჯერობით, საიმედოს ვერაფერს გვეუბნება. საქმე იქითკენ მიდის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე 91 კილოგრამში, ალბათ, არ გვეყოლება წარმომადგენელი.

კობა ხატისაშვილი

სარეიტინგო ორთაბრძოლები

ერთი დღე ზაფხულის არდადეგებამდე

ლევან შონიას ესპანეთში ბრძოლა ჩაიშალა

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაცია საგაზაფხულო ეტაპის დასრულებისთვის ემზადება. როგორც იცით, ერთის გარდა, ამ გაზაფხულზე გათამაშდა საქართველოს ყველა ქამარი. მალე საზაფხულო არდადეგები დაიწყება, სეზონი კი შემოდგომიდან განახლდება, როდესაც ქამრების მფლობელები ტიტულის დაცვას დაიწყებენ.

გვესაუბრება პროფესიული კრივის ასოციაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კიკნაველიძე**.

- მოგეხსენებათ, ერთი ქამარიღა დაგვრჩა გასათამაშებელი. თუმცა, შესაძლოა, საგაზაფხულო სეზონი ისე დავასრულოთ, რომ ეს ქამარი მფლობელის გარეშე დაგვრჩეს. საქმე ის არის, რომ პრეტენდენტებს აქვთ პრობლემები და ორივე მხარე ვერ თანხმდება. დაძალების უფლება კი, რა თქმა უნდა, არ გვაქვს. ჩხუბი მხოლოდ მაშინ უნდა ჩატარდეს, თუკი ამაზე ორივე მოკრივე ყაბულს იქნება.

- ქამრების დაცვა როდის დაიწყება?

- საგაზაფხულო ეტაპზე, ჯერ კიდევ ერთ საღამოს გავმართავთ, სადაც ბოლო ქამარს თუ ვერ გავათამაშებთ, მხოლოდ სარეიტინგო ბრძოლებს მაინც ჩავატარებთ. ამის შემდეგ კი დაიწყება ზაფხულის არდადეგები. 10 სექტემბრიდან, სეზონი სარეიტინგო ბრძოლებით განახლდება, ხოლო ოქტომბრიდან ქამრის მფლობელები ტიტულის დაცვას შეუდგებიან.

- შემოდგომამდე მოკრივეები საერთაშორისო ორთაბრძოლებს აღარ ჩაატარებენ?

- თუკი იქნება ამის საშუალება, რატომაც არა. მაგალითად, მალე გიორგი უნგიაძე საფრანგეთში ჩაატარებს სარეიტინგო ბრძოლას. იყო მოთხოვნა ლევან შონიაზეც, რომელსაც ესპანეთში უნდა ეჩხუბა. თუმცა, რაკილა ესპანეთის ვიზებს გერმანიის საელჩო იძლევა, რომელმაც საბუთების ურიგოდ გაფორმების საშუალება არ მოგვცა და დროში ველარ ჩავეტიეთ. თან ესპანელებიც გვაჩქარებდნენ – თუ შონია ვერ ჩამოვა, დროულად გვითხარით, რომ სხვა მოკრივე ჩამოვიყვანოთო. ამიტომ, შონიას პირინეული ჩხუბის ვარიანტი ჩაიშალა...

- ძმები ჯომარდაშვილების ამერიკაში წასვლის საკითხი რა სტადიაშია?

- სამწუხაროდ, ამერიკელებთან ვერ შევთანხმდით და ეს ვარიანტი ჩაიშალა. არადა, თითქოს ყველაფერი მოგვარებული იყო. ამერიკელებს ჯომარდაშვილები უნდა მიეწვიათ, ევარჯიშებინათ და თუკი მოეწონებოდათ, ხანგრძლივ კონტრაქტსაც გაუფორმებდნენ და ორმაგ მოქალაქეობასაც აძლევდნენ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკის სახელით იბრძოლებდნენ. ასე ფალიანებსაც აქვთ ორმაგი მოქალაქეობა, რომლებიც სამშობლოს ღირსებას იცავენ. მოკლედ, შალვა და ლევან ჯომარდაშვილების ამერიკაში გადაბარგება, ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, გამოირიცხა.

სამაგიეროდ, ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ შალვა და ლევანი გერმანიაში გავუშვათ. მათ მიმართ დაინტერესებას იჩენს ცნობილი კლუბი "უნივერსუმი", სადაც შეკრება-ვარჯიშებიც ექნებათ და საერთაშორისო შეხვედრებსაც გამართავენ. ვიმედოვნებ, ამერიკელებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

კობა ხატისაშვილი

ქადრაკი

37-ე ოთახში სინათლე საკმარისია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მაია ჩიბურდანიძის თასი

შეგირდები მწვრთნელებს არ ინდობენ!

მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის მეორე ტური გუშინ, კურიოზით დაიწყო: ქადრაკის სასახლეს არ გააჩნია ერთი დიდი დარბაზი, სადაც ყველა მონაწილეს ერთად თამაში იქნებოდა შესაძლებელი, ამის გამო, ოცი დაფა საკონფერენციო დარბაზის სცენაზეა დადგმული, ხოლო დანარჩენი - ცნობილ 37-ე ოთახში. ცხადია, სცენაზე, ლიდერები სხედან.

მეორე ტური ახალი დაწყებული იყო, როცა შუქი გამოირთო. ვინადიან დარბაზს არცერთი მხრიდან ფანჯარა არა აქვს, უკუნი სიბნელე ჩამონვა. სიბნელის განათება მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ სანთლები ან მაშუქები ამ საქმეს არ მოუხდებოდა, თუმცა გენერატორით სისტემის გამართვა კი შესაძლებელი იყო და... რას გაანათებდნენ, როცა ქადრაკის სასახლეს ასეთი სერვისი არც ადრე ღირსებია და დღესაც "მშრალზეა".

მიზეზად უფულობა ითქმის ყოველთვის, მაგრამ საერთაშორსო ტურნირის ორგანიზების დროს კი უნდა გაითვალისწინო კაცმა, რომ შესაძლოა, შუქი გამოირთოს და ალტერნატიული ელექტროენერგიის წყარო საჭიროა. სამწუხაროდ, ორგანიზატორებს ამ მხრივ არაფერი მოუმოქმედიათ და პრობლემაც გაჩნდა: სხვაგან გაეგრძელებინათ თამაში თუ დაეცადათ შუქის მოსვლისთვის. დალოდება გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავდა - ამიტომ, "დროული" რეაგირება მოხდა და ალტერნატიული ფართი უმალ გამოინახა - სასახლის მეორე სართულზე კლუბ "იას" ოფისში გაიწყო "სუფრა"; მეინახენიც მშვიდად, თუმც უგუნებოდ მიუსხდნენ მაგიდებს.

გავიდა მცირე ხანი შუქი მოვიდა! დასამალი არ არის - სცენაზე თამაში უფრო კომფორტულია, ვიდრე ნებისმიერ ოთახში, გამონაკლისი არც კლუბი "იაა", ამიტომ მონაწილეებმა ისევ დასტაცეს ხელი დაფებს და მწყობრად არა, მაგრამ სიხარულით კი დაუბრუნდნენ მთავარ ალაგს. მაგრამ, რად გინდათ - ვიღაცამ საჭადრაკო მიმოქცევის ეშხი ვერ შეიგრძნო და მონაწილეებს კვლავ მეორე სართულზე აბრძანება უბრძანა - ეტყობა იმ ვარაუდით, ამ შუქს ჩემი მტერი ენდოსო. ვერც გაამტყუნებდი კაცს - წადი-წამოდი, კიდევ ერთხელ წადი-წამოდი და ამ მიდი-მოდიში ან მხედარი დაკარგვოდა ვინმეს, ან მეფე, თუ გინდ პაიკიც - ეძებე მერე შენ - მე შენ გეტყვი და, ისეთი დაკოხტავებულ-დაუთოვებულია სასახლე, ნემსი რომ დაგივარდეს ძებნაც არ დაგჭირდება - უმალ იპოვი...

თუ სერიოზულად ვიტყვით, მეტი დაფიქრებაა საჭირო და მართალია ათიოდე დაბალი კვალიფიკაციის უცხოელის, მაგრამ მათ თვალშიც არ უნდა გამოვჩნდეთ სასაცილონი, - საქართველოში რა-რა და, საჭადრაკო ტურნირების ორგანიზების გამოცდილება მაინც არის. გამოცდილება კი იმისაა, რომ უნდა გაითვალისწინო. ქართულ ჭადრაკს უამრავი პრობლემა კი ახვევია თავს, მაგრამ არსებობს საკითხები, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია...

შეხვედრები არ შეფერხებულა 37-ე ოთახში, სადაც დღის შუქი საკმარისად აღწევს. ასევეა კლუბ "იაშიც" და ბოლოს და ბოლოს ტურიც მშვიდობიანად ჩამთავრდა. თუმც საჭადრაკო თვალსაზრისით თუ ვიტყვით, მშვიდობიანობაზე საუბარი შეცდომა იქნებოდა: არავინ არავის არაფერს უთმობს; კბილებით იბრძვიან: პატარა დიდს არ ეპუება, ქალი - კაცს და მოსწავლე - მასწავლებელს. ასე მაგალითად: პირველ ტურში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გოგი ხომერიკი** მისმა მოსწავლემ, 9 წლის **ლუკა ცხადაძემ** დაამარცხა, გუშინ კი იგივე სიმწარე ხომერიკს მეორე შეგირდმა - 16 წლის **ელისაბედ ზარქუამ** აგემა. 15 წლის **ლევან ბრეგაძემ** უძლიერესი მეტოქე - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო დიდოსტატი **ხვიჩა სუპატაშვილი** დაამარცხა - ლევანი სწორედ რომ ხვიჩასთან იმაღლებს დრო და დრო ოსტატობას.

ქალბატონთა მიერ კაცთა ძლევას კი **სოფიკო გურამიშვილის** მიერ **მალხაზ სულაშვილის** დამარცხებით დავიწყებთ - სოფიკო შავებით იყო, მაგრამ ძლიერ მეტოქეს, რომელიც საერთაშორისო ოსტატის წოდებას ატარებს, მაინც მოერია. ასევე გაიმარჯვა **თამარ წერეთელმა**, რომელმაც **ბუხუტი გურგენიძე** დაამარცხა, თანაც შავებით. **თეონა ღურჭუმელიძემაც** შავებით იმარჯვა - მან **ანდრო ერვანდიანს** მოუგო. რამდენიმე პარტიაში ქალებს არ უმარჯვიათ, მაგრამ არც დაეჩაგვრინენ.

უპირველესად, **ანა გავაშელის** კარგი თამაში უნდა აღვნიშნოთ, რომელმაც ამჯერადაც ტურნირის ფავორიტთან, **ვალერიან გაფრინდაშვილთან** ითამაშა მაღალ დონეზე და ყაიმს გამორჩა. შეგახსენებთ, გუშინ, ანამ ქულა **ლევან ფანცულაიას** გაუყო. ასევე ყაიმით ითამაშა **მაკა ფურცელაძემ**, რომელიც შავებით **თამაზ მგელაძეს** ხვდებოდა. მაკას მოგებაც შეეძლო - ხარისხით დაწინაურდა, მაგრამ ენდშპილში ზუსტად ვერ გაირჯა და ყაიმს დასჯერდა. იგივე შედეგისთვის შეეძლო მიეღწია **მირანდა მიქაძესაც**, მაგრამ ყაიმს ვინ ჩივის, სულაც წააგო, თანაც ძალიან ბრიყვულ ვითარებაში - ელემენტარული სვლა ვერ დაინახა და შამათი მიიღო - მირანდა **ბაჩანა მორჩიაშვილს** ხვდებოდა. **ნინო ბეციაშვილმა** კი **დავით არუთინიანთან** ითამაშა ყაიმით.

კვლავ ვერ იმარჯვა **ნანა ძაგნიძემ** - მან 16 წლის **ქეთი წაწალაშვილის** დამარცხება ვერ შეძლო და ყაიმს დასჯერდა. მოიგო **მაია ლომინეიშვილმა** და მანაც ვაჟი და თანაც შავებით დაამარცხა, მაგრამ სომეხი **არამაის ჩილინგარიანი** ურეიტინგო მოჭადრაკეა და ქართველს მისი დამარცხება ისედაც მართებდა. სხვა საქმეა, დღევანდელ მეტოქესთან ჭიდილი - ლომინეიშვილს ფანცულაია ერგო და თუ მას ქულას აართმევს, გამორჩევაც მერე ეკუთვნის...

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ტურნირის სპორტული მხარე მაინც ძალიან საინტერესოა და მაღალი საჭადრაკო დონითაც გამოირჩნვა. ამიტომ გულშემატკივარს ბევრი სიამოვნება ელის, თუკი, რა თქმა უნდა, საცქერლად მივა სასალეში და შუქმა არ დააღალატა...

მესამე ტური, პირველი ოცი დაფა: წერეთელი (2) - შანავა (2); გურამიშვილი (2) - ბაღათუროვი (2); პაიჭაძე (2) - კეკელიძე (2); ჯობავა (2) - ნიგალიძე (2); მორჩიაშვილი (2) - ყუფარაძე (2); ჭარხალაშვილი (2) - ზარქუა (2); ბრეგაძე (2) - ჭიღლაძე (2); არუთინიანი (1,5) - ბენიძე (2); არაშიძე (1,5) - ბაციაშვილი (1,5); ფურცელაძე (1,5) - სანიკიძე (1,5); სუპატაშვილი (1) - მგელაძე (1,5); ულვი ბაჯარანი (1) - გაფრინდაშვილი (1); მაღალაშვილი (1) - ჯანიაშვილი (1); ტერ-პარაპეტიანი (1) - მელია (1); აზალაძე (1) - წანალაშვილი (1); ილლარ ბაჯარანი (1) - ჯავახაძე (1); გელაზონია (1) - ხაჟომია (1).

ზვიად შათირიშვილი

ჟღალბურთი

მსოფლიო ტური

გეორ-გია რეიტინგის ათეულში

ზაგრებში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, პლაჟბურთის ქართულმა ნყვილმა **გეორ-გიამ** პირველი მარცხი განიცადა. ჩვენი ფრენბურთელები ესპანელებთან **ერერასა** და **მესასთან** დამარცხდნენ 0:2 (15:21, 14:21). თუმცა მომდევნო შეხვედრა მაინც მოიგეს და ტურნირზე ასპარეზობას აგრძელებენ. ამჯერად მეტოქეები შვედები **ბერგი და ბრინკბორგი** იყვნენ 2:1 (21:19, 19:21, 15:6).

დღეს გეორ-გიას მეტოქე პირველ მატჩში ჰოლანდიური, **სხუილისა** და **ნუმერდორის** დუეტი იქნება. საქართველოს წარმომადგენლებს წაგების უფლება აღარ აქვთ.

ამასობაში გამოქვეყნდა მსოფლიოს ახალი რეიტინგი, რომელშიც გეორ და გია თავიანთ კარიერაში ყველაზე მაღალ, მე-10 ადგილზე არიან 810 ქულით. ქალთა შორის საქა-რთველო 228 ქულით 33-ე ადგილზეა.

ბესიკ ჯანგავაძე

საუკეთესო ათეული

1.ჰარლი-პედრო (ბრაზ)	1560 ქულა
2.ემანუელი-რიკარდო (ბრაზ)	1380
3.არაუჯო-მაგალაეში (ბრაზ)	1380
4.ბარსუკი-კოლოდინსკი (რუს)	1380
5.ბრინკი-დიეკმანი (გერ)	960
6.ჰიემპერუდი-სპარლუნდი (ნორ)	900
7.ჰერერა-მესა (ესპ)	900
8.კუნია-ნეტო (ბრაზ)	840
9.ნუმერდორი-ფუილი (ჰოლ)	840
10.გეორ-გია (საქ)	810

გია

რაბბი

ლეგიონერები

მერთენსი და გრეგანი ლაბაძესთან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, თუმცა საზაფხულო ტრანსფერების ციებ-ცხელება კარგა ხანია დაიწყო და გვარიანადაც გახურდა. ახლახან კლუბი გამოიცვალა ქართველმა ბურჯმა **დავით აშვითიამ**, რომელიც პარიზული "მეტრო რასინგიდან" სამხრეთულ გუნდში, "ოიონაქსში" გადაბარგდა. ორივე ეს გუნდი მეორე დივიზიონში ასპარეზობს.

სავარაუდოდ, პარიზელთა რიგებში გააგრძელებს კარიერას კიდევ ერთი ბურჯი **მამუკა მაგრაქველიძე**. როგორც ჩანს, "მეტრო რასინგის" ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში სერიოზული მიზნების განხორციელებას გეგმავს, ვინაიდან გუნდში იტალიის ნაკრების მწვრთნელი **პიერ ბერბიზიე** მიიწვიეს, რომელიც თავის დროზე საფრანგეთის ნაკრებსაც წვრთნიდა და საკმაოდ წარმატებითაც.

ის, რაც **გია ლაბაძის** "ტულონში" ხდება, ადვილად შეიძლება ფანტასტიკის სფეროს მივაკუთვნოთ. პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** გენერალური მენეჯერის პოსტი **ტანა უმაგას** შესთავაზა, რაზეც ზელანდიელი ხალისით დათანხმდა. ალბათ სწორედ მისი ხათრით დაყაბულდნენ საფრანგეთის მეორე დივიზიონის გუნდში თამაშს კიდევ ერთი ზელანდიელი სუპერვარსკვლავი **ენდრიუ მერთენსი** და ავსტრალიელი, მსოფლიოს საუკეთესო 9 ნომერი **ჯორჯ გრეგანი**.

შთამბეჭდავია "ტულონის" სხვა ახალწვეულთა სიაც: **ფოტუნუუპულე აუელუა** (სამოა), **მაფილეო კეფუ** (ავსტრალია), **ესტებან ლოსადა** (არგენტინა), **ენტონი ოლივერი** (ზელანდია), **ტუსი პუსი** (სამოა), **ლოურენს სეფაკა** (სამ. აფრიკა), **საიმონე ტაუმოეპეაუ** (ზელანდია), **ვესელ რუ** (სამ.აფრიკა), **ორენე აიი** (სამოა).

ბესიკ ჯანგავაძე

ტანა უმაგა ტულონის გენერალური მენეჯერი ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. ფინალის წინ

სან ანტონიო vs კლივლენდი

სან ანტონიო

სავარაუდო სასტარტო ხუთეული: უკანა ხაზი - ტონი პარკერი, მაიკლ ფინლი, **ფორვარდები** - ტიმ დანკანი, ბრიუს ბოუენი, **ცენტრი** - ფაბრიციო ობერტო.

სათადარიგოები - ფაბრიციო ობერტო, ფრანსისკო ელსონი (ცენტრები), უაკ ვონი, ბენო უდრიხი (უკანა ხაზი), მანუ ჯინობილი, ბრენტ ბერი, რობერტ ორი (ფორვარდები).

მთავარი მწვრთნელი - გრეგ პოპოვიჩი

გზა ფინალამდე

I წრე

სან ანტონიო-დენვერი	4:1

89:95, 97:88, 96:91, 96:89, 93:78

II წრე

სან ანტონიო-ფინიქსი	4:2

111:106, 81:101, 108:101, 98:104, 88:85, 114:106

1/2 ფინალი

სან ანტონიო-იუტა	4:1

108:100, 105:96, 83:109, 91:79, 109:84

ფლეი ოფის ლიდერები

ქულა: **ტიმ დანკანი** (23.4)
მოხსნა: **ტიმ დანკანი** (11.5)
პასი: **ტონი პარკერი** (6.9)
ჩაჭრა: **მანუ ჯინობილი** (1.85)
დაფარება: **ტიმ დანკანი** (3.05)

ლიდერი

ტიმ დანკანი. ყველა დროის, ალბათ, უძლიერესი მძიმე ფორვარდი - **ტიმ დანკანი** ასაკის მატებას არ იმჩნევს და დღესაც, ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. **კევინ გარნეტისგან** განსხვავებით, იგი პერმანენტულად ვერ ეპოტინება სამმაგ დუბლს და ვერც **დირკ ნოვიცკივით** "ფეთქებადი" და რთულად პროგნოზირებადია, მაგრამ ამ ორი თანაამპლუელისგან განსხვავებით, ტიმი სულით ჩემპიონი და სამაგალითო ლიდერია.

დანკანმა ტრადიციას არ უღალატა და წინა სეზონების დარად, ამჯერადაც საგრძნობლად გაუმჯობესა პირადი სტატისტიკა ფლეი ოფის მატჩებში. თუ რეგულარულში, იგი ერთ მატჩში საშუალოდ 20 ქულას ვერ სცდებოდა, ფლეი ოფში ეს მაჩვენებელი უკვე 23.4-ს უდრის და რომ არა "სპურსის" რამდენიმე უიოლესი მოგება, ტიმი 25 ქულასაც უპრობლემოდ გაუტოლდებოდა.

დანკანმა პირველ წრეში, "დენვერის" მაღლებს - **ნენესა** და სეზონის საუკეთესო დამცველად დასახელებულ **მარკუს კემბის** მარტომ მოუგო, მერე კი, "ფინიქსთან" **ამარე სტაუდმაიერისა** და **კურტ ტომასის** წყვილსაც აჯობა. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ "სანზის" ცენტრებს **შონ მერიონი** ეხმარებოდა.

მერე კი იყო "ჯაზი" და სწორი კალათბურთის უფასო გაკვეთილი კარლოს ბუზერისთვის, 4:1 მოგებული სერია და სრული დომინაცია გადამწყვეტ მომენტებში.

დანკანს საჯარიმოების შესრულებისას (65 პროცენტს ვერ სცილდება) კვლავაც სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როდესაც გუნდს თამაში არ მისდის, **გრეგ პოპოვიჩი** მთელ სათამაშო სქემას თავის საუკეთესო მოსწავლესა და პატარა მეგობარზე აგებს და "სპურსიც" იგებს და იგებს.

კოზირები

საფლეიოფო გამოცდილება და დიდი მწვრთნელი. მას მერე, რაც ტეხასელებმა დრაფტზე ტიმ დანკანი აიყვანეს, "სან ანტონიო" ფლეი ოფს მილმა არასოდეს დარჩენილა და სამჯერ (1999, 2003, 2005) ჩემპიონიც კი გახდა. "ლეიკერსთან" ერთად, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი ბოლო ათწლეულის საუკეთესო კლუბად იქცა, თუმცა კალიფორნიელებისგან განსხვავებით, "სპურსმა" სტაბილურობა და უმაღლეს დონეზე სათამაშოდ აუცილებელი მოტივაცია შეინარჩუნა.

"სპურსს" იდეალურად აქვს დაბალანსებული შემადგენლობა და ყველა რგოლში მინიმუმ ერთი ისეთი კალათბურთელი ჰყავს, ვისთვისაც ფლეი ოფი ნაცნობი სტიქიაა. პოპოვიჩი, რომელსაც **კობი ბრაიანტი ფილ ჯექსონზე** დიდ მწვრთნელად მიიჩნევს, იდეალური ფსიქოლოგიცაა, ხოლო გუნდში უმკაცრესი რეჟიმის დამყარებით არც მოთამაშეებს წაუგიათ რამე და არც თავად გრეგს. წესრიგი, რეჟიმის დაცვა, გუნდური პრინციპების წინა პლანზე დაყენება, ერთსულოვნება - "სპურსი" ამ ოთხ სიტყვასთან ასოცირდება და გრეგის თავკაცობით ეს პრინციპები ხელშეუხებელი იქნება.

ჯოკერი

მანუ ჯინობილი და ბრიუს ბოუენის დაცვა. ჯინობილი სათადარიგოებში, მხოლოდ და მხოლოდ, გრეგ პოპოვიჩის დამსჯელი მეთოდების გამო ხვდება. როგორც კი "სპურსის" მთავარი მწვრთნელი არგენტინელს სასტარტოში სტაბილურად აყენებს, მანუს თამაში უფერულდება და გუნდისთვის ზიანის მომტანი ხდება. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში თავად გრეგმა აღნიშნა, ჯინობილის ყველა თამაშში, ყოველი პრინციპული დაპირისპირების წინ მისთვის უნდა ჰქონდეს დსამტკიცებელი, რომ იგი "სპურსში" თამაშის ღირსია. ეს ტაქტიკა ჭრის და ალბათ, სუპერფინალშიც გაჭრის. "სპურსს" მეტოქეზე გაცილებით სოლიდური და გამოცდილი რეზერვი გააჩნია და ეს მხოლოდ ჯინობილის ფაქტორით არ განისაზღვრება. **რობერტ ორი, ფრანსისკო ელსონი, ბრენტ ბერი, ბენო უდრიხი, უაკ ვონი** ნებისმიერ სხვა გუნდში მეტ დროს მიიღებდნენ და იქნებ, სასტარტოს უცვლელ წევრებადაც ჩამოყალიბებულიყვნენ. მანუ კი გადამწყვეტ მომენტში (თუ ეს მომენტი დადგება) დანკანზე არანაკლებ სახიფათო და საჭირო კაცია.

რაც შეეხება **ბრიუს ბოუენს,** ასი პროცენტით მას ლებრონის აჩრდილობა დაევალება. ჯეიმსმა შეიძლება თავისი 26-28 ქულა "სპურსს" მაინც ყოველ მატჩში შესძინოს, მაგრამ მთავარია, რამდენ სროლას მოანდომებს ამას ახალგაზრდა ფენომენი. ამასთან ერთად, მან დაცვაშიც უნდა იმუშაოს, თორემ ბოუენის კუთხეში უმეთვალყურეოდ დატოვება და ზუსტი სამიანი რომ ერთია, ეს "კლივლენდმა" კი არა, მთელმა ლიგამ იცის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - საუკეთესო დამცველი ლიგაში პირველი დამფარებელი ან ჩამჭრელი არ უნდა იყოს, ბოუენი კი **სკოტი პიპენის** მერე ყველაზე მაგრად იცავს პერიმეტერს და "ბულზის" ყოფილი ტირანოზავრივით უნივერსალია ოპონენტების ამპლუადან გამომდინარე.



ტიმ დანკანი

7 ივნისი. სან ანტონიო-კლივლენდი
10 ივნისი. სან ანტონიო-კლივლენდი
12 ივნისი. კლივლენდი-სან ანტონიო
14 ივნისი. კლივლენდი-სან ანტონიო
17 ივნისი. კლივლენდი-სან ანტონიო*
19 ივნისი. სან ანტონიო-კლივლენდი*
21 ივნისი. სან ანტონიო-კლივლენდი*

** - საჭიროების შემთხვევაში*



ლებრომ ჯეიმსი

კლივლენდი

სავარაუდო სასტარტო ხუთეული: უკანა ხაზი - ლარი ჰიუზი, საშა პავლოვიჩი, **ფორვარდები** - ლებრონ ჯეიმსი, დრიუ გუდენი, **ცენტრი** - ჟიდრუნას ილგაუსკასი.

სათადარიგოები: ანდერსონ ვარეჟაო, დონიელ მარშალი (ფორვარდები), დანიელ გიბსონი, დეიმონ ჯოუნსი (უკანა ხაზი), სკოტ პოლარდი (ცენტრი).

მთავარი მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი

გზა ფინალამდე

I წრე

კლივლენდი-ვაშინგტონი	4:0

97:82, 109:102, 98:92, 97:90

II წრე

კლივლენდი-ნიუ ჯერსი	4:2

81:77, 102:92, 85:96, 87:85, 72:83, 88:72

1/2 ფინალი

კლივლენდი-დეტროიტი	4:2

76:79, 76:79, 88:82, 91:87, 109:107, 98:82

ფლეი ოფის ლიდერები

ქულა: **ლებრონ ჯეიმსი** (25.8)
მოხსნა: **ჟიბრუნას ილგაუსკასი** (11.0)
პასი: **ლებრონ ჯეიმსი** (7.5)
ჩაჭრა: **ლებრონ ჯეიმსი** (1.75)
დაფარება: **ლებრონ ჯეიმსი** (1.55)

ლიდერი

ლებრონ ჯეიმსი. მოდი და ნუ იტყვი, რომ ამ ახალგაზრდა კაცს მომავალში რეგულარულის არაერთგზის MVP-ობა "ემუქრება" და რომ მისი სახით, ლიგის კომისარ **დევიდ სტერნს** NBA-სთვის შელახული პრესტიჟის აღდგენა მალევე შეეძლება.

მარგალიტი, რომელიც "კავალიერსმა" ოთხი წლის წინათ დაითრია, არ არის **მაიკლ ჯორდანი,** მაგრამ ის უკვე **კობი ბრაიანტზე** უკეთესია (ასეა და ნუ ვიდავებთ).

მოთამაშე, რომელმაც "კლივლენდი" ქვედა ეშელონის გუნდიდან კონფერენციის ჩემპიონობამდე აღაზევა და რომელიც ამაზე მეტს (თუ ამ ფინალში არა, მერე მაინც) გააკეთებს.

უნივერსალი, რომელიც თავისი არანორმალური ფიზიკური ძალისა და ლაღი, არტისტიზმის უმაღლეს დონეზე მიყვანილი თამაშით, სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს დიადთა შორის.

ფორვარდი, რომელიც პირველი მეოთხედის ბოლოს მსროლელია, 2 წუთში გამთამაშებელი ხდება, ხოლო რიგ ეპიზოდებში მონინააღმდეგის ცენტრებსაც ეჭიდავება.

დაგვრჩა რამე? ძალიანაც ბევრი, მაგრამ ლებრონი ხომ მარტო სტატისტიკა არაა. იგი ღმერთისგან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულთა შორისაა, სადაც ჯეიმსამდე სამეფო ტახტს **უილტ ჩემბერლენი, ჯერი უესტი, მეჯიქ ჯონსონი, ჯულიუს ირვინგი** და "მისი უჰაერესობა", ანუ ჯორდანი ამაგრებდნენ.

სულ ბოლოს კი დანკანის აზრს შემოგთავაზებთ: *"ლებრონის შეჩერება არარეალურია. უბრალოდ, თუ მას გარკვეულ დისკომფორტს შევუქმნით, თავისი საშუალო მონაგარისთვის იქნებ მეტი დრო და ენერგია დავახარჯვინოთ. ყველა წინასწარ ჩემპიონობას გვილოცავს, მაგრამ მერწმუნეთ, დიდი ბრძოლა მოგვიწევს".*

კოზირები

დანიელ გიბსონი და ლარი ჰიუზი. დანიელ გიბსონზე ბრაუნი ჯერ კიდევ რეგულარულის დაწყებამდე ამბობდა - ამ ბიჭს დიდი პოტენციალი აქვს და თუ მისი გამოყენების შანსი მომეცემა, დენის გუნდში ადგილის დამკვიდრება არ უნდა გაუჭირდესო.

რეგულარულის მსვლელობისას გიბსონს თავის გამოჩენის შანსი რამდენჯერმე მიეცა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ბიჭმა ორჯერ 22 ქულაზე მეტიც კი დააგროვა, მაიკ ბრაუნი მაინც "ძველებს", ჩამოსაწერ **დეიმონ ჯოუნსსა** და **დევიდ უესლის** ელოდებოდა, იქნებ, ამ ორი "ბებრიდან" ერთმა მაინც გაისროლოსო.

გიბსონის მეურვეობა **ტონი პარკერსა** და **უაკ ვონს** დაევალებათ და თუ ბრაუნს ამ ბიჭის იდეალურად გამოყენება სურს, მაშინ მაქსიმალურად დიდი ხანი უნდა ათამაშოს მეორე მეოთხედში, ანუ მაშინ, როდესაც ტონი ისვენებს და "სპურს" მოედანზე რეზერვი ჰყავს.

რაც შეეხება ლარი ჰიუზს, ეს ახალგაზრდა "ვაშინგტონში" ყოფნისას "ყველა ვარსკვლავის" მატჩის წევრი გახლდათ, მაგრამ მრავალმილიონიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ახალ გუნდში ვერც თამაში ააწყო და ტრავმიანობაც დასჩემდა. ლარის ახლაც შეუძლია ერთ მატჩში 20 ქულის გაკეთება, მაგრამ ზურგისა და სასროლი მაჯის ტრავმებმა, იგი ოდნავ უკან დახიეს. საინტერესო იქნება ჰიუზისა და მანუ ჯინობილის დაპირისპირების ხილვა, რიგ ეპიზოდებში კი ლარის **მაიკლ ფინლისთვის** ხელის შეშლაც მოუწევს.

ჯოკერი

დრიუ გუდენი ან ანდერსონ ვარეჟაო. ვაი, რომ ამ ორ ახალგაზრდა, ნიჭიერ და ჯანიან ბიჭს ისეთი კალათბურთელის აყვანა მოუწევთ, რომ დიდი შანსია, სერიის ყველა მატჩში "კავალიერსმა" 6 პერსონალურით ერთ-ერთი ან სულაც ორივე დაკარგოს ხოლმე. ტიმ დანკანი **დრიუ გუდენს** ჯანისა და... პრინციპში, ყველაფრის ხარჯზე გადაწონის, ხოლო **ანდერსონ ვარეჟაოს** კი, "სპურსის" კაპიტანთან მხოლოდ ის შანსი აქვს, რომ ფოლების მიღებისას დანკანზე სროლისას არ დაჯარიმდეს.

ვარეჟაოს მაიკ ბრაუნი არა მარტო მძიმე ფორვარდად, არამედ ცენტრადაც ხშირად ათამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი ვერც კარგ საშუალო სროლას ფლობს და ბურთის ჩაგდება ფარქვეშეთიდანაც უჭირს, მას მაინც ენდობიან. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბრაუნი დანკანზე სწორედ ვარეჟაოს დაგეშავს. აი, აქედან რა გამოვა, უკვე სხვა საქმეა.

გუდენს გუნდში **კარლოს ბუზერი** უნდა შეეცვალა. ცხადია, მან ეს ვერ გააკეთა და ნურც იმას გამორიცხავთ, რომ სეზონის ჩამთავრების მერე, გუნდმა იგი რომელიმე ძლიერ უკანახაზელში გაცვალოს. ამ მხრივ "კლივლენდს" პრობლემები აქვს.

ანაჰაიმი ჩემპიონია

NHL სტენლის თასი. ფინალი

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲘᲮᲕᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ 6:2

2:0, 2:2: 2:0

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-10 (გეტცლაფი-10, პრონგერი-12), 2:0 რ. ნიდერმაიერი-5 (პერი-9), 2:1 ალფრედსონი-13 (შეფერი-5, ფიშერი-5), 3:1 მოენი-6, 3:2 ალფრედსონი-14, 4:2 ბოშემენი-4 (ე. მაკდონალდი-4), 5:2 მოენი-7 (ს. ნიდერმაიერი-8, პაულსონი-9), 6:2 პერი-6.

ᲡᲔᲠᲘᲐ 4:1

ჰოკეის ეროვნული ლიგის მარათონული სეზონი "ანაჰაიმ დაქსის" ტრიუმფით დასრულდა. თავისი 14-წლიანი არსებობის განმავლობაში, "იხვებმა" პირველად მოიპოვეს სტენლის თასი. ასევე პირველად NHL-ის ისტორიაში, ეს საპატიო პრიზი კალიფორნიის შტატში გაემგზავრა. ის, რაც 1993 წელს ვერ შეძლო **უეინ გრეცკის** "ლოს ანჯელესმა", წელეულს მეორე კალიფორნიულმა კლუბმა - "ანაჰაიმმა" გააკეთა.

სერიის მეხუთე მატჩში, "ოტავას" მთავარმა მწვრთნელმა - **ბრაიან მიურეიმ** ექსპერიმენტებს მიმართა. თავისი წამყვანი შეტევითი ტრიოს წევრები - **დანიელ ალფრედსონი, დენი ჰიტლი** და **ჯეისონ სპეცა** სხვადასხვა სამეულებში გადაანაწილა, მაგრამ აქედან კარგი არაფერი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ "სენატორებს" უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ, მათ შეტევაში განსაკუთრებული აქტიურობა არ გამოუჩენიათ და **ჟან-სებასტიან ჟიგერის** კარში, მხოლოდ 13 ზუსტი დარტყმა შეასრულეს. ამაში წვლილი, რა თქმა უნდა, "ანაჰაიმის" დაცვის ხაზსაც მიუძღვის, რომელმაც იმ დღეს, პრაქტიკულად, უშეცდომოდ ითამაშა.

შეტევაში აქტიურობით არც "იხვები" გამოირჩეოდნენ და მათ მეტოქეზე ხუთი დარტყმით მეტი შეასრულეს, თუმცა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა მეტოქის გასანადგურებლად. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, ვერც იმას ვიტყვით, რომ მასპინძლებმა იოლად მოიგეს ეს მატჩი. მეორე პერიოდში "ანაჰაიმს" რთული მომენტი ჰქონდა. "ოტავამ" ხელთ იგდო ინიციატივა და ფლეი ოფის საუკეთესო სნაიპერმა - **დანიელ ალფრედსონმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. აქ კი, მასპინძლებს აშკარად გაუმართლათ. დაცვაში უხეში შეცდომა დაუშვა "სენატორზის" მცველმა - **კრის ფილიპსმა**. ის საკუთარი კარის უკნიდან აპირებდა შეტევის დაწყებას, მაგრამ შაიბა გაექცა, რომელიც მეკარე **რეი ემერის** ფეხს მოხვდა და კარში შეცურდა. ეს ავტოგოლი ანაჰაიმელ **ტრევის მოენს** ჩაუთვალეს.

ამ კურიოზულმა გოლმა მხოლოდ ალფრედსონზე არ იმოქმედა უარყოფითად. შვედმა კაპიტანმა (ალფრედსონი NHL-ის ისტორიაში ფინალური სერიების პირველი ევროპელი კაპიტანი გახდა) **რაიან გეტცლაფს** მოპარა შაიბა და რიცხობრივი უმცირესობისას, კიდევ ერთხელ შეამცირა მინიმუმამდე ანგარიში. ორ წუთში კი, "ანაჰაიმს" მეორედ გაუმართლა - **ფრანსუა ბოშემენის** უძლიერესი დარტყმა **ანტონ ვოლჩენკოვს** მოხვდა და რიკოშეტით ემერის კარში შევარდა.

"ოტავა" საბოლოოდ მაშინ გატყდა, როცა მესამე პერიოდის დასაწყისში მოენმა კარგად დაუხვედრა ყვანჯი **სკოტ ნიდერმაიერის** დარტყმულს და 5:2 დააწინაურა თავისი გუნდი. ხოლო, როცა სტუმარმა **ანტუან ვერმეტმა** ბულიტი ვერ გამოიყენა, ფინალის ბედი პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. მატჩსა და სერიას წერტილი **კორი პერიმ** დაუსვა - 6:2.

მაშ ასე, კანადური კლუბი ამჯერადაც სტენლის თასის გარეშე დარჩა. უკანასკნელად, ამ ქვეყნიდან საპატიო პრიზს "მონრეალ კანადიენსი" დაეუფლა. ეს 1993 წელს მოხდა, ზუსტად იმ დროს, როცა "ანაჰაიმ მაიტი დაქსი" დაარსდა.

სტენლის თასის მფლობელი კი გამოვლინდა, მაგრამ კიდევ ერთი ინტრიგა არსებობდა. უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ გახდებოდა წლევანდელი ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე. ბევრის აზრით, ლიგის ხელმძღვანელობა არჩევანს, სკოტ ნიდერმაიერსა და ჟან-სებასტიან ჟიგერს შორის გააკეთებდა. ნიდერმაიერი სამჯერ ფლობდა სტენლის თასს, მაგრამ MVP-ის ტიტული არასოდეს მოეპოვებინა, ჟიგერი კი ერთხელ, 2003 წელს, "ნიუ ჯერსისთან" შვიდ მატჩში წაგებული სერიის შემდეგ დაასახელეს საუკეთესო მოთამაშედ.

მიკროფონთან NHL-ის კომისარი - **გერი ბეტმენი** მივიდა, რომელმაც წლევანდელი ფლეი ოფის MVP-ედ სკოტ ნიდერმაიერი გამოაცხადა. ამ მცველმა "დეტროიტთან" ურთულეს სერიაში გადამწყვეტი შაიბები გაიტანა, ფინალში კი, დაცვაში შეუდარებლად ითამაშა. სკოტისთვის ეს მეოთხე სტენლის თასი გახლდათ, მისმა უმცროსმა ძმამ - **რობმა** კი, თასი პირველად ასწია თავსზემოთ. სხვათა შორის, 1983 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ძმებმა სტენლის თასი მოიპოვეს. მაშინ "აილენდერსის" რიგებში **ბრენტ** და **დუეინ სატერები** გაჩემპიონდნენ.

"ვერც კი ვიოცნებებდი, რომ ჩემს კარიერაში ასეთი მომენტი დადგებოდა. ფიზიკურად ძალიან დავიქანცე, მაგრამ სტენლის თასის მოგებით არასოდეს დავიღლები. ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი იღბლიანი ვარ", - განაცხადა მატჩის შემდეგ სკოტ ნიდერმაიერმა.

ცალკე საუბრის თემაა 36 წლის **ტეემუ სელიანე**, რომელიც NHL-ში თავის მე-15 სეზონს ატარებდა და მხოლოდ ახლა შეძლო სტენლის თასის მოპოვება. ფინალური სერიის წინ, "ანაჰაიმის" ჰოკეისტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ სელიანესთვის თასის მოსაპოვებლად და სიტყვა აასრულეს კიდეც.

"სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, თუ რას ვგრძნობ ახლა. ამ მომენტს ძალიან დიდხანს ველოდი. ხანდახან მეგონა, რომ სტენლის თასს ვერასოდეს მოვიგებდი. დაუჯერებელი სეზონი გამოვიდა", - ცრემლებს ვერ იკავებდა ფინელი ჰოკეისტი, რომელიც რეგულარულში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ფლეი ოფში კი, 15 ქულა (5 გოლი+10 პასი) დააგროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲒᲝᲠᲓᲔᲑᲐ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ ახალი სკანდალი გორდება - ბელგიის პოლიციის მიერ ჩატარებულმა რეიდმა, ბელგიურ გუნდ "ქვიკ სტეპის" რამდენიმე ველომრბოლის ბინაში აკრძალული პრეპარატები აღმოაჩინა. *"პირველი მონაცემებით, რეიდის დროს აკრძალული პრეპარატებია ნაპოვნი"*, - ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

რეიდში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ (ფლანდრია) და სამხრეთ (ვალონია) რეგიონებში ჩატარდა, სულ ორმოცამდე პოლიციელი მონაწილეობდა. ბელგიის პროკურატურის წარმომადგენელ **ტომ იანსენის** განცხადებით, "ქვიკ სტეპზე" საქმე შარშან, მას შემდეგ აღიძრა, რაც სექტემბერში ბელგიელმა პოლიტიკოსმა **ჟან-მარი დედეკერმა** განაცხადა, რომ შეუძლია დაასახელოს სამი ბელგიელი ველომრბოლის ვინაობა, რომლებიც დოპინგის პროცედურების ჩასატარებლად, ხშირად მოგზაურობენ იტალიაში.

ამ სეზონის დასაწყისში კი, "ქვიკ სტეპი" და მისი ველომრბოლები ყურადღების ცენტში მას შემდეგ მოექცნენ, რაც ბელგიურ გაზეთ "ჰეტ ლაატსტე ნიუვსში" გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელებს, კერძოდ კი გუნდის მენეჯერ **პატრიკ ლეფევრს**, ახლო ურთიერთობა აქვთ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირთან, რისი წყალობითაც, ყოველთვის წინასწარ გებულობენ "მოულოდნელი" დოპინგ-კონტროლის ჩატარების შესახებ.

ბელგიური გაზეთის მტკიცებით, "ქვიკ სტეპის" ველომრბოლები მეტწილად სისხლის დოპინგს, ერითროპოიეტინსა და კოკაინს იყენებენ. ამასთან, პუბლიკაციის ავტორი აცხადებდა, რომ ინფორმაციის წყაროდ რამდენიმე ანონიმური პირი ჰყავს. გუნდის სიტუაცია მას შემდეგ დამძიმდა, რაც მისმა ყოფილმა ლიდერმა, ბელგიელმა **იოჰან მუსეეუუმა** აღიარა, რომ კარიერის განმავლობაში რეგულარულად იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს.

შეგახსენებთ, რომ "ქვიკ სტეპის" სახელით ასპარეზობენ კლასიკური რბოლების ისეთი სპეციალისტები, როგორებიც არიან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, იტალიელი **პაოლო ბეტინი** და მსოფლიოს ყოფილი (2005 წლის) ჩემპიონი, ბელგიელი **ტომ ბოონეი**.

ბელგიური გუნდი მტკიცედ უარყოფს ყველანაირ ბრალდებას და ირწმუნება, რომ "ჰეტ ლაატსტე ნიუვსში" გამოქვეყნებული პუბლიკაციების გამო, 20.5 მილიონი ევრო იზარალა. თუმცა, ამის მიუხედავად, მას გაზეთის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ჯერ არ შეუტანია.

ჩატარებული რეიდების შესახებ, ჯერჯერობით, არანაირ ინფორმაციას არ ფლობს ლეფევრი, რომელსაც ბელგიური სააგენტო ბელგა ნიუსი ტელეფონით დაუკავშირდა. *"ყოველივეს შესახებ რადიოთი გავიგე და აბსოლუტურად არაფერი არ ვიცი. შესაბამისად, არც რაიმეს თქმა შემიძლია. გუნდის საქმეებთან დაკავშირებით, ახლა პარიზში მივდივარ და ყველაფერს ჩამოსვლის შემდეგ გავარკვევ"*, - განაცხადა ლეფევრმა.

პატრიკ ლეფევრი თავისი გუნდის მაისურით

TV ᲡᲐᲛᲘᲠᲝᲨᲘ

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
14:10 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ტოქ-შოუ - 2:1.
16:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-დანია.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 კოპა ამერიკას წინ.
23:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
01:00 რუსეთის ჩემპიონატი.
02:00 საფეხურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

07:05 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
08:50 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:40 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
10:10 სპორტინფორმი.
10:25 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
12:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
13:55 აფრისნობა. ამერიკის თასი.
14:25 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ე. დემენტიევა (რუსეთი)-ა. რეზაი (საფრანგეთი). სტრასბური. საფრანგეთი.
16:00 სპორტდოსიე.
16:25 ფეხბურთი. Barca TV. ალბერტ ხორკერა.
17:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-დინამი (ჰიუსტონი).
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. V მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
21:30 სპორტინფორმი.
21:40 ფეხბურთი.
22:00 მძლეოსნობა. IIAF-ის გრან-პრი. ტურინი. იტალია (LIVE).
00:05 სპორტინფორმი.
00:15 კრიკეტი. რინგ-საიდი.
01:15 სპორტინფორმი.
01:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
03:10 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
03:40 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
05:25 სპორტდოსიე.
05:55 ფეხბურთი. Barca TV. ალბერტ ხორკერა.
06:45 ფეხბურთი.

EUROSPORT

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-იტალია.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
13:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
14:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
20:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ხორვატია (LIVE).
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლატვიის გრან-პრი.
23:00 პოკერი. ევროტური. კოპენჰაგენი. დანია
00:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია.პირველობა. მიმოხილვა.
01:00 რესტლინგი.
02:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
13:00 ბილიარდი. პული. ევროტური. გერმანია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
17:45 ფეხბურთი. 21-ლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-გერმანია (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:00 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲭᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ᲙᲝᲠᲒᲠᲘᲯᲘ-ᲐᲜᲒᲕᲔᲠᲞᲔᲜᲘ	0:2
ᲚᲘᲔᲠᲡᲘ-ᲛᲔᲮᲔᲚᲔᲜᲘ	1:2

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲑᲝᲓᲝ ᲒᲚᲘᲢᲒᲘ-ᲛᲘᲝᲚᲓᲔ	1:2
ᲰᲘᲝᲜᲔᲣᲝᲡᲘ-ᲛᲝᲡᲚ	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲜᲝᲠᲩᲝᲞᲘᲜᲒᲘ-ᲡᲣᲜᲓᲡᲕᲐᲚᲘ	5:0

ᲰᲝᲚᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲒᲠᲘᲜᲚᲘᲜᲒᲘ-ᲚᲘᲜᲜᲐ	5:0
ᲑᲔᲚᲩᲐᲒᲝᲕᲘ-ᲕᲘᲡᲚᲐ	2:0

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲮᲔᲕᲔᲜᲒᲣᲚᲘ-ᲠᲔᲐᲚᲘ	85:71

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲝᲛᲐ-ᲕᲘᲜᲪᲔᲜᲪᲘᲡᲘ	49:70

ფორმულა 1

ფიზიკელა ავტოსპორტის აკადემიას ხსნის

ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პილოტი, "რენოს" წევრი - **ჯანკარლო ფიზიკელა** მსოფლიოში პირველ სპეციალიზირებულ სკოლას ხსნის, რომელიც მთლიანად ავტოსპორტისადმი იქნება მიძღვნილი. სკოლის სახელწოდებაა - Fisichella Motor Sport Academy.

იტალიელი ავტომრბოლის განცხადებით, აკადემია რომთან ახლოს, ვალელუნგას ავტოდრომის ტერიტორიაზე განთავსდება და ის ერთ-ერთი ნანილი იქნება „სუპერთანამედროვე არქიტექტურული ანსამბლისა, სახელწოდებით - Fisichella Motor Sport Technopole.

ფიზიკელას სახელობის სკოლა მრავალპროფილიანი იქნება. აქ სტუდენტები აითვისებენ მექანიკოსის, ტელემეტრისტის, სარბოლო ინჟინრის, აეროდინამიკის სპეციალისტის, ტექნიკური და სპორტული დირექტორისა და მენეჯერის პროფესიებს. ეს ის დარგებია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მაღალი დონის თანამედროვე ავტოსპორტი.

კალათბურთი

სტივ კერი ფინიქსის გენერალური მენეჯერია

"ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა კლუბის გენერალური მენეჯერის პოსტზე **სტივ კერის** დანიშვნის შესახებ. NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი და ლიგის ისტორიაში სამქულიანების შესრულების ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი, მენეჯერის პოსტზე **მაიკ დ'ენტონის** შეცვლის, რომელიც მომავალი წლიდან, მთლიანად მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შესრულებაზე გადაერთვება.

გარდა გენერალური მენეჯერის პოსტისა, კერიმ კლუბის საკალათბურთო ოპერაციების განყოფილებაც ჩაიბარა.

"ძალიან მომწონს ეს გუნდი და მისი თამაშის სტილი. სერიოზული ცვლილებების განხორციელება არ მომიწევს, რადგან "ფინიქსი" ასოციაციის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია", - აცხადებს სტივ კერი, რომელმაც "სანზთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კერმა NBA-ში გატარებული 15-წლიანი კარიერის განმავლობაში, "კლივლენდში", "ორლანდოში", "ჩიკაგოში", "სან ანტონიოში", "პორტლენდსა" და "ფინიქსში" ითამაშა. სამი საჩემპიონო ტიტული მან "ჩიკაგო ბულზთან" ერთად მოიპოვა, ორი - "სან ანტონიო სპურზთან" ერთად. 1994-95 წლების სეზონში, სტივმა NBA-ის რეკორდი დაამყარა 3-ქულიანების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლით - 52. მასვე, ამავე ნომინაციაში დღემდე ეკუთვნის კარიერის რეკორდიც, რომელიც 45.4 პროცენტს უტოლდება.

ფინალური სერია 205 ქვეყანაში

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მომავალი ფინალური სერია სარეკორდო ტელეაუდიტორიას შეკრებს.

NBA-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, "კლივლენდ კავალიერზისა" და "სან ანტონიო სპურსის" მატჩებს, 205 ქვეყანაში 128 სატელევიზიო კომპანია 46 ენაზე გადასცემს. მათ შორის ქართული ტელეკომპანია - "იმედიცაა", რომელიც სერიის ყველა მატჩის პირდაპირ ტრანსლიაციას განახორციელებს.

ლეიკერსმა ბილეთები გააძვირა

გუშინ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გულშემატკივრებმა არც ისე სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს. მომავალ სეზონში, კლუბის ხელმძღვანელობა საშინაო მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასს 4.5 პროცენტით გაზრდის - იტყობინება სააგენტო "როიტერი". ასე მაგალითად, საუკეთესო ადგილებიდან **კობი ბრაიანტის** თამაშის ხილვა 2300 დოლარად იქნება შესაძლებელი. ნაკლებად პრესტიჟულ ადგილებზე კი, ბილეთების ფასი 230 დოლარს გაუტოლდება.

თუმცა, "ლეიკერსის" დარბაზში ადგილების ნანილი (500 ადგილი) NBA-ს აქვს გამოსყიდული და ეს 500 ბილეთი 10 დოლარად გაიყიდება.

გასულ სეზონში, "ლეიკერსის" ფანატებმა საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტების 97 პროცენტი შეიძინეს. ეს მაჩვენებელი წინა სეზონზე 5 პროცენტით მეტია.

ჰოკეი

კანადელ ახალგაზრდებს საბერი გაწვრთნის

კანადის ჰოკეის ფედერაციამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის შემადგენლობა დაკომპლექტა. გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი **ბრენტ სატერმა** ჩაიბარა, ხოლო მისი ასისტენტები **პიტერ დე ბური** და **ბენუა გრიული** იქნებიან.

სატერი თავისი მოვალეობების შესრულებას შემოდგომაზე შეუდგება. მანამდე კი, კანადელ ახალგაზრდებს ძველი მწვრთნელი - **კრეიგ ჰარტსბურგი** უხელმძღვანელებს, რომელმაც წლეულს, ნაკრებს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი მოაგებინა.

კანადის ნაკრებს რუს თანატოლებთან რვამატჩიანი სუპერსერია ელის. თამაშები 2007 წლის 27 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გაიმართება. ოთხი შეხვედრა რუსეთში ჩატარდება, ოთხიც - კანადაში.

ლიგა 32 გუნდამდე გაიზრდება

უახლოეს წლებში, ჰოკეის ეროვნული ლიგის შემადგენლობა, შესაძლოა 32 გუნდამდე გაიზარდოს. სავარაუდოდ, ერთი კლუბი ქალაქ ლას-ვეგასს ეყოლება.

როგორც სააგენტო AP იტყობინება, ცნობილმა პროდიუსერმა და კინომოღვაწემ, ტრილოგია - "კარიბის ზღვის მეკობრეების" რეჟისორმა, **ჯერი ბრუკჰაიმერმა** მოლაპარაკებები გამართა NHL-ის კომისართან - **გერი ბეტმენთან**. ამ დიალოგის მთავარი საკითხი ლას-ვეგასში ჰოკეის გუნდის შექმნა გახლდათ. AP-ის ცნობით, მხარეებმა უკვე მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას.

აილენდერსმა კაპიტანი გაუშვა

"ნიუ იორკ აილენდერსის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მან კონტრაქტი გაწყვიტა თავის კაპიტანთან, რუს ფორვარდ **ალექსეი იაშინთან**.

იაშინს კლუბთან 10-წლიანი ხელშეკრულება აკავშირებდა, რომლის მიხედვითაც, ამ გუნდში კიდევ ოთხი წელიწადი უნდა ეთამაშა. ამ დროის განმავლობაში, ჰოკეისტი 26,45 მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა. ახლა კი, კლუბი ვალდებულია, უახლოესი რვა წლის განმავლობაში, რუს მოთამაშეს 17.63 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

"ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული გადაწყვეტილებაა, რაც კი ოდესმე მიმიღია", - განაცხადა "აილენდერსის" მფლობელმა - **ჩარლზ ვანგმა**.

თავად იაშინმა ასეთი კომენტარი გაუკეთა კლუბის გადაწყვეტილებას: *"აილენდერსში" პატივისცემით მეპყრობოდნენ. ჩარლზ ვანგს ყოველთვის ვენდობოდი და მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბის წევრი აღარ ვარ, მიმაჩნია, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო. დღეიდან ჩემს კარიერაში ახალი ეტაპი იწყება".*



ანამ მაშა ფინალში არ გაუშვა

საფრანგეთის ღია პირველობა

ჟუსტინმა სერბული ფინალი ჩაშალა

მსოფლიოს პირველ ჩოგანს ბელგიიდან, **ჟუსტინ ანენს** დიდი შანსი აქვს, ზედიზედ მესამედ, სულ კი მეოთხედ გახდეს საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი. ამისთვის ფინალში მას სერბი **ანა ივანოვიჩის** დამარცხება სჭირდება. და თუ ეს შესძლო, **მონიკა სელეშის** მიღწევას გაიმეორებს, ვინც 1992 წელს როლან გაროსის ტურნირი ზედიზედ მესამედ მოიგო.

ფინალის საგზურის მოსაპოვებლად, ჟუსტინმა ორ სეტში, საკმაოდ იოლად მოუგო სერბ **ელენა იანკოვიჩს** და ფინალშიც მეტოქე სერბი ივანოვიჩი ეყოლება, რომელმაც თავის მხრივ, იოლად დაამარცხა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, რუსი **მარია შარაპოვა**.

აღსანიშნავია, რომ იანკოვიჩი ამ სეზონს ბრწყინვალედ ატარებს და ნახევარფინალში გასვლაც ამის დასტურია. მას უფრო მეტიც შეუძლია, მაგრამ მომცრო ბელგიელის წინააღმდეგ მისი თამაში გაუფერულდა. სერბი ხშირად ცდებოდა, არც პირველი მოწოდება უვარგოდა და ვერც კომბინაციების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ყოველივე კი მის მეტოქეს აგრესიული თამაშის საშუალებას აძლევდა. ამის წყალობით, ბელგიელი ხშირად ახერხებდა მეტოქის სერვისზე ქულისთვის ბრძოლას, თავისაზე კი იოლად იგებდა გეიმებს. შედეგად, მან ორივე სეტში მხოლოდ ორ-ორი გეიმი დაუთმო იანკოვიჩს და თამაშის დაწყებიდან მე-80 წუთზე, პირველივე მატჩ პოინტი გამარჯვების ქულად აქცია.

ჟუსტინმა პირველ ბრეიკს საწყისი სეტის მეოთხე გეიმში მიაღწია და ეს მიღწევა მერვე გეიმშიც გაიმეორა, რითაც სეტი 37 წუთში მოიგო. მეორე სეტიც პირველის სცენარით დაიწყო. თავიანთი სერვის-გეიმების მოგების შემდეგ, ბელგიელმა კვლავ მეოთხე გეიმში შეძლო მეტოქის მოწოდების აღება. მაგრამ ამჯერად, იანკოვიჩმა გაბრძოლება შესძლო და მომდევნო გეიმში, საპასუხო ბრეიკით ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, მეტოქემ მეექვსე გეიმშივე მიახვედრა, რომ ფინალის საგზურის დათმობას არ აპირებდა - ჟუსტინმა კვლავ გატეხა სერბი მისსავე მოწოდებაზე. ორი გეიმის შემდეგ (მერვეში) კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და შეხვედრასაც ამით დაუსვა წერტილი.

ცნობისთვის, ანენი და იანკოვიჩი მეექვსედ შეხვდნენ ერთმანეთს და მეექვსედვე ბელგიელმა მოიგო. სხვათა შორის, ისინი აშშ-ის შარშანდელი ღიას ნახევარფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც ჟუსტინმა გაიმარჯვა.

ივანოვიჩმა თავის ტიტულოვან მეტოქეს გააზრებულად აწყობილი ტაქტიკით აჯობა. შარაპოვა აგრესიულად თამაშს ცდილობდა, მაგრამ იმის გამო, რომ ბურთის მისაღებად ხშირად უწევდა სირბილი, მის დარტყმებს სიზუსტე აკლდა. სერბი სრულად აკონტროლებდა კორტზე სიტუაციას და როცა ამის საჭიროებას დაინახავდა, მაშინვე შეტევაზე გადადიოდა. ამ დროს, შარაპოვას ბურთის მოგერიება უჭირდა და თუ კორტის მეორე მხარეს მის გადაგდებას მაინც მოახერხებდა, მომდევნო დარტყმას, რომელსაც სერბი ხშირად ბადესთან გასული ასრულებდა, ვეღარ პასუხობდა.

ამგვარად, 19 წლის ივანოვიჩმა აღკვეთა რუსის მცდელობა, გასულიყო ზედიზედ მესამე სლემ-ტურნირის ფინალში. თავად კი დიდი სლემის ტურნირის ფინალში პირველად ითამაშებს. სხვათა შორის, შარაპოვა ავსტრალიის ღიას ფინალში, ანალოგიური ანგარიშით დამარცხდა ამერიკელ **სერენა უილიამსთან**.

გუშინ კი, შარაპოვამ საერთო ჯამში ხუთი ორმაგი და 25 უნებლიე შეცდომა დაუშვა (ივანოვიჩმა მხოლოდ 11). ამასთან, უკანა ხაზიდან შესრულებული დარტყმებით, მხოლოდ ოთხი ქულის აღება შეძლო.

ივანოვიჩმა თამაში აგრესიულად დაიწყო - ჯერ თავისი გეიმი მოიგო, შემდეგ კი მეტოქისაზეც გაილაღა და 2:0 დაწინაურდა. მან მეექვსე გეიმშიც შეძლო მეტოქის სერვისის აღება, რაშიც ძლიერ დაეხმარა რუსის მიერ დაშვებული ორმაგი შეცდომა. შემდეგ გეიმში კი შარაპოვამაც გაიბრძოლა და სერბის მოწოდებაზე ქულას დაეუფლა (2:5), მაგრამ თავის მოწოდებაზე კვლავ ვერ ივარგა - მეოთხე ორმაგი შეცდომა მოუვიდა, რითაც მეტოქეს სეტი ჩააბარა.

მეორე ხელიც პირველის მსგავსად დაიწყო - სერბმა ჯერ თავის მოწოდებაზე გახსნა ანგარიში, შემდეგ კი მეტოქისაზეც დაეუფლა ქულას და 2:0 დაწინაურდა. მომდევნო გეიმში კი თავად მოუხდა ქულისთვის ბრძოლა. შარაპოვამ პირველ ორ მოწოდებაზე შეძლო ქულის აღება და 30:0 დაწინაურდა, მაგრამ ივანოვიჩმა მომდევნო ოთხი მოწოდება მოიგო და გეიმებში 3:0 დაწინაურდა.

მატჩში ყველაზე საინტერესო მეორე სეტის მეოთხე გეიმი გამოდგა. თავის სერვისზე, შარაპოვას ოთხჯერ ჰქონდა გეიმ პოინტი, მაგრამ ყველა საკუთარი შეცდომების წყალობით გაანიავა. მერე კი მეტობას სერბი დაეუფლა და პირველივე ბრეიკ პოინტი აქცია ქულად, რითაც, პრაქტიკულად, გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

"მართლაც კარგად ვითამაშე. თავიდანვე გადავწყვიტე, რომ აგრესიულად მეთამაშა. ვიცი, რომ მარია გრუნტ ზე ნელა მოძრაობს, რაც მე შანსს მაძლევდა. ვცდილობდი, ბურთი მის უკანა ხაზთან ახლოს გამეგზავნა, რათა მისთვის შეტევის საშუალება არ მიმეცა. ამასთან, მაქსიმალურად მობილიზებული ვიყავი, რათა ნაკლები შეცდომა დამეშვა. ყველაფერი კარგად გამომივიდა, კარგადაც ვაწოდებდი, ბადესთანაც დროულად გავდიოდი. მოკლედ, თამაში კარგად ავაწყე", - განაცხადა ივანოვიჩმა, ვისაც თავიდან ნერვიულობა კი ეტყობოდა, მაგრამ პირველივე ბრეიკის შემდეგ დამშვიდდა და თავისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას შეუდგა.

"ასე არ უნდა მეთამაშა. ჩემი მოუქნელობით, მას სათამაშო სივრცე დავუთმე. ის ყოველთვის ახერხებდა შეტევის ჩემზე ადრე დაწყებას, ყოველთვის ერთი დარტყმით წინ იყო", - განაცხადა შარაპოვამ, ვინც პარიზული სლემ-ტურნირის ნახევარფინალში პირველად ითამაშა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქალები

1/4 ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-ელენა იანკოვიჩი (სერბ, 4) 6:2, 6:2

ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)-მარია შარაპოვა (რუს, 2) 6:2, 6:1

ეროვნული სპორტული-ვაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაყიდვების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. ბარდა კვირისა